CYAN BLACK


# საქართველოს რესპუბლიკა

პარასკევი, 1 ოქტომბერი, 2004 წელი. №228 (4957) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, აღდგენილია 1990 წელს. * ფასი 50 თეთრი


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.





◉ პრეზიდენტი

## კაცი იყავ კაცური და...

საქართველოში რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირება არ არსებობს, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ სასტუმრო „შერატონ-მეტეხი პალასში" გახსნილ საერთაშორისო ფორუმზე. ორდღიანი ფორუმი „გლობალიზაცია და ცივილიზაციათა დიალოგი" საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ინიციატივით და საქართველოს პრეზიდენტის პატრონაჟით იმართება.

— მე ვამაყობ იმით, რომ საქართველოში სხვადასხვა რელიგიური მრწამსის ადამიანებს შორის დაპირისპირება არ ყოფილა, იმით, რომ მუსლიმანებს საქართველოში პრობლემები არ შეჰქმნიათ, იმით, რომ ყარაბაღის ომის მიმდინარეობის დროს საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელ და სომეხ მოქალაქეებს შორის მნიშვნელოვანი დაპირისპირება არ ყოფილა, — განაცხადა ფორუმზე პრეზიდენტმა.



საქართველოში რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებების არარსებობას ადასტურებს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტიც: მის განცხადებაში საქართველო და თურქეთი მოხსენიებულია იმ ქვეყნებს შორის, სადაც ბოლო წლებში რელიგიურ ექსტრემიზმს ადგილი არ ჰქონია.

**— საქართველოში იყო კონფლიქტები, მაგრამ როგორც მოვლენებმა დაგვანახა, ეს იყო პოლიტიკური და არა ეთნიკური ხასიათის დაპირისპირება. საქართველო არის ნათელი მაგალითი იმისა, როგორ შეიძლება, არსებობდეს მშვიდობა სხვადასხვა აღმსარებლობებს შორის, —** განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

საერთაშორისო ფორუმში 15-მდე სხვადასხვა ქვეყნის კონფესიების წარმომადგენლები მონაწილეობენ.

◉ თარიღი

# პესიმისტები ადრე ბერდებიან

## პირველი ოქტომბერი მოხუცთა საერთაშორისო დღეა



1990 წლის 14 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ ყოველი წლის პირველი ოქტომბერი მოხუცთა საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. მან მოუწოდა ყველა ქვეყნის სამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ხელი შეუწყონ ისეთი პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც ხანშიშესულ და მოხუც ადამიანებს სოციალური უზრუნველყოფის გარანტიებს მისცემს. ამასთანავე, შრომისუნარიანმა მოქალაქეებმაც უნდა იცოდნენ, რომ ერთ დღეს, როცა ისინიც შეუერთდებიან ამ ასაკობრივ ჯგუფს, სრულფასოვანი ცხოვრება ექნებათ. ეს დღე მსოფლიოში მცხოვრებ მოხუცთა დაფასებას, პატივისცემასა და მათზე ზრუნვას ეძღვნება.

დღესდღეობით მსოფლიოში 60 წელს გადაცილებული 600 მილიონი ადამიანია. 2050 წლისთვის კი ეს მაჩვენებელი 2 მილიარდს მიაღწევს. თუ დღეს 60 წლისა და მეტი ასაკის მოსახლეობაში 80 წლის და მეტი ასაკის პიროვნებათა ხვედრითი წილი 11 პროცენტია, 2050 წელს ეს მაჩვენებელი 19 პროცენტი გახდება, ხოლო 100 წლისა და მეტი ასაკის მოსახლეობის წილი 15-ჯერ — 140 ათასიდან 2,2 მილიონამდე გაიზრდება. ასეა გათვლილ-ნავარაუდევი.

გაეროს ხალხთმოსახლეობის დეპარტამენტის მონაცემებით, მსოფლიოში 28 ქვეყანაა, სადაც ყოველი მე-5 ადამიანი 60 წლისა და მეტი ასაკის არის. სამწუხაროდ, საქართველოც მათ რიცხვში მოიხსენიება მაშინ, როდესაც ეს პროცესი დანარჩენ ქვეყნებში 2050 წლიდანაა მოსალოდნელი. ამრიგად, მსოფლიო მოსახლეობის დაბერების პროცესი კანონზომიერი მოვლენაა და ამავე დროს თანამედროვეობის ერთ-ერთი აქტუალური სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაც.

თუმცა უფროსი ასაკის პიროვნების კეთილდღეობა არა მხოლოდ სოციალური და ეკონომიკური უზრუნველყოფით განისაზღვრება, არამედ მორალურ-ფსიქოლოგიური ასპექტებითაც. მოხუცი კი მორალურად კმაყოფილია მაშინ, როდესაც იგი თავს საზოგადოებისგან გარიყულად არ გრძნობს, რომ იგი ზედმეტი ბარგი კი არ არის, გაზედმეტდა, არამედ სჭირდება ოჯახს, ახლობლებს. ამიტომაც მიმართავს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სახელმწიფოთა აღმასრულებელ ხელისუფალთ: „თავიანთი ეროვნული ინტერესების შესაბამისად განახორციელონ ისეთი პოლიტიკა, რომ პიროვნება სიბერეში იყოს სოციალურად დაცული და ეკონომიკურად უზრუნველყოფილი".

სამართლიანმა სახელმწიფომ და სამართლიანმა საზოგადოებამ არ უნდა შელახოს ხანდაზმული მოსახლეობის სოციალური ღირსება.

იხ. მე-4 გვ.

## ნომერში წაიკითხავთ:


### კაცმა კაცისა თქვა, საქმემ – ორივესიო,

ანუ რატომ აზუზუნებს თავის ჭკუაზე ზოგიერთი ასი წლის წინათ წიწამურში გავარდნილ ტყვიას.

მე-3 გვ.



### ჟანთა მიწა დიდი გამოცდის წინ

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის ზაურ ფიფიას რეპორტაჟების ციკლი წალენჯიხიდან.

მე-3-4 გვ.



### გამარჯვების დღე

მოგეხსენებათ, 2004 წელი ივო შუშაკის გაწვრთნილმა თბილისის „დინამომ" დსთ-ს ქვეყნების ჩემპიონთა თასის მოგებით დაიწყო. გუშინ ხორვატი სპეციალისტის მემკვიდრის გია გეგუჩაძის დამოძღვრილმა ქართული ფეხბურთის ფლაგმანმა კიდევ ერთი გამარჯვების დღე აჩუქა გულშემატკივრებს.

მე-7 გვ.




◉ სარწმუნოება

## ჰოი, მამანო, მარად ნეტარნო!..

დღეს, 1 ოქტომბერს, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია იხსენიებს წმიდა მოწამეებს ბიძინას, შალვას და ელიზბარს.

XVII საუკუნეში საქართველო სპარსელთა სათარეშო ადგილად იქცა. შაჰ-აბას პირველი და შემდეგ მისი მე შაჰ-აბას მეორე განსაკუთრებული სისასტიკით კახეთს გაუსწორდნენ. მიუწვდომელია კაცთათვის ღვთის განგება: სწორედ ამ საუკუნეში, როცა ქართველთა ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა, უფალმა თავისი ერთგული მხედრობა გამოარჩია, მათ შორის კახეთის გმირები — ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები.

იხ. მე-4 გვ.



◉ კონტროლის პალატა

## „ცხელი ხაზი" მოქმედებს

**საქართველოს კონტროლის პალატა ქვეყნის მოსახლეობას ატყობინებს, რომ მოქმედებს გენერალური ინსპექციის „ცხელი ხაზი".**

**ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც აქვს ინფორმაცია სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა უკანონო გამოყენებისა და გაფლანგვის, ასევე კონტროლის პალატის მოხელეთა მიერ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების გადამეტების, ანგარიშით დანაშაულის დაფარვის, ქრთამის აღების და ფულის გამოძალვის ფაქტების შესახებ, ვთხოვთ, დაუყოვნებლივ გვაცნობონ აღნიშნული ინფორმაცია შემდეგ ტელეფონებზე: 95-30-81, 96-71-78.**

**ინფორმაციის მომწოდებლის ვინაობა, მისი სურვილის შესატყვისად, ანონიმური დარჩება.**

◉ დღის თემა

## კრიტიკა თუ წუნიაობა?

*გუშინ გერბთან დაკავშირებული სადისკუსიო საკითხების განსახილავად განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის სხდომა გაიმართა. კომიტეტის თავმჯდომარესთან ნოდარ გრიგალაშვილთან სტუმრად იმყოფებოდა ისრაელის ელჩი, რის გამოც ნაშუადღევის 2 საათზე დანიშნული სხდომა ერთი საათით გვიან დაიწყო. ბატონმა ვასილ მაღლაფერიძემ და ქალბატონმა მაია ნადირაძემ ჟურნალისტებს თავაზიანად გვთხოვეს კაბინეტის დატოვება. მათი თქმით, ეს გახლდათ არა კომიტეტის სხდომა, არამედ შიდათათბირი, კონსულტაცია, რაც პრესისთვის არ იყო განკუთვნილი. შეგვპირდნენ, რომ ცოტა მოგვიანებით ღია სხდომა გაიმართებოდა, მაგრამ დიდხანს და უშედეგო ლოდინი მოგვიწია.*

კაბინეტში შესვლამდე ბატონ ელდარ შენგელაიას ვკითხე, ჰერალდიკის კომისიამ გაითვალისწინა თუ არა დეპუტატთა შენიშვნები, რაც, ძირითადად, გერბის დევიზს ეხებოდა. ბატონი ელდარის სიტყვით, პარლამენტს ამჯერად წარწერის ორი ვარიანტი წარედგინება და, ალბათ, კენჭისყრით აირჩევა. გერბი მხოლოდ უმნიშვნელოდ შეიცვალაო, — მითხრა ბატონმა ელდარმა, მაგრამ სხდომის შემდეგ სხვა ვითარება აღმოჩნდა. ამაზე ცოტა მოგვიანებით ვილაპარაკებთ.

დახურულ კარს მიღმა სხდომა მღელვარედ წარიმართა. მოხერხებული ასინეთა ბევრი რამის გაგებას შეძლებდა, მაგრამ ჩვენ, ჟურნალისტები კარებს არ ვიყავით აკრული. სიტყვებს ვერ ვარჩევდით, თუმცა ხან ვასილ მაღლაფერიძის და ხან სხვათა გაცხარებული ხმები გვესმოდა.

როგორც იცით, პარლამენტარები გერბზე ძველქართული წარწერის „ძალა ერთობაშია" მხედრულით შეცვლას ითხოვდნენ. ნოდარ გრიგალაშვილი ამაში პრობლემას ვერ ხედავდა — ვინც არ იცის ძველი ქართული დამწერლობა, ისწავლისო.

იხ. მე-2 გვ.

◉ ინფორმაცია

### ზურაბ ჟვანიამ ახალი რწმუნებული წარადგინა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია გუშინ ქუთაისში ჩავიდა. პრემიერმა ქალაქის მერიაში შეკრებილ იმერეთის მხარის ხელმძღვანელ პირებს პრეზიდენტის ახალი რწმუნებული გია გეწაძე წარუდგინა.

ახალ რწმუნებულს და პრემიერს მერიაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული იმერეთში დავით მუმლაძე დახვდათ.

„ეს იქნება თქვენი კაბინეტი, სადაც ყველაფერს გიტოვებთ, მათ შორის — ჩემს პირად კომპიუტერს," — განუცხადა ახალ რწმუნებულს მუმლაძემ.

### ირაკლი ალასანია ერთხმად აირჩიეს

აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე წარდგენილ ირაკლი ალასანიას კანდიდატურას ერთხმად დაუჭირა მხარი.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დღევანდელმა სესიამ, რომლის მუშაობაში 28 დეპუტატიდან 23-მა მიიღო მონაწილეობა, დააკმაყოფილა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ექს-თავმჯდომარის ლონდერ ცაავას განცხადება თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე. ამასთან, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ნაყოფიერი მუშაობისათვის სესიამ ლონდერ ცაავა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სიგელით დააჯილდოვა.

რაც შეეხება ახალ თავმჯდომარეს ირაკლი ალასანიას, სესიის დასრულების შემდეგ „ინტერ-პრესთან" საუბრისას მან კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ, რომელსაც მან დღეს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პრეზიდენტისეული ხედვა გააცნო, სრულად გაიზიარა მიხეილ სააკაშვილის სტრატეგია აფხაზეთის ნაბიჯ-ნაბიჯ დაბრუნების შესახებ.

ალასანიამ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების აღმასრულებელ სტრუქტურებში მოსალოდნელ საკადრო ცვლილებებზე საუბრისგან თავი შეიკავა, თუმცა აღნიშნა, რომ სტრუქტურული ოპტიმიზაციის ფარგლებში „სერიოზულ ცვლილებებს" გეგმავს და კონკრეტულ გეგმას უმაღლეს საბჭოს უახლოეს დღეებში გააცნობს.

ბოლო წლებში ირაკლი ალასანია საქართველოს უშიშროების და თავდაცვის მინისტრების მოადგილედ მუშაობდა.

### დენი – სადღეღამისოდ

კომპანია „თელასი" ზამთრის სეზონზე თბილისის 24-საათიან ელექტრომომარაგებაზე იღებს პასუხისმგებლობას, — განაცხადა ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) სხდომაზე „თელასის" სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა პაატა ცინცაძემ.

მისი თქმით, „თელასი" მზად არის, ქალაქის 24-საათიანი ელექტრომომარაგებისათვის ყველა პირობა შეასრულოს, მათ შორის სომხეთიდან და რუსეთიდან იმპორტი განახორციელოს. „თუ ელექტროენერგიას საბითუმო ბაზრიდან ვერ მივიღებთ, მაშინ წარმოქმნილ დეფიციტს იმპორტით დავაბალანსებთ. მთავარია, ამის შესახებ საბითუმო ბაზარმა გვაცნობოს", — განაცხადა ცინცაძემ.

### ხელმოწერა დღეს გაიმართება

1 ოქტომბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი და ჩინეთის საგანგებო ელჩი საქართველოში სიუი ცზიანგო ხელს მოაწერენ აქტს ტვირთების გადმოცემის შესახებ.

2003 წლის 12 სექტემბერს საქართველოს და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებს შორის მიღწეული შეთანხმების თანახმად, ჩინეთმა საქართველოს 890 ათასი ლარის ღირებულების სასაქონლო გრანტი გამოუყო საორგანიზაციო ტექნიკის სახით.

2004 წლის 16 სექტემბერს ზემოაღნიშნული აღჭურვილობა საქართველოს მხარეს გადმოეცა.

ინტერ-პრესი.

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„ეხო" (ბაქო),
30 სექტემბერი, 2004 წელი

ЭХО

## საქართველოში აზერბაიჯანელთა პრობლემები ასე მწვავედ არ დგას, -

### მიაჩნია საქართველოს პარლამენტის დეპუტატს ალახვერდი გუმბათოვს

**„როსბალტის" სააგენტომ გამოაქვეყნა მასალა, რომელიც ეძღვნებოდა საქართველოში ეროვნული უმცირესობების მდგომარეობას, თანაც მასში მთავარი ყურადღება გამახვილებულია ქვეყნის იმ რეგიონებზე, რომლებშიც კომპაქტურად ცხოვრობს სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობა. ამთავითვე შევნიშნავთ, რომ სტატიის ავტორია ვინმე სამველ მარტიროსიანი. მას გამოაქვს მოულოდნელი დასკვნა: თუ ოფიციალური თბილისი არ აიღებს ხელს ამჟამად განხორციელებულ ეროვნულ პოლიტიკაზე, გარკვეული დროის შემდეგ საქართველოში სომხები და აზერბაიჯანელები დაირაზმებიან ქვეყნის მოქმედი ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად.**

ავტორი წერს, რომ საქართველოში მწიფდება ახალი ეროვნებათაშორისი პრობლემა, რომელიც ჯერჯერობით ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების ჩრდილშია მოქცეული. დაძაბულობა მწვავდება სამცხე-ჯავახეთში — სომხებით დასახლებულ საქართველოს რეგიონში, რომელიც ესაზღვრება სომხეთს, აგრეთვე, მეზობელ ქვემო ქართლში, ძირითადად აზერბაიჯანელებით დასახლებულ ტერიტორიას.

„როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილმა გადაწყვიტა ჯავახეთშიც განახორციელოს ისეთივე პოლიტიკა, როგორსაც იგი ახორციელებს რესპუბლიკის სხვა, უფრო „ცხელ" წერტილებში. ამ ბოლო დღეებში სომხებით დასახლებული ამ რეგიონიდან ვრცელდება საკმაოდ შემაშფოთებელი ამბები, რაც მოწმობს იმას, რომ თბილისი ცდილობს მიაღწიოს ამ რეგიონში ეროვნული საკითხის „პრევენტიულ გადაწყვეტას".

დაძაბულობა რეგიონში გამწვავდა იმის შემდეგ, რაც დაიწყო საქართველოს საბაჟო სამსახურის დეპარტამენტის რეორგანიზაცია. ეს რეფორმა იწვევს საქართველოს საბაჟოს სამცხე-ჯავახეთის განყოფილების ცენტრალიზაციას.

იხ. მე-2 გვ.


## შპს „მაგთიკომი"

MAGTICOM Ltd

შპს „მაგთიკომი" თავის საქმიანობაში იცავს აბსოლუტური გამჭვირვალობის პრინციპს და გაწვდით ინფორმაციას კომპანიის მიერ საქართველოს ეკონომიკაში შეტანილი წვლილის შესახებ.

2004 წლის სექტემბერში შპს „მაგთიკომის" ამ წვლილმა ყოველგვარი ჩათვლის გარეშე შეადგინა **6,865,445.96 ლარი.**

2004 წლის ცხრა თვეში საქართველოს ეკონომიკაში მაგთიკომმა ყოველგვარი ჩათვლის გარეშე შეიტანა **61,186,939.31** ლარი, ხოლო კომპანიის არსებობის 8 წლის განმავლობაში (აგრეთვე ყოველგვარი ჩათვლის გარეშე) **– 201.023.729.96 ლარი.**

| | 2004 წლის [illegible] | 2004 წლის 9 თვის [illegible] |
|---|---|---|
| [illegible] | 1,473,351.30 | 4,265,010.41 |
| [illegible] | 2,936,500.00 | 21,836,341.60 |
| [illegible] | | 20,530,000.00 |
| [illegible] | 1,589,629.30 | 5,057,362.96 |
| [illegible] | | 1,389,999.95 |
| [illegible] | 1,660.80 | 20,033.86 |
| [illegible] | | 344,954.12 |
| [illegible] | | 1,505,060.74 |
| [illegible] | 239,100.00 | 2,076,000.00 |
| [illegible] | 406,900.24 | 2,415,543.24 |
| [illegible] | 31,455.82 | 97,313.72 |
| [illegible] | | 142,191.28 |
| [illegible] | 1,115.50 | 34,017.70 |
| [illegible] | 185,733.00 | 1,473,109.73 |
| [illegible] | 6,865,445.96 | 61,186,939.31 |

შპს „მაგთიკომში" დასაქმებულია 462 თანამშრომელი.

შპს „მაგთიკომი" მუშაობს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს)-ის მიხედვით.

**დევიდ ლი,** გენერალური დირექტორი.


## ინტერპანორამა

**„ბრითიშ აირლაინზის" თვითმფრინავი, რომელშიც 118 მგზავრი იმყოფებოდა, ნიდერლანდების სამხედრო გამანადგურებლებმა აიძულეს ამსტერდამში დამჯდარიყო. თვითმფრინავის მარშრუტის შეცვლის მიზეზად მოსალოდნელ საფრთხეს ასახელებენ, თუმცაღა, ვისგან მოდიოდა ეს საფრთხე, ჯერჯერობით, უცნობია.**



**ბრიტანეთის პატარა კუნძულ პიტკერნზე სულ შვიდი მამაკაცი ცხოვრობს. მეზღვაურთა შთამომავლები ახლახან სასამართლოს წინაშე წარსდგნენ ტურისტთა მასობრივი გაუპატიურებისთვის. ყველაზე საარაკო ის არის, რომ დამნაშავეთა შორის კუნძულის გამგებელიც იმყოფებოდა.**



CYAN BLACK

საქართველოს რესპუბლიკა
№ 228, პარასკევი, 1 ოქტომბერი, 2004 წელი.

◉ პრეზიდენტი

# უფრო მჭიდრო თანამშრომლობის იმედით

ჩეხეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში იოქებ ვრაბეცმა გუშინ საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს რწმუნებათა სიგელი გადასცა.

შეხვედრაზე მხარეებმა ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების გაფართოების აუცილებლობა დაადასტურეს. გამოითქვა იმედი, რომ ჩეხეთ-საქართველოს ურთიერთობები როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ ასპექტში სამომავლოდ კიდევ უფრო მაღალ ხარისხში ავა.

**ინტერ-პრესი.**



◉ დღის თემა

# კრიტიკა თუ წუნიაობა?

**(პირველი გვერდიდან)**

რომან გოცირიძეს კი, მაგალითად, ძალიან ეეჭვებოდა, რომ აწი ნუსხურსა თუ ასომთავრულს შეისწავლიდა. ესეც არ იყოს, მისი აზრით, ბავშვი ყოველდღე უნდა უყურებდეს გერბს და ნაცნობი ასოებით კითხულობდეს – „ძალა ერთობაშია“. თანდათან ამას გაითავისებს, სისხლსა და ხორცში გაუჯდება.

ამასთან დაკავშირებით გამახსენდა ერთი დეპუტატის, ცოტა არ იყოს, ღიმილისმომგვრელი მოსაზრება, რომელიც პარლამენტის სხდომაზე, გამოთქვა გუშინწინ.

– მხოლოდ დამწერლობა კი არა, სიტყვაც უნდა შეიცვალოს. ერთობის ძალა მხეცთათვის არის დამახასიათებელი. ჩვენ მართლმადიდებლები ვართ და უფრო შესაფერისი სიტყვები უნდა შევარჩიოთ, ისეთი, რომ რწმენასა და ეროვნულობას უსვამდეს ხაზს. უმჯობესი იქნება, დავწეროთ, „ძალა ერშია“.

ეს მოსაზრება, ცხადია, საყურადღებო შენიშვნად არ შეირაცხა. რაც შეეხება დამწერლობას, სავარაუდოდ, ის მხედრულით შეიცვლება. ყოველ შემთხვევაში, კომიტეტის სხდომის დამთავრების შემდეგ ასე გვითხრა ჰერალდიკოსმა მალხაზ აფრიდონიძემ. რაკი სხდომა დახურული იყო, პარლამენტარებმა კომენტარებისგან თავი შეიკავეს. ერთადერთი, რისი გაგებაც მოვახერხეთ, ის იყო, რომ ცხარე დავაკამათის შემდეგ გარკვეულ კონსენსუსს მიაღწიეს. ამის დაკონკრეტებისგან თავის შეკავება სთხოვეს მალხაზ აფრიდონიძესაც. თუმცა მან ის მაინც გვითხრა, რომ ამ დახურულმა სხდომამ გერბში ბევრი რამ შეცვალა.



გუშინწინ პარლამენტის რამდენიმე წევრი „უკანმიბრუნებულ“ გერბში რაიმე „წინგამხედვარი“ ნიშნის დამატებას ითხოვდა. ჰერალდიკის სპეციალისტი მალხაზ აფრიდონიძე ამას ეწინააღმდეგება. როგორ უნდა აისახოს მომავლისკენ ხედვა? ვთქვათ, დავახატეთ რაკეტა და ქართველები დიდი ხნის მერეც ვერ გავფრინდით მთვარეზე. რა ვქნათ, ისევე უნდა შევცვალოთ გერბი?

**– გერბში უმნიშვნელოვანესი და აუცილებელია მემკვიდრეობითობა. უნდა აისახოს ისტორიულად არსებული ჰერალდიკური ნიშანი, რომელსაც იცნობს ჰერალდიკური სამყარო. თუ „ვარდების რევოლუცია“ მაცხოვრის საფლავის გათავისუფლებას უკავშირდება, კი, ბატონო, დავხატოთ ვარდი.**

ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. ისე კი, სავალდებულო არ არის, ყველა ერკვეოდეს ჰერალდიკაში. პური მეპურემ უნდა აცხოს. ბატონი მალხაზის სიტყვით, ერთია, ვის არ მოსწონს, ვინ ვერ იგებს რაიმე ჰერალდიკურ ნიშანს და მეორეა ამ ნიშნის არსებობის აუცილებლობა. საქმეში ჩაუხედავ ადამიანთა კრიტიკა, რომელიც მას გერბთან დაკავშირებით ესმის, უფრო წუნიაობას აგონებს.

რაკი კომიტეტის ცხარედ დაწყებული სხდომა სიამტკბილურად დამთავრდა, როგორც ჩანს, დღეს პარლამენტს შეცვლილ გერბს წარუდგენენ.

დახურული სხდომის მონაწილეთა თქმით, შეთანხმების დეტალებს ფართო საზოგადოებას რამდენიმე დღეში გააცნობენ.

**რუსუდან გახარია.**

◉ რეფორმა

# ახალმა პრეზიდენტმა სავაჭრო-სამრეწველო პალატა ახლებურად უნდა „ააჟღეროს“

**სავაჭრო-სამრეწველო პალატები ყველა ქვეყანაში ადგილობრივ მეწარმეებსა და ხელისუფლებასთან, უცხოელ ინვესტორებთან ურთიერთობის ხელშეწყობის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. ამდენად სავსებით გასაგებია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ის, თუ ვინ უხელმძღვანელებს ასეთ ორგანიზაციას, რა საქმიანი და, გნებავთ, ადამიანური თვისებების მქონეა ეს კაცი.**

სწორედ ახალი პრეზიდენტის არჩევა მოუწიათ გუშინ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრებს, რომლებიც სასტუმრო „მარიოტ თბილისში“ შეიკრიბნენ რიგგარეშე საერთო კრებაზე.

კრებას, რომელსაც პირველი ვიცე-პრეზიდენტი შოთა მაქაცარია უძღვებოდა და რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 89 დელეგატმა, დაესწრო საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, რომელიც სიტყვით გამოვიდა.

– საქართველოს მთავრობა ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ ბოლო დროს გარკვეული გაუგებრობების შემდეგ ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატას ეყოლება ახალი, ლეგიტიმური, თქვენს მიერ არჩეული პრეზიდენტი, – განაცხადა ბატონმა ზურაბ ჟვანიამ, – სავაჭრო-სამრეწველო პალატა ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი პარტნიორია. ამ ორგანიზაციის გარეშე მთავრობა, ფაქტობრივად, სრულფასოვნად, მთელი დატვირთვით ვერ საქმიანობს. სადღეისოდ ჩვენი ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვა, უცხოელ ბიზნესმენებთან პარტნიორული ურთიერთობების აწყობა, მუდმივი კონსულტაციების ჩატარება ადგილობრივ მეწარმეებთან, რაც სავაჭრო-სამრეწველო პალატის უპირველეს ფუნქციას წარმოადგენს. იმედი მაქვს, რომ დღევანდელი თქვენი არჩევანი მთავრობას საშუალებას მისცემს სავაჭრო-სამრეწველო პალატის სახით სრულფასოვანი, სერიოზული პარტნიორი მიიღოს, – ასე მიმართა ქართველ ბიზნესმენებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

ბატონმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, რომ სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტობის ორივე კანდიდატი, ბატონი ირაკლი გეგეშიძე და ბატონი ჯემალ ინაიშვილი, ღირსეული პიროვნებაა, თუმცა მთავრობა ამ უკანასკნელს უჭერს მხარს.

მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ როგორც საქართველოს პრეზიდენტის ბატონ მიხეილ სააკაშვილის, ასევე პირადად მისი და მთლიანად საქართველოს მთავრობის უახლოესი თვეების უმნიშვნელოვანესი საზრუნავია ქვეყანაში მეწარმეობისთვის სრულიად ახალი, მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების შექმნა. ამ მხრივ კი ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელსაც მთავრობა ხალხს სთავაზობს, ახალი საგადასახადო კოდექსია, რომლის ზოგიერთი დებულების მიმართ, სამწუხაროდ, ხშირად ყოველგვარი ზღვარს გადასული კრიტიკა გაისმის.



– საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ მთავრობა სრულიად გახსნილია იმისთვის, რომ გააგრძელოს დისკუსია ახალი საგადასახადო კოდექსის ნებისმიერ დებულებებზე, მით უმეტეს მაშინ, როცა მის განხილვას დაიწყებენ პარლამენტში, რომლისგანაც კონსტრუქციული თანამშრომლობის იმედი გვაქვს, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

ბატონმა ზურაბ ჟვანიამ დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ახალ საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვნად, 22-დან 9-მდე, შემცირდება გადასახადების რიცხვი, თანაც მკვეთრად შემცირდება მათი განაკვეთებიც, რაც სახელმწიფო ბიუჯეტს მეტად სოლიდური თანხები დაუჯდება. ხელისუფლება ასეთ მნიშვნელოვან ნაბიჯს იმიტომ დგამს, რომ ეს ფული ისევ მეწარმეებს დარჩეთ, რომლებმაც იგი ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების ზრდასა და წარმოების განვითარება-გაფართოებას უნდა მოახმარონ. მარტო დამატებული ღირებულების გადასახადის 20 პროცენტამდე შემცირება სახელმწიფო ბიუჯეტს დაახლოებით 80 მილიონი ლარი უჯდება. ამავე დროს, გადასახადების განაკვეთების შემცირების გარდა მნიშვნელოვანი სიახლეები იქნება ადმინისტრირების მხრივაც და ეს, მრავალ სხვა საგულისხმო მომენტთან ერთად, საგრძნობი შეღავათი იქნება ქართველი მეწარმეებისთვის.

დასასრულ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთო კრების მონაწილეებს წარმატებული მუშაობა და ღირსეული არჩევანის გაკეთება უსურვა.

როგორც ვთქვით, სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტობის კანდიდატი ორი იყო – ირაკლი გეგეშიძე და ჯემალ ინაიშვილი. თავდაპირველად დამსწრეთა წინაშე გამოვიდა ბატონი ი. გეგეშიძე, რომელიც ამჟამად ფირმა „ბაგრატიონის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრია. ავტობიოგრაფიული ცნობების გაცხადების შემდეგ მან კრების მონაწილეებს სავაჭრო-სამრეწველო პალატის სამომავლო განვითარების პერსპექტივებსა და მიმართულებებზე ელაპარაკა, რომელთა ფრთაშესხმასაც მის პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში აპირებდა. ასეთივე თანმიმდევრობით ილაპარაკა ბატონმა ჯემალ ინაიშვილმა, რომელიც ბოლო დრომდე ფოთის საზღვაო ნავსადგურის უფროსი იყო, რის შემდეგ კრების მონაწილეებმა სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი ღია პირდაპირი კენჭისყრით აირჩიეს. კრების მონაწილეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხმა მისცა ბატონ ჯემალ ინაიშვილს, რომელიც სავაჭრო-სამრეწველო პალატის ახალი პრეზიდენტი გახდა.

ამის შემდეგ კრებამ უკვე ახალი პრეზიდენტის თავმჯდომარეობით დღის წესრიგის ბოლო საკითხი განიხილა. სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის ოთხი გასული წევრის: გ. ახვლედიანის, გ. ჭანტურიას, რ. გორგილაძისა და მ. გოგოლაძის მაგივრად აირჩიეს დ. ონოფრიშვილი, რ. კაკულაძე, თ. ბაკურიძე და ო. ტურანი.

სავაჭრო-სამრეწველო პალატის ვიცე-პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა ი. გეგეშიძემ, ხოლო ახალ ვიცე-პრეზიდენტს შემდეგ საერთო კრებაზე აირჩევენ.

**ოთარ ტურაბელიძე.**

◉ინფორმაცია

ახალი ეტაპი

**„ყველა წინა ცოდვა უნდა გაბათილდეს“**

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას შეფასებით, ახალი საგადასახადო კოდექსი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ახალი ეტაპის დაწყებას შეუწყობს ხელს.**

**„ბოლო პერიოდში ახალი კოდექსის მიმართ ზღვარგადასული კრიტიკა ისმის. ვწუხვარ იმის გამო, რომ ხდება მთავარის იგნორირება – იმისა, რომ გადასახადების რაოდენობა და განაკვეთები მკვეთრად მცირდება. კოდექსის მიღების შემდეგ მთელს ევროპაში არ იქნება ქვეყანა, რომელსაც უფრო დაბალი განაკვეთები ექნება“, – განაცხადა ჟვანიამ და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კოდექსის მიღებით მთავრობა მომავალი წლის ბიუჯეტში ასობით მილიონი ლარის მიღებაზე ამბობს უარს.**

**როგორც პრემიერმა აღნიშნა, საგადასახადო კოდექსის პარალელურად, მთავრობა პარლამენტში საგადასახადო ამნისტიის განხორციელების ინიციატივასაც წარადგენს.**

**„ყველა წინა ცოდვა თუ პრობლემა უნდა გაბათილდეს. აღარცერთ ადამიანს არ უნდა ეშინოდეს იმ ფულის გამოჩენა, რომელიც მან გასულ წლებში დააგროვა. დღეს აუცილებელია ამ ხალხს ახალი ათვლის წერტილი მივცეთ“, – დასძინა მან.**

ფაქტი

**„ჯორჯიან თაიმსს“ გადასახადები არ დაუმალავს!**

**ფინანსურმა პოლიციამ გაზეთ „ჯორჯიან თაიმსის“ ფინანსური დოკუმენტაციის შესწავლა დაასრულა და შედგენილი დასკვნის თანახმად, გაზეთის ხელმძღვანელობის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველი გამორიცხა.**

**ამის შესახებ გუშინ გაზეთის რედაქციაში გამართულ პრესკონფერენციაზე მედია-ჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსის“ პრეზიდენტმა მალხაზ გულაშვილმა და გაზეთის რედაქტორმა გიორგი კაპანაძემ განაცხადეს.**

**როგორც რედაქციაში განმარტეს, „ჯორჯიან თაიმსს“ ფინანსურმა პოლიციამ დავალიანების სახით მხოლოდ 911 ლარის გადახდა დააკისრა, რაც უკვე ანაზღაურებულია.**

**გიორგი კაპანაძის თქმით, 911 ლარიდან უმეტესი თანხა მიმდინარე გადასახადები იყო და „იგი რედაქციაში პოლიციელთა შემოჭრის გარეშეც, კანონიერ ვადებში დაიფარებოდა“.**

**ინტერ-პრესი.**

◉ პრესკონფერენცია

# საქართველოში განსხვავებული აზრი ისჯება!

**ამტკიცებს დამოუკიდებელი ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი და ნათქვამის დასადასტურებლად კონკრეტული ფაქტები მოჰყავს**

**– წინა ხელისუფლების დროს, – აღნიშნა ჟურნალისტთა ფედერაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე მაია ნიკოლეიშვილმა, – უმნიშვნელო ფაქტებზეც კი რეაგირება შეგვეძლო. თუ არასამთავრობო სექტორი, რომელიც დღეს ხელისუფლებაშია, ადრე ადამიანის უფლებებს იცავდა, დღეს სულ სხვაგვარად იქცევა. ზოგიერთის აზრით, როგორც ჩანს, ჩვენ უნდა ჩამოვაყალიბოთ ისეთი საზოგადოება, რომელშიც სიმართლეს ვერავინ იტყვის! მსოფლიოს ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციები ჩვენს მიერ მიწოდებული მასალებით აღშფოთებას ვერ მალავენ. თუ ამ უკანონო დაპატიმრებებითა და ადამიანის წამების შედეგად მიღებული თანხებით უნდა შეივსოს ბიუჯეტი, ეს ხომ ცოდვიანი ფული იქნება, ასე მიღებული პენსიები და ხელფასები არავის შეერგება. სამწუხაროდ, – აღნიშნა ქალბატონმა მაიამ, – წამების ფაქტებზე საუბარი დღეს საქართველოში არავის უკვირს, ამჯერად კი სხვა სახის დანაშაულზე გავამახვილებ ყურადღებას. ეს არის დაქირავებული ცრუმოწმეების შტატის შემოღება საქართველოში.**

მაია ნიკოლეიშვილის თვალთახედვით, სპეციალური პრესკონფერენცია მხოლოდ ადვოკატებისთვის უნდა მოეწყოს და არა ჟურნალისტებისთვის. მართალია, ჟურნალისტებს საზოგადოებამდე მიაქვთ ეს კონკრეტული, უმძიმესი ფაქტები, მაგრამ მე ვთვლი, რომ განგაშის ზარი უნდა შემოვკრათ, რათა ხელისუფლება და სამართალდამცავი ორგანოები გონს მოეგონ. ერთი და იგივე პიროვნება, შეიძლება თანამოწმე იყოს სხვადასხვა ადგილას ჩატარებული ჩხრეკისას? თუ ეს მოწმეები მოვიდნენ ჩხრეკისას, საქმე უკვე „შეკერილია“ და რამდენი ხანიც უნდათ, იმდენს „გაყურყუტებენ“ ციხეში. ვისაც გინდა დაიქირავებ, დაურეკავ და ერთი და იმავე დღეს ეს ცრუმოწმე ასწრებს დაკვეთილ ადგილებზე მისვლას.

მე ხელთა მაქვს 7 საქმე, ყველგან ერთი და იგივე მოწმე მივიდა. იყო შემთხვევა, რომ ადვოკატმა, მოწმე შეიცნო და ხალხმა ცემა ეს კაცი. მე შემიძლია ცრუმოწმეები დავაკონკრეტო: ესენი არიან გიორგი თამაზაშვილი და ზაზა თოდიაშვილი. ეს უკანასკნელი თანამოწმეა 17 აგვისტოს ზაჰესში და იმავე დღეს წინამძღვრიშვილის ქუჩაზე ჩატარებული ჩხრეკებისა. იგივე პიროვნება იყო რუსთავში კობა შუშანაშვილის სახლში ჩხრეკისას. იგივეა თამაზაშვილის შემთხვევაშიც. ეს კაცი გამოძახებისთანავე მიდის და ასრულებს „დავალებას“.

შეიძლება იარაღი, ნარკოტიკი ჩაგიდონ და ცრუმოწმეებმა ეს დაგიდასტურონ, – ამბობს აღშფოთებული მაია ნიკოლეიშვილი. მათ, ვინც ადრე ასეთ ფუნქციას ასრულებდა, მათ პოლიციის „აგენტებს“ ეძახდნენ, ამჟამად, ალბათ, სხვა ტერმინოლოგია ექნებათ. ისინი ამ საქმეზე მუშაობენ. მე გახლდით ზუგდიდის საპყრობილეში. პატიმარი გენო ქულავა სასტიკად არის ნაწამები. იგი ხელჯოხებით სცემეს, „საქანელაზე“ ჩამოჰკიდეს, სასტიკად აწამეს, საკუთარ სახლში ბავშვის საწოლის ქვეშ ხელყუმბარები, ნაღმები და ნარკოტიკი ჩაუდეს...

ხომ ფაქტია, რაც არ უნდა დამნაშავე იყოს მამა, საკუთარი შვილის ოთახში ასეთ საშიშ იარაღს და ნარკოტიკებს არ შეინახავს. პატიმარმა ლობჟანიძემ წამების დროს ენა მოიკვნიტა, სულხან მოლაშვილს, სტრასბურგი რომ არ ჩარეულიყო, მას, ალბათ, წამებით სულს ამოხდიდნენ, დავით მირცხულავას ჯანმრთელობის მდგომარეობა ვიდრე არ დამძიმდა, იგი ციხის საავადმყოფოში არ გადაიყვანეს. ასეთი რამ არცერთი ხელისუფლების დროს არ ხდებოდა. საზოგადოებაში შიშმა დაისადგურა. თუ ყველამ ხმა არ ამოვიღეთ, უკანონო ქმედებები დაკანონდება, – თქვა დასასრულ დამოუკიდებელმა ექსპერტმა მაია ნიკოლეიშვილმა.

**ნანა სულავა.**

◉ წვრთნა

# „ჟურნალისტებს მოულოდნელად დაესხნენ თავს“

საქართველოს შეიარაღებული ძალების კოჯრის სპეციალური დანიშნულების ბრიგადის ბაზაზე გუშინ დასრულდა ოთხდღიანი წვრთნები, რომელიც სამხედრო ჟურნალისტებს თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ინიციატივით, 27-30 სექტემბერს ჩაუტარდათ. ამგვარი წვრთნები წელს პირველად გაიმართა და დაგეგმილია, რომ მომავალში ტრადიციად იქცეს.

სპეცდანიშნულების ბრიგადის ინსტრუქტორებმა ჩაატარეს თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები დღისით და ღამით ტაქტიკური გადაადგილების დროს. ბოლო ორი დღე დაეთმო აერომობილურ მომზადებას, რომლის დროსაც ჟურნალისტებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ვერტმფრენში უსაფრთხო დაჯდომისა და ვერტმფრენის ავარიული დაჯდომის შემთხვევაში მოქმედების წესებს.





წვრთნების ბოლო დღეს საქართველოს თავდაცვის მინისტრისა და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსისთვის საჩვენებელი მეცადინეობები ჩატარდა, რომლის შედეგებით მინისტრი კმაყოფილი დარჩა.

ოთხდღიანი წვრთნების შედეგების შესაფასებლად ჟურნალისტთა ჯგუფებს კოჯრის ბრიგადის სპეცრაზმელებმა მოულოდნელი თავდასხმა მოუწყვეს, რომლის დროსაც ორი მათგანი მძევლად აიყვანეს, თუმცა როგორც ინსტრუქტორებმა განაცხადეს, თავდასხმის დროს „მსმენელმა ჟურნალისტებმა“ შესაბამისად და წესების დაცვით იმოქმედეს. „მძევალთა გათავისუფლების ოპერაცია“ მშვიდობიანად დასრულდა.

რაც შეეხება კოჯორში ჩატარებულ წვრთნებს, მასში მონაწილე ჟურნალისტებს კონფლიქტის ზონაში მუშაობისთვის საჭირო აკრედიტაციის გაცემის დროს პრიორიტეტი მიენიჭებათ.

◉ პრემიერ-მინისტრი

# ზურაბ ჟვანია მზად არის ედუარდ კოკოითს შეხვდეს

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია მზად არის, თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ედუარდ კოკოითს შეხვდეს.**

**„მე მზად ვარ კოკოითთან შესახვედრად, მაგრამ პირველ რიგში კონფლიქტის ზონის განიარაღების საკითხი უნდა განვიხილოთ“, – განუცხადა გუშინ ჟურნალისტებს ზურაბ ჟვანიამ, – საქართველოს ხელისუფლებამ კონფლიქტის ზონიდან შეიარაღებული ფორმირებების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოიყვანა და სეპარატისტების მხრიდან საპასუხო ნაბიჯებს ელის.**

**ჟვანიას განცხადებით, კოკოითთან შეხვედრის გამართვის შემთხვევაში ამ შეხვედრაზე აუცილებლად უნდა დადგეს სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსაზღვრის საკითხიც. გარდა ამისა, საუბარი შეეხება კონფლიქტის ზონაში ჩაშლილი ეკონომიკური, ენერგეტიკული და სასოფლო-სამეურნეო პროექტების განხორციელების პერსპექტივებს.**

**ინტერ-პრესი.**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

**რ. ოუჯევი, „ეხო“ (ბაქო), 30 სექტემბერი, 2004 წელი**

ЭХО

# საქართველოში აზერბაიჯანელთა პრობლემები ასე მწვავედ არ დგას

**(პირველი გვერდიდან)**

ყოველივე ამის შედეგად, სომხეთიდან შემოტანილი ტვირთების განბაჟება უნდა მოხდეს არა ორი ქვეყნის საზღვარზე მდებარე „ნინოწმინდის“ საბაჟო პუნქტში, არამედ საზღვრიდან 300 კილომეტრით დაშორებულ ბორჯომში. უფრო მეტიც, რაიონის მოსახლეობაში იზრდება აღშფოთება საბაჟოში მომავალი საკადრო რეფორმების გამო, რომელთა შედეგადაც სამსახურიდან დაითხოვენ სომეხი ეროვნების ყველა პირს. ჯავახეთი სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე სუსტად განვითარებული რეგიონია. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ადგილობრივი სომეხი მოსახლეობა ცხოვრობს მძიმე პირობებში და თავს ირჩენს ძირითადად რუსეთის 62-ე სამხედრო ბაზაში მუშაობის (ამ ბაზას დახურვა ემუქრება) ან სომხეთიდან შემოტანილი საქონლით ვაჭრობის წყალობით, ნათელი ხდება, რომ თბილისის მიერ გადადგმული ასეთი ნაბიჯი ან გამოიწვევს სომხებით გამოდევნას რეგიონიდან, ან შექმნის ისეთ მწვავე სოციალურ პრობლემებს, რომლებსაც შემდგომში უთუოდ მიეცემა აშკარა ეროვნებათაშორისი ხასიათი.

რეგიონში შექმნილი ატმოსფეროს გაუმჯობესებას არც საგანმანათლებლო სისტემის რეფორმის პროექტები იწვევს, რომელთა შედეგადაც ეროვნულ უმცირესობათა სკოლებში სწავლება მხოლოდ ქართულ ენაზე განხორციელდება, მშობლიური ენის საათების გარდა.

სამწუხაროდ, ჯავახეთში დაძაბულობის გამწვავება მხოლოდ სასკოლო და საბაჟო პრობლემებით როდი შემოიფარგლება. აქ უკვე დაფიქსირებულია იარაღის გამოყენებასთან და სისხლისღვრასთან დაკავშირებული ინცინდენტები“.

შემდეგ ბატონი მარტიროსიანი ცდილობს სომხების მიმართ ოფიციალური თბილისის ურთიერთობის იდენტიფიკაციას აზერბაიჯანელების მიმართ მის მიერ განხორციელებულ პოლიტიკასთან.

„ეროვნულ უმცირესობათა უფლებებისა და ინტერესების შეზღუდვა-შელახვისათვის გამიზნულ ანალოგიურ პოლიტიკას საქართველოს ხელისუფლება ჯავახეთის მეზობელ რეგიონში – ქვემო ქართლში კომპაქტურად დასახლებული აზერბაიჯანელების მიმართაც ახორციელებს. აზერბაიჯანელები პროტესტს აცხადებენ ქართველი პოლიციელების ძალადობის, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის პერიოდული დახურვის, ადგილობრივ პრესაზე ზემოქმედების წინააღმდეგ და სხვა. გარდა ამისა, აზერბაიჯანელებით დასახლებულ ამ რეგიონზე გადის ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი, რაც კიდევ უფრო ამწვავებს სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული მუდმივი კონფლიქტებით გამოწვეულ დაძაბულობას. როგორც ჩანს, სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობის მიმართ განხორციელებული პოლიტიკით პრეზიდენტი სააკაშვილი ცდილობს საიმედოდ გაიმაგროს ზურგი ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, რათა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ მშვიდად „მოჰკიდოს ხელი“ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემის გადაჭრას. მაგრამ თბილისის ასეთმა პოზიციამ, შესაძლოა, უკუშედეგი მოიტანოს – უკვე უახლოესი მომავლისათვის გამოიწვიოს „აფეთქება“ სამხრეთ საქართველოში. ასეთ პირობებში იმის შესაძლებლობაც კი ისახება, რომ ორმა შეურიგებელმა მოწინააღმდეგემ – სომეხმა და აზერბაიჯანელმა – ერთობლივი ძალებით გაილაშქროს საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ“.

რეალური სიტუაციის განმარტებისათვის „ეხომ“ მიმართა საქართველოში აზერბაიჯანული დიასპორის ორ წარმომადგენელს. საქართველოს პარლამენტის დეპუტატი „ეროვნული მოძრაობა – დემოკრატების“ პარტიისაგან ალახვერდი გუმბათოვი არ დაეთანხმა „როსბალტის“ მასალაში გამოთქმულ მოსაზრებებს. „სომხეთის რესპუბლიკის განათლების მინისტრთან მისირ მარდანოვთან და მის ქართველ კოლეგასთან ერთად გუშინ ვიმყოფებოდი მარნეულის, გარდაბნისა და ბოლნისის რაიონების აზერბაიჯანულ სოფლებში. მე მაქვს სრული ინფორმაცია, ჩვენ გავესაუბრეთ მოსახლეობას. და შემიძლია გითხრათ, რომ აზერბაიჯანელებისათვის საგანმანათლებლო ხასიათის პრობლემები მოგვარდა სახელმწიფოთა შორის დონეზე, მინისტრებს შორის მოლაპარაკების დროს“. სხვათა შორის, როგორც ალახვერდი გუმბათოვმა თქვა, „განათლების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის დებულებების გაკრიტიკება ახლა ძალზე ნაადრევია, რადგან ეს კანონი ჯერ საერთოდ არ მიულიათ. „მე ვმონაწილეობდი პარლამენტის სხდომებში, რომლებზეც განიხილეს კანონის დეტალები. ჩვენ ყოველდღიურად ვმუშაობთ ამ საკითხებზე. სხვათა შორის, ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, თუ კანონის რომელ ვარიანტს მოიწონებს პარლამენტი, რადგან ასეთი ვარიანტი რამდენიმეა და ისინი განსხვავდება ერთმანეთისგან“.

„როსბალტის“ სტატიას გუმბათოვმა უწოდა სომხური პროვოკაცია. „ასეთი პროვოკატორები არიან საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს შორისაც“. გუმბათოვის თქმით, სწორედ ასეთი სომხები და აზერბაიჯანელები ასხამენ წყალს საქართველოს მტრების წისქვილზე, ასრულებენ მათ შეკვეთებს.

„აზერბაიჯანელებს პრობლემები მართლაც აქვთ, მაგრამ ხდება მათი გადაჭრა, რა თქმა უნდა, საკადრო საკითხებიც არის, ამას საკუთარი თვალით ვხედავ. მაგრამ საქართველო აკეთებს ყველაფერს რაც შეუძლია“, – განაცხადა საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა.

ამ პრობლემის თაობაზე საწინააღმდეგო მოსაზრება აქვს საქართველოს ეროვნული მოძრაობის „ჰეირათის“ მეთაურს ალიბალა ასკეროვს. „როცა სააკაშვილი მოვიდა ხელისუფლების სათავეში, იგი უამრავი რეგიონალური საკითხის მოგვარებას დაპირდა როგორც სომხებს, ისე აზერბაიჯანელებს. ეს არის მიწის, საკადრო პრობლემები. მაგრამ დღემდე პრეზიდენტი ყველაფერს პირიქით აკეთებს. არ ასრულებს დანაპირებს. აზერბაიჯანელებმა დატოვეს სახელმწიფო პოსტები, რადგან ისინი განიცდიდნენ როგორც ოფიციალურ, ისე არაოფიციალურ ზემოქმედებას. ქართული ენის ცოდნის დონეც გახდა არაქართველების სამუშაოდან დათხოვნის საბაბი. ახლა აზერბაიჯანელი ეროვნების უბნის პოლიციელებსაც კი ათავისუფლებენ სამსახურიდან იმის გამო, რომ მათ ქართული ენა არ იციან“. გარდა ამისა, სხვადასხვა სახის პრობლემა ყოველდღიურად წარმოიქმნება ხოლმე აზერბაიჯან-საქართველოს საზღვარზე, მიაჩნია ასკეროვს.

„არის ზოგიერთი მომენტი, როცა სომხები და აზერბაიჯანელები ხელისუფლების წინააღმდეგ კონსოლიდირებულად გამოდიან. ასე იქნება შემდგომშიც“, – თქვა „ჰეირათის“ ლიდერმა. კერძოდ, განათლების რეფორმა დამღუპველი იქნება როგორც აზერბაიჯანული, ისე სომხური ეროვნული სკოლებისათვის. „ამ საკითხებშიც ჩვენ საქართველოში მცხოვრებ სომხებს ამოვუდგებით მხარში“. როგორც ასკეროვმა აღნიშნა, სომხებსა და აზერბაიჯანლებს ჯერჯერობით ასეთი ერთობლივი აქციები არ განუხორციელებიათ. „მაგრამ ჩვენ გვაქვს კონტაქტები ისეთ არასამთავრობო ორგანიზაციასთან, როგორიც არის „მრავალეროვნული საქართველო“, რომელსაც ხელმძღვანელობს არნოლდ სტეფანიანი. გარდა ამისა, სომხებს კიდევ აქვთ ორგანიზაცია „ჯავახქი“, თუმცა ჩვენ მათთან კონტაქტები არ დაგვიმყარებია“.

**მოამზადა სიმონ კილაძე.**

ახირება

# კაცმა კაცისა თქვა, საქმემ – ორივესიო,

## ანუ რატომ აზუზუნებს თავის ჭკუაზე ზოგიერთი ასი წლის წინათ წიწამურში გავარდნილ ტყვიას



*ამას წინათ ერთი ფრიად სახელიანი ლიტერატორი „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებიდან იტყობინებოდა, ისტორიკოსმა გურამ ყორანაშვილმა ახალი წიგნი გამოაქვეყნა „წიწამურის ტრაგედიის საიდუმლოო“, და იქვე უხსნის მკითხველს, რომ ავტორი თურმე საკითხის კვლევის ისტორიაში პირველად იყენებს ისტორიზმის პრინციპს, ესე იგი, მოვლენებს განიხილავს თითოეული ამ მოვლენის ჩასახვის, განვითარებისა და ურთიერთკავშირის დიალექტიკური თანმიმდევრობითო, კარგად ფლობს ინდექციური აზროვნების მეთოდებსო, ანუ კერძო მოვლენის ანალიზიდან ლოგიკურად გამოჰყავს ზოგადი დასკვნებიო, თანაც კიდევ ერთგულად იცავს ისტორიული კაუზალობის სქემას და, როგორც რაიმონ არონი იტყოდა, ფენომენის არსს აფიქსირებს სამი ცნების – შემთხვევითობის, პასუხისმგებლობისა და მიზეზის ურთიერთქმედებაშიო. ასე და ამგვარად დაადგენს დანაშაულის კვალს, რომლის სათავე იოსებ ჯუღაშვილამდე მიდისო... დიახ, დიახ, სიტყვასიტყვით ასე წერს. სხვანაირად აბა, როგორ მოაწონებდა და როგორ დააწყებინებდა მკითხველს გ. ყორანაშვილის ხსენებული წიგნის ძებნას, სადაც თურმე ბოლოს და ბოლოს საუკუნის მკვლელობის საიდუმლოებაა ამოხსნილი, ანუ ფარდაახდილი.*




სანამ მსჯელობას განვაგრძობდე, საჭიროდ მიმაჩნია, რომ აქვე, თავშივე განვმარტო ამ არცთუ მარტივ აბზაცში მოხმობილი რამდენიმე ტერმინი, რათა უფრო ადვილგასაგები გავხადო აზრი უცხო სიტყვათა ლექსიკონში ჩაუხედავად. ინდუქცია, მოგეხსენებათ, აზროვნების მეთოდია და კერძო ფაქტებიდან, ცალკეული დებულებიდან ზოგადი დასკვნის გამოყვანას ნიშნავს (საპირისპიროა დედუქცია), კაუზალობა იგივ მიზეზობრივობაა, ხოლო ფენომენი, ჩემზე კარგად იცით, იშვიათი, უჩვეულო, განსაკუთრებული მოვლენაა, დაფიქსირებას კი რაღა განმარტება უნდა – ამ სიტყვამ ხომ ნამდვილად წალეკა თანამედროვე ქართული მეტყველება. რაც შეეხება უთუოდ დიდ მეცნიერ რაიმონ არონს, ვერ მოგატყუებთ, გაგებაში არა ვარ, სადაური სწავლული კაცია, ამ შემთხვევაში ავტორისგან ჩვენდა ჭკუის სასწავლებლად და თავის მცოდნეობის დასტურად ხსენებული.

ამ წერილიდან იმასაც ვიგებთ, რომ ახლახან გ. ყორანაშვილის ეს წიგნი ყვარელში განუხილავთ, სადაც წიგნის ავტორს მთელი ყვარლის გასაგონად უთქვამს (რასაკვირველია, ყვარლის მთებიც გაიგონებდნენ): „მწამდა, რომ ილია იყო ჩვენი მოსე, რომელსაც უდაბნოდან ქანაანში უნდა გავეყვანეთ, მაგრამ ასე არ მოხდა და სწორედ ეს არის ტრაგედია ჩვენი ისტორიისაო“.

აი, ამ ჩვენი ისტორიის ტრაგედიას იკვლევს წინასწარ ავაზრებაკვიატებული ისტორიკოსი „ინდუქციური მეთოდების“ გამოყენებით („ლიტერატურულმა გაზეთმა“ მომდევნო ნომერში მთელ ორ გვერდზე გადმობეჭდა „წიწამურის ტრაგედიის საიდუმლოდან“ ერთ-ერთი თავი – „ვინ იყო იდუმალი „იმერელი“, „იმერელი ბიჭი?“).

როგორი ამბავია: ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ქართველის მკვლელობაში გინდა-არ გინდა ასევე მეორე უდიდესი ქართველი პიროვნება „ურევია“, ქართული სიტყვის მადლით გასხივოსნებულ ცხოვრების გზაზე ამ თავისი „მსხვერპლისგან“ ხელდასხმული.

„მცირე ნადირთა ხოცვა“ რა დიდი მეცნიერის საქმეა. თუ მართლა დიდი ხარ, დიდ კაცებს უნდა შეეჭიდო, უფრო სწორად, ისინი დააჭიდო ერთმანეთს, ტყუილი და მართალი ერთმანეთში აზილო და ერთ-ერთის სახელის გატეხით, ანუ საქვეყნოდ მოყივნებით, შენ გამორჩეული მეცნიერის გვირგვინი დაიდგა. მთავარია, რაც შეიძლება, დამაჯერებლად დააბრალო კაცს დასაბრალებელი. წამკითხველთაგან ცოტა ვინმე ხომ მაინც დაგიჯერებს. მით უმეტეს, თუ ყველა ადამიანი „ინდექციურად ვერ აზროვნებს“.

მაინც როგორ ახერხებს ჩვენში ეს ერთობ ახირებულ კაცად ცნობილი გ. ყორანაშვილი ამ საუკუნის მკვლელობის „გახსნას“? რა უტყუარ ისტორიულ საბუთებს იშველიებს?

ყველაფერი ერთად ვნახოთ, პირუთვნელო მკითხველო, მიუკერძოებლად ავწონ-დავწონოთ ეს „საბუთები“ და მტყუან-მართლის გარჩევა შენზე იყოს.

მაშ, კვალდაკვალ მივყვეთ ამ ჩვენი ერთობ ახირებული ავტორის „ინდუქციურ მეთოდს“.

სანამ სათავემდე, ანუ იოსებ ჯუღაშვილამდე მივალთ, დასადგენია მხოლოდ ერთ-ერთი მკვლელის, ვინმე „იმერელი ბიჭის“ საკითხი, რომელი იმერლის ვინაობის დადგენაც, აკაკი ბაქრაძის თქმით, თურმე არავინ უწყის, მოხერხდება თუ არა ოდესმე.

შენ კაცის ახირება მითხარი, თორემ დაუდგენელი ამ ქვეყანაზე არაფერია.

ამ ჩვენი ერთობ ახირებული ისტორიკოსის ახირებას კი ნამდვილად საზღვარი არა აქვს, როგორც უნდა, ისე ატრიალებს ისტორიას წაღმა-უკუღმა... თავად მოუსმინეთ, ბატონო: თურმე ყარამან ფაღავა 1933 წელს ალექსანდრე სიგუას ფრიად საიდუმლოდ ანდობდა, ახლა მოხუცებული ვარ და საფლავში არ მინდა ჩავიტანო, უნდა გაგიმჟღავნო, რომ მაშინ, ილიას მკვლელობის ძიების დროს, ჩემთან ბევრი ქართველი ინტელიგენტი მოდიოდა და მეუბნებოდა, რატომ არ ზის საბრალდებო სკამზე იმერელი ბიჭი სერგო ორჯონიკიძეო, რომელიც გიგლა ბერბიჭაშვილის გვერდით იდგა და რომლის თოფიდან გასროლილი ტყვია მოხვდა ილიას შუბლშიო. იმავე სიგუას „მოგონების“ მიხედვით, მერე თურმე ლავრენტი ბერია თავის კაბინეტში ილიას ერთ-ერთ მკვლელად (ორგანიზაციის თვალსაზრისით) „რესპუბლიკის პრეზიდენტს“ ფილიპე მახარაძეს ადებდა ხელს და იქვე მოიხსენიებდა „მეორე მკვლელსაც (პირდაპირი, უშუალო მნიშვნელობით), სტალინს „კომისრად რომ ეჯდა“ – სერგო ორჯონიკიძესო.

მერმე ახლა ცნობილი ქართველი რეჟისორი დოდო ანთაძეც იგონებდა თურმე, ქუთაისის უშიშროების შეფმა, გენერალ-მაიორმა დემუროვმა მე და ირაკლი აბაშიძეს გვიამბო, რომ ბერბიჭაშვილს ერთ-ერთი დაკითხვისას უხსენებია „იმერელი“, რომელიც მე ვიცი, სერგო ორჯონიკიძეაო. ალექსანდრე სიგუასა და დოდო ანთაძის გარდა, ასე თურმე-თურმე წერდნენ და წერენ ვახტანგ გურგენიძე, (რომელსაც ყველა სხვა საარქივო დოკუმენტი დაკარგული ეგონა და ამდენად ხელი არაფერზე მიუწვდებოდა), გურამ შარაძე, გიორგი ბეზირგანი. ყველაზე დიდ მნიშვნელობას კი ეს ჩვენი ერთობ ახირებული ისტორიკოსი მაინც ვახტანგ გურგენიძის მიერ 1954 წელს ვინმე ჯურუყველი ფუცუნია მაჭავარიანისგან ჩაწერილ ცნობას ანიჭებს, რომელსაც ფასდაუდებელს უწოდებს. ქალბატონ ფუცუნიას 1905 წლის ამბები თურმე ჯერ კიდევ გუშინდელივით ახსოვდა.

ჯურუყველი ფუცუნიას ნაამბობს კი ისტორიკოსის ასეთი „ინდუქციური“ დასკვნა მოსდევს: სერგო ორჯონიკიძემ სტალინთან, ფილიპე მახარაძესთან და სხვებთან ერთად, უსაზიზღრესი როლი ითამაშა საქართველოს უახლოეს ისტორიაშიო.

ასე თურმეობითა და მგონიაობით ამოგვაყოფინა თავი მართლაცდა თავის მომჭრელად სამარცხვინო ისტორიაში ამ ჩვენმა ერთობ ახირებულმა გურამ ყორანაშვილმა, რომელსაც თავის არცთუ მცირე მოცულობის „გამოკვლევაში“ ერთხელაც არ გახსენებია ჯერ კიდევ 2000 წელს გამოცემული აწ განსვენებული ფრიად თვალსაჩინო იურისტის **ალექსანდრე შუშანაშვილის** ნამდვილად უზადო მეცნიერული კეთილსინდისიერებით დაწერილი **„წიწამურის ტრაგედია“**, სადაც პირველად არის შესწავლილი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის სამართლებრივი ასპექტები. ამ თვალსაზრისით კი ეს მკვლელობა არც ადრე და არც მერე არავის განუხილავს.

იხ. მე-5 გვ.

სისხლის ყივილი

# არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ... ჩიქოვანების ოჯახში!

**ექიმს, მეცნიერს, მუსიკოსს, ქართული ტრადიციების ქომაგს, ჩიქოვანების მუსიკალური ოჯახის მამას ზურაბ ჩიქოვანს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა.**


იფიგენია შარაშიძე და ზურაბ ჩიქოვანი.

არიან ადამიანები, რომელთა დამსახურება ქვეყნისა და ერის წინაშე შეუძლებელია ერთ სფეროში მოღვაწეობით განისაზღვროს. მათი ღვარძლი და შემოქმედება მრავალმხრივია. სწორედ ასეთი გამორჩეული, მართლაც კოლორიტული პიროვნებაა ზურაბ ჩიქოვანი.

ჩიქოვანების მუსიკალურ ოჯახზე ძალიან ბევრი თქმულა და დაწერილა. დღეს, სამწუხაროდ, ასეთი ოჯახები თითზე ჩამოსათვლელია. არადა, ისინი – ტრადიციების ერთგული ოჯახები განსაკუთრებით სჭირდება ქვეყანას.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ ზურაბ ჩიქოვანს, როგორც ხელოვანს, ქართველი საზოგადოება კარგად იცნობს, მაგრამ მისი მეცნიერული მემკვიდრეობის შესახებ ძალიან ცოტა იცის. იგი მართლაც იშვიათი ადამიანია.

ბატონი ზურაბი არის კაცი, რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-80-იან წლებში მთელი პასუხისმგებლობით შეებრძოლა საბჭოთა ფსიქიატრიაში შექმნილ უმძიმეს დარღვევებს და უკომპრომისო პოზიცია არ შეუცვლია. უფრო მეტიც, საკუთარი პიროვნებისა და ოჯახის უსაფრთხოების რისკის ფასად წინ აღუდგა ამ ურთულეს დარგში ფეხმოკიდებულ უაღრესად მძიმე და ამორალურ ქმედებას, კერძოდ, პიროვნების ღირსების წინააღმდეგ ფსიქიატრიის გამოყენებას, დიაგნოზებითა და ნარკოტიკებით ვაჭრობას. ფსიქიატრიის მესვეურებმა მას არაერთხელ შეუტიეს, მკაცრი ზომებიც გაატარეს. ეს წლები ზურაბ ჩიქოვანისთვის მეტად მძიმე იყო, მაგრამ 1989 წელს, თვით საბჭოთა ფსიქიატრიის გრანდებმა ოფიციალურად აღიარეს მედიცინის ამ დარგში არსებული დარღვევები და ზურაბ ჩიქოვანის შინაგანი პატიოსნება.

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მან ქალაქ ერევანში მოიპოვა. შემდეგ კი პეტერბურგში, ბეხტერევის სახელობის ფსიქონევროლოგიის საკავშირო ინსტიტუტში წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. გამოქვეყნებული აქვს ორმოცდაათამდე მეცნიერული ნაშრომი ფსიქიატრიის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე, მეთოდური რეკომენდაცია სამედიცინო პრაქტიკასა და თეორიაში ხელოვნების გამოყენების პრობლემებზე. იმუშავა ექიმი ფსიქიატრის, ინსტიტუტის განყოფილების გამგის, თბილისის მთავარი ფსიქიატრის, თბილისის ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარი ექიმის თანამდებობებზე, ამჟამად ბატონი ზურაბი შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი ფსიქიატრისა და ნარკოლოგის საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობს.

როგორც მუსიკოსი, მოღვაწეობდა კონსერვატორიის საოპერო სტუდიის ქორმეისტერად, მონაწილეობდა ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“, „დაისის“, აგრეთვე, მოცარტის „ფიგაროს ქორწინების“, ვერდის „ტრავიატას“, როსინის „სევილიელი დალაქის“ და სხვა საოპერო სპექტაკლებში. არის ერთობ პოპულარული სიმღერების ავტორი. მუსიკალურ-პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად, ზურაბ ჩიქოვანი წლების განმავლობაში ფსიქიატრიაში დანაშაულებრივი ვითარების წარმოშობის პრობლემატურ საკითხზე მუშაობდა.

ქართული სამედიცინო აზრის აღიარება იყო ის ფაქტი, რომ ზურაბ ჩიქოვანი საკავშირო სამედიცინო აკადემიის ერთიანი სამეცნიერო-საკვლევ გეგმაში ამ პრობლემების კურატორად აღიარეს. აი, რას წერს სომხეთის ფსიქიატრთა და ნევროპათოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების დამფუძნებელი და თავმჯდომარე, სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პროფესორი ალექსანდრე მეგრაბიანი: მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ღირსეულად დაფასდეს და წარმოჩინდეს ბატონ ზურაბ ჩიქოვანის მეცნიერული და პრაქტიკული მოღვაწეობა ფსიქიატრიის ასპექტში, მას საშუალება უნდა მიეცეს, ბოლომდე დაამუშაოს ფსიქიატრიაში ახალი კონცეფციების ჩამოყალიბების მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული პრინციპების მისეული სისტემა.

ზურაბ ჩიქოვანის როგორც ექიმი-მეცნიერის დამსახურება დიდია სულით ავადმყოფთა მხატვრული შემოქმედების ურთულეს სფეროშიც. მისი სადოქტორო დისერტაცია **„ფსიქიატრიული რეაბილიტაციის სისტემაში მხატვრული შემოქმედების დანერგვის თეორიული საფუძვლებისა და ორგანიზაციული ფორმების შესახებ“** ქართულმა საზოგადოებრიობამ ჯერ კიდევ არ იცის, რა დიდი შემეცნებითი მნიშვნელობის ინფორმაციას მოიცავს, და საერთოდ მისი ოცდაათწლიანი მეცნიერული კვლევა ეს არის არა მარტო ქართული სამედიცინო დარგის ღირსება და ავტორიტეტი, არამედ იგი უსათუოდ მიიპყრობს ბიოლოგიის, ლიტერატურის, მწერლობის, ხელოვნებათმცოდნეობის, ფილოსოფიის, სოციოლოგიის, იურიდიულ მეცნიერებათა, ესთეტიკის, ანთროპოლოგიის, თეოლოგიის და სხვა დარგების სპეციალისტთა ყურადღებას, – ვკითხულობთ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, აწ გარდაცვლილი აკადემიკოსის ირაკლი ჭუმბურიძის შეფასებაში.

ბატონმა ზურაბმა და მისმა შესანიშნავმა მუსიკალურმა ოჯახმა ფასდაუდებელი ღვაწლი დასდეს ჩვენს ეროვნულ კულტურას, თავისი ცხოვრების წესით, მდიდარი შემოქმედებითა და უბადლო საშემსრულებლო ოსტატობით. განუზომელი სიყვარულიც დაიმსახურეს. საბჭოეთის უზარმაზარ სივრცეებში ჩიქოვანებმა ქართული ოჯახის ფენომენი გაიტანეს. თავად იგი და მისი ოჯახის თითოეული წევრი საზოგადოებაში განსაკუთრებული მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობით გამოირჩევა. ალბათ საჭიროა, მთელმა მსოფლიომ გაიცნოს ჩიქოვანების ოჯახის სამი თაობის წარმომადგენლების უნიკალური შემოქმედება, რათა ყველამ თვალნათლივ იხილოს, რა ხიბლი, სილამაზე და ჰაეროვნება ახასიათებს ერთ რიგით ქართულ ოჯახს.

**ნანა სულავა.**


ჩიქოვანების ოჯახი.

ინფორმაცია

დაპირისპირება

### სტუდენტები ფოთის თეატრს თანაუგრძნობენ

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქვარიანი გუშინ თბილისის თეატრალური უნივერსიტეტისა და კონსერვატორიის სტუდენტებს შეხვდა, რომლებიც ფოთის თეატრის დასის დაცვას ითხოვენ.**

**ფოთის ცენტრალურ მოედანზე მდებარე თეატრის შენობის ირგვლივ დავა უკვე ორი წელიწადია გრძელდება. დაახლოებით ერთი წლის წინათ თეატრის შენობის თავზე ჯვარი აღიმართა. მაშინ ერთ-ერთმა მსახიობმა ჯვარი ჩამოხსნა. მიმდინარე წლის 27 სექტემბერს, ღამით, ეპარქიის მრევლის წევრებმა შენობის თავზე ჯვარი კვლავ აღმართეს.**

**როგორც სტუდენტებმა მინისტრის მოადგილეს აცნობეს, დავის გადასაწყვეტად ახალი თეატრისთვის მიწის ნაკვეთი გამოიყო, თუმცა მშენებლობა არ დაწყებულა, მსახიობები კი თეატრის ძველი შენობიდან გასვლას არ აპირებენ.**

**როგორც ფოთის მერი აცხადებს, ერთი თვის განმავლობაში გაირკვევა თეატრის სტატუსი, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება არსებული დაპირისპირების აღმოფხვრის გზებზე მსჯელობა.**

ოპოზიცია

### კობა დავითაშვილი კვლავ უკმაყოფილოა

**საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივას ავტოტრანსპორტის ტექნიკური დათვალიერების გაუქმებასთან დაკავშირებით, პარლამენტში პრობლემები შეექმნა.**



**პარლამენტარი კობა დავითაშვილი აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით ალტერნატიულ წინადადებას აყენებს და აცხადებს, რომ ტექნიკური დათვალიერებები ავტოტრანსპორტს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეს, თუმცა მისი ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა ანაზღაურდეს.**

**დავითაშვილის გაღიზიანება გუშინდელ პლენარულ სხდომაზე იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ პარლამენტში შემოსული კანონპროექტის მიხედვით, ავტოტრანსპორტის ტექნიკური დათვალიერება მხოლოდ მსუბუქ ავტოტრანსპორტზე გაუქმდება, ხოლო იმ ტრანსპორტზე, რომელიც ტვირთგადაზიდვებსა და მგზავრთა გადაყვანას ახორციელებს, ტექდათვალიერებები მაინც სავალდებულო იქნება.**

**ინტერ-პრესი.**

ჟურნალისტი მივლინებიდან დაბრუნდა

# 1. ჭანთა მიწა დიდი გამოცდის წინ

**და მიმაქვს ფიქრი წალენჯიხაზე...**
**ტერენტი გრანელი.**

### რევოლუციის ავტობუსი

2003 წელი, გიორგობისთვის გიორგობის დღესასწაულის წინა დღეები.

ბორგავდა საქართველო, კიდევ ერთი რევოლუცია უახლოვდებოდა არაერთი რევოლუციის გადამტან ჩვენს მამულს.

მსოფლიო მასმედიის მზერა ჩვენსკენ მომართულიყო. რადიო, ტელევიზია, პრესა – ყველას დროებით, თითქოს, დავიწყებოდათ დედამიწაზე დანთებული სხვა „ცხელი წერტილები“ და საქართველოში მიმდინარე პროცესებზე იმტვრევდნენ თავს.

ზოგი ობიექტურად, ზოგიც სუბიექტურად, ზოგიც ჭორად და ყურმოკრულად იტყობინებოდა კავკასიის ამ პატარა ქვეყნის ბიოგრაფიას.

ჩვენს გზა-შარებზე კი მოედინებოდა ლალისფერ მარგალიტებად აკინძული მძივი, ვითარცა ოქრომკედით დაწნული ზონარი.

გიორგობისთვეში ვარდებითა და საოცარი რწმენით მოდიოდა რევოლუცია!

საქართველოს ტრასებზე, ღამეულ უკუნეთში ბრდღვიალებდნენ ავტომობილების მძლავრი მაშუქები. მათ წინ მოუძღოდა „იკარუსი“, რომლის საქარე მინაზე ეწერა – „წალენჯიხა – თბილისი“...

წალენჯიხელები აღტაცებულები ურეკავდნენ ერთმანეთს, – წალენჯიხის ავტობუსი მოუძღვისო რევოლუციის კოლონას! ამ ავტობუსში საქართველოს მომავალი პრეზიდენტი იჯდა.

„რევოლუციის ავტობუსი“ შეარქვეს წალენჯიხელებმა ამ მანქანას.

ახლა, სწორედ, ამ ავტობუსში ვზივარ მეც, ჩემთვის, ჩუმად და რედაქციისგან დავალებულ თემაზე ვფიქრობ, – რა მოუტანა რევოლუციამ წალენჯიხას, რა აქვს საწუხარი და სადარდებელი? ჩავალ და ვნახავ, გავიხსენებ ძველსა და ახალს, სევდიანსა და სახალისოს, მანამდე კი მოგონებებში ამოტივტივდა 1992 წლის ზაფხულის პაპანაქებითა და ქართველთა უმეცრებით გათანგული დღეები:

სამეგრელოსკენ დაიძრნენ ტანკებისა და „ბეტეერების“ კოლონები; ძმამ ძმის სისხლი დაღვარა. აწიოკებული ოჯახები და ნასახლარზე ეულად დარჩენილი ბუხრები საშინელი სანახავი იყო (არის დღესაც!)

წალენჯიხელებსა და წალენჯიხას დღემდე ახსოვთ იმ დღეთა სიმწარე. რამდენი რამე მაგონდება მეც, მაგრამ...

მოუვლელი, გავერანებული ჩაისა და ტუნგოს პლანტაციები დაუძონძია ნარეკალს, ჩამქრალნი და გარინდებულნი მიმაცილებენ გზადაგზა ოდესღაც ქოთქოთა ჩაის ფაბრიკები და საამქროები.



სულგაკმენდილი ქვეყანა, თითქოს, ელოდება ვიღაცას თუ რაღაცას! მშვიდად და მოთმინებით შეჰფენია გორმახებს ჩემი ჩქვალერი და ობუჯი, ჯვარი და ნაკიფუ, ჯგალი და საჩინო, ჭალა და ფახულიანი, ლია და მაზანდარა, სქური და ფუქი! – ერთმანეთზე უკეთესი, დახატული სოფლები...

რაიონულ ცენტრში კი უტუ მიქავას ძეგლი მელოდება, ვითარცა სიმბოლო თავისუფლებისათვის ამბოხებული სულისა.

– დღეს რაიონის ბიუჯეტს ვიხილავთ, გამგეობის გაფართოებული სხდომა გვაქვს, – შემატყობინა ბატონმა **ტარიელ ჯანჯღავამ**, წალენჯიხის რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ, ვისთან საუბრითაც უნდა დაიწყოს ჩემი მივლინების დრო და ბორჯალი. და ვგრძნობ წინასწარ, მიუხედავად ბოლოხანებში გამომკრთალი ნათელისა, ძველებურად „აღტაცებული“ არ იქნება საუბარი ჩვენი!..

### არშემდგარი ინტერვიუ...

იმ დღეს, 2004 წლის პირველი ნახევრის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ეკონომიკის ფუნქციონირებისა და ბიუჯეტის შესრულების შედეგებს, მართლაც, იხილავდნენ წალენჯიხის რაიონის გამგეობაში.

აი, რამდენიმე ამონარიდი გამგეობის პრეს-რელიზიდან:

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში რაიონში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ეკონომიკური სფეროს ფუნქციონირების განვითარებისთვის განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სტაბილურ, უსაფრთხო სამეწარმეო საქმიანობის ფორმირებას, საგადასახადო-საბიუჯეტო საქმიანობის გაუმჯობესებას, რის შედეგად საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტი შესრულდა... რაიონს სახელფასო და საპენსიო დავალიანება, საბედნიეროდ, არ გააჩნია...

2004 წლის 6 თვეში რაიონის სამრეწველო საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობამ 565 ათასი ლარი შეადგინა, რაც 211 ათასი ლარით მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით... გამოშვებული პროდუქციის ასივე პროცენტი კერძო სექტორზე მოდის. ამასთან, სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წილი მთლიანი პროდუქციის მოცულობაში ერთობ მცირეა. რაიონში რეგისტრირებული 72 სამრეწველო საწარმოდან 9 საწარმომ კიდევ უფრო შეამცირა თავიანთი მონაცემები. მიუხედავად ამისა, მიმდინარე წლის ექვს თვეში გამოშვებული სამრეწველო პროდუქციის მოცულობა, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 160 პროცენტითაა გაზრდილი. ამ მონაცემის თითქმის 30 პროცენტი პურპროდუქტებზე მოდის.

რეფორმების შედეგად რაიონში ჩამოყალიბდა და რეგისტრაციაში გატარდა სოფლის მეურნეობის 27 საწარმო, მათ შორის 12 სააქციო საზოგადოება, 13 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი და 2 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

რაიონში 2250 ჰექტარზეა გაშენებული ჩაის პლანტაცია, აქედან 1287 ჰექტარი, კარგა ხანია ჩამოსაწერი, ანუ ამოსაძირკვია!

რაიონში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გარკვეულწილად გაიზარდა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ტემპიც, მაგრამ ეკონომიკურ სფეროში სერიოზული კაპიტალური დაბანდება არ შეიმჩნევა. ერთადერთი, რაც შეიძლება, თვალში საცემი იყოს, ეს შიდა სარაიონო გზებისა და რაიონული ცენტრის ქუჩების კეთილმოწყობის მცდელობა გახლავთ და ისიც საგზაო სამმართველოს მთელი კოლექტივისა და პირადად მისი თავკაცის ორდენ ღვინჯილიას ენთუზიაზმის დონეზეა დამოკიდებული. ენთუზიაზმით კი, მოგეხსენებათ, ბევრს ვერ გაწვდები. მიუხედავად იმისა, რომ შედარებით კეთილმოეწყო წალენჯიხა-ნაკიფუს, ლია-წალენჯიხის დამაკავშირებელი გზები, კვლავ გაუვალია ჯვარი-ჩქვალერის, წალენჯიხა-ობუჯისა და სხვა სოფლებისკენ მიმავალი გზები. რაიონში სავალალო მდგომარეობაშია ელექტროხაზები.

პრეს-რელიზში, როგორც წესი, მინიშნებულია ცენტრალური და რაიონის ტერიტორიული ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულების შესახებ, მაგრამ საკითხავია, როგორია ეს გეგმები? და აქვე შეგვიძლია გავცეთ პასუხი: – იმ პოტენციურ შესაძლებლობებთან შედარებით, რომელიც რაიონს გააჩნია (თუ გააჩნდა!) – მიზერული! ხოლო ამ ათი-თხუთმეტი წლისწინანდელ მონაცემებთან შედარება კი საერთოდ არ ღირს, უბრალოდ, შეგრცხვება კაცს!

როგორც საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში, წალენჯიხაშიც მტკივნეულია საპენსიო უზრუნველყოფის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წელს საგრძნობლად გაუმჯობესდა პენსიების გაცემა, კვლავ გაუცემელია 1998-2003 წლების პენსიების მნიშვნელოვანი ნაწილი, – თითოეულ პენსიონერზე გაუცემელია 17-18-19 და მეტი თვის პენსია, ეს მაშინ, როდესაც პენსიონერთა უმეტესობა წარმოადგენენ ღრმად მოხუცებულებს, ავადმყოფებსა და მარტოხელა ადამიანებს. ფულად გამოხატულებაში ეს დავალიანება, თითქმის, მილიონ ექვსასი ათას ლარს შეადგენს!

იხ. მე-4 გვ.

კულტურის ამბები

# ორი შეხვედრა

### ვისია მწერალთა სასახლე?!

ვნებათაღელვა მწერალთა სასახლის ირგვლივ არა და არ წყდება (ამის შესახებ გუშინდელ ნომერშიც ვიუწყებოდით) – დავის საგანი გახდა შენობა, რომელიც დიდმა მეცენატმა დავით სარაჯიშვილმა ქართველ მწერლებს საჩუქრად გადასცა, თბილისის რევკომმა კი 1926 წელს მწერალთა კავშირს საკუთრებაში დაუმკვიდრა. „ახლა ეროვნული ხელისუფლებაა და იმის მაგივრად, რომ სიდუხჭირეში ჩავარდნილ მწერლობას ხელი წაახმაროს, რაც კანონიერად ეკუთვნის, იმასაც ართმევს. მართალია, სასამართლომ მთავრობის დადგენილება შეაჩერა, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მწერლების სამართლიან პროტესტს საბოლოოდ დააკმაყოფილებენ. საქმე ის არის, უხეშად ირღვევა კონსტიტუცია, რომლის ძალითაც საკუთრების უფლება ხელშეუხებელია“, – განაცხადა პარლამენტარმა, სადავო საკითხში ქართველი მწერლების ინტერესების დამცველმა იურისტმა კობა დავითაშვილმა მწერალთა კავშირში 29 სექტემბერს საგანგებო შეკრებაზე. ღონისძიებას, რომელიც გახსნა მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა, ესწრებოდნენ აგრეთვე შემოქმედებითი ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები.

პარლამენტარმა ზვიად ძიძიგურმა მთლიანად გაიზიარა ქართველი მწერლების აღშფოთება და განაცხადა, რომ, რაც ახლა მწერალთა სასახლის მისამართით კეთდება, ანტიკონსტიტუციურია, რომ თვით სასამართლო ორგანოები ზემოქმედებას განიცდიან, ამიტომ ობიექტური გადაწყვეტილების მიღება მათ არ ძალუძთ. შეკრებაზე გამოითქვა აზრი, რომ საჭიროა თხოვნით მიმართონ პარლამენტს, ქვეყნის პრეზიდენტს, რათა ძირისძირობამდე გაერკვნენ სიტუაციაში და ანტიეროვნული დადგენილება გააუქმონ.

საერთო სულისკვეთება გაიზიარეს და თავიანთი პოზიცია გამოხატეს რეზო მიშველაძემ, ვაჟა ოთარაშვილმა, საპატრიარქოს პრეს-მდივანმა მამა გიორგიმ, ჯანსუღ ჩარკვიანმა, სილოვან ნარიმანიძემ, ვაჟა აზარაშვილმა, გია ჯანბერიძემ, თამუნა ცეცხლაძემ, ვაჟა ყუბუსიძემ.

### მიულოცეს ნომადი ბართაიას

ქართველ მწერლებს ჰაერივით რომ სჭირდებათ ასეთი სასახლე, ამის ერთი დადასტურება იყო ღონისძიება, რომელიც ამ შეხვედრის შემდეგ გაიმართა და 60 წლის პოეტს, მთარგმნელსა და ლიტერატორს ნომადი ბართაიას მიეძღვნა. შეხვედრა გახსნა მწერალმა რეზო მიშველაძემ. მან ხაზგასმით აღნიშნა ნომადი ბართაიას, როგორც უაღრესად ეროვნული შემოქმედის მნიშვნელობა. მის მიერ სპარსულიდან თარგმნილი ომარ ხაიამის ლექსები ქართული მწერლობის დიდი შენაძენია.

იუბილარს მიესალმნენ კოლეგები და მეგობრები – ზეზვა მედულაშვილი, ავთანდილ ადეიშვილი, სილოვან ნარიმანიძე, ნოდარ ჯალაღონია, ნათელა ქუთელია, ჯემალ ცერცვაძე, გივი შაჰნაზარი, გიზო ზარნაძე, ჯემალ ინჯია, ჯემალ აჯიაშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ალმანზორ თავაძე, ზაზა ქინქლაძე, გვანჯი მანია, ლია ხალვაში, აკადემიკოსი დავით ჯოხაძე, ოთარ ბარათელი, ციცინო რაზმაძე და სხვები.

ნომადი ბართაიამ გულთბილი შეხვედრისათვის მადლობა გადაიხადა და ახალი ლექსები წაიკითხა.

ასეთი იყო ერთი დღის ორი შეხვედრა მწერალთა სასახლეში. მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ქართველ მწერლებს სჭირდებათ სასახლე, ხოლო მწერლები სჭირდებიან მკითხველებს. ამ ჭეშმარიტებას თვალი უნდა გავუსწოროთ და უნებურად ისეთი ნაბიჯი არ გადავდგათ, რაც მერე თავში საცემი გაგვიხდება.

**ელგუჯა ლეჟანიძე.**

საქართველოს რესპუბლიკა

№ 228, პარასკევი, 1 ოქტომბერი, 2004 წელი.

სარწმუნოება

# ჭოი, მამანო, მარად ნეტარნო!..

(პირველი გვერდიდან)

მათ თავს იდვეს კახეთის თათართაგან გათავისუფლება. ისინი მოულოდნელად დაეცნენ თავს ბახტრიონს უზრუნველად დაბანაკებულ სპარსელებს. იმავე დღეს, 1659 წლის ალავერდობის დღესასწაულზე, ქართველები მიუხდნენ ალავერდს მყოფ ყიზილბაშებს და ისინიც გაანადგურეს.

ჩვენი ძლევამოსილი მხედრობა ჰმადლობდა ღმერთს და ერის მფარველ წმიდა გიორგის, მაგრამ ზეიმი დიდხანს არ გაგრძელებულა. განრისხებულმა შაჰ-აბასმა უბრძანა ქართლის მეფეს, ქრისტეს მხედრები მასთან გაეგზავნა.

კახეთის მხსნელი გმირები უდრტვინველად გაემართნენ უკანასკნელ გზაზე. ცბიერმა შაჰმა პატივით ისტუმრა ქართველი დიდებულები, შემდეგ სარწმუნოების გამოცვლა მოსთხოვა. პასუხად უარი რომ მიიღო, მაშინ ბრძანა ეწამებინათ ისინი.

გმირები ათრიეს მიწაზე და შიშველნი, მშიერ-მწყურვალნი პაპანაქება სიცხეში გზაზე დაყარეს. კვლავ შესთავაზეს ქრისტეს უარყოფა. მაგრამ ვერ შეაშინეს და ვერც სარწმუნოება შეურყიეს. ბოლოს, ბიძინას შესაშინებლად, მას ელიზბარისა და შალვას სასტიკი წამება აყურებინეს.

შალვას და ელიზბარის წამებით დახოცვის შემდეგაც მედგრად იდგა ახოვანი გმირი ბიძინა. მაგრამ საბოლოოდ ისიც ცოცხლად აჩეხეს. წმიდა მოწამეთა გვამები მთელი დღე ღია ცის ქვეშ ეყარა. ღამით მათ ნათელი დაადგა. ქრისტიანებმა ფარულად დაკრძალეს წმინდანთა ნეშტი.

მოგვიანებით კახეთის მხსნელი გმირები სამშობლოში გადმოასვენეს და დიდებით დაკრძალეს იკორთის მთავარანგელოზების სახელობის ტაძარში.

მოამზადა
**გიული ლიპარტიამ.**

სტატისტიკა

# ნეტავ, რა სიმდიდრეს ვფლობთ?

## 25 სექტემბერს დაიწყო და 4 ოქტომბრამდე გასტანს სასოფლო-სამეურნეო აღწერა

**მდიდრები ვართ თუ ღარიბები, მალე გამოჩნდება. აქამდე რომ მეტი სიზუსტე გამოგვეჩინა და ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალი, მისი ხვავი და ბარაქა მისხალ-მისხალ აღგვენუსხა, მაშინ, ალბათ, უფრო უკეთესად გვეცოდინებოდა მისი ყადრი, უფრო დავაფასებდით თითოეულ გოჯ ჩვენს მიწას.**

საერთოდ, აგრარულ სექტორს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს ეკონომიკაში. დღეისათვის სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის შიდა პროდუქტში ოც პროცენტამდეა. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით ამ დარგში დასაქმებულია მოსახლეობის ნახევარზე მეტი, მაგრამ ამ მიმართულებით სულ მალე უფრო ზუსტი ინფორმაცია გვექნება: ჩვენი ქვეყანა შეუერთდა მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო აღწერების 1996-2005 წლების ციკლს, რაც მთელი რიგი აუცილებლობით იყო განპირობებული. კერძოდ, სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების შედეგად ჩვენთან სასოფლო-სამეურნეო წარმოებამ ძირითადად ოჯახურ მეურნეობებში გადაინაცვლა. ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების 90 პროცენტზე მეტი საკომლო-გლეხური მეურნეობაშია თავმოყრილი, რომელთა რაოდენობა 600 ათასს აღემატება. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მზადდება სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, რომელთაგან უმრავლესობა ძალზე მცირე წარმადობისაა.



ბოლო პერიოდში ქვეყანაში შემცირდა მოქმედი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რაოდენობა. გარდა ამისა, ძალზედ მომრავლდა ისეთი შემთხვევები, როცა ცალკეული ფიზიკური პირები და საოჯახო მეურნეობები იჯარით იღებენ ასობით ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობს, რომლებიც არ მიეკუთვნებიან რომელიმე ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ერთეულებს. გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს დეტალური ინფორმაციის მოპოვება სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და საკომლო გლეხურ მეურნეობებში არსებული მიწისა და სხვა ძირითადი მახასიათებლების მიხედვით, რაც ხელს შეუწყობს აგრარულ სექტორში ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისა და ფერმერული მეურნეობის მხარდაჭერის პოლიტიკის შემუშავებას.

ფაქტია ისიც, რომ მიწის საკუთრებაში მიღების შემდეგ მიწათმოსარგებლეებმა მრავალწლიანი ნარგავები გაჩეხეს, გადახნეს საძოვრები, სათიბები და ერთწლიანი კულტურების წარმოებას მიჰყვეს ხელი – შესასწავლია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და სხვა სახეობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საშუალებების რაოდენობა, შრომითი რესურსები, სოფლის ინფრასტრუქტურა, ოჯახური მეურნეობების ფაქტიური რაოდენობა და მათი აგრარული პროფილის მიხედვით, პირუტყვისა და მრავალწლიანი ნარგავების ასაკობრივი და ჯიშობრივი სტრუქტურა.

2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის მაჩვენებლების მიხედვით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სრული ობიექტური და უტყუარი ინფორმაციის მიღება, განახლებული რეგისტრის შექმნა, სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარების ტენდენციების გამოსაკვლევად სტრუქტურული და სოციალური ცვლილებების შესწავლა და სხვა...

წარსულს თუ გავიხსენებთ, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჩატარებას მდიდარი ისტორია გააჩნია, რომელიც XIII საუკუნიდან იწყება. მაშინ მას მხოლოდ სამხედრო და ფისკალური დანიშნულება ჰქონდა, მაგრამ იმ პერიოდისათვის აღწერები სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის როდი ეწყობოდა, იგი ძირითადად გამოწვეული იყო მეტი გადასახადების აკრეფის ინტერესით.

საბჭოთა ხელისუფლების დროს სასოფლო-სამეურნეო აღწერა 1923 წელს მოხერხდა, რომელსაც საფუძვლად რუსეთში 1917 და 1920 წლებში ჩატარებული სასოფლო-სამეურნეო და სააღგილმამულო აღწერების პროგრამები დაედო.

ბოლოს მრავალწლიანი ნარგავების აღწერა ჩატარდა 1984-85 წლებში, რომელმაც მოიცვა ხეხილის, ციტრუსების, ვენახის, ტუნგოს, დაფნის, ფეიხოას, ბამბუკისა და ევკალიპტის ნარგავები.

მიმდინარე წლის 25 სექტემბრიდან 4 ოქტომბრის ჩათვლით ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა, რომელიც მოიცავს საქართველოს 60 რაიონს, სოფლის დასახლებებს 920-მდე საკრებულოში, ასევე კოდორის ხეობას. FAO-ს პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო აღწერის საორგანიზაციო სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა სპეციალური კითხვარი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის და სხვა უწყებების ექსპერტები.

ევროკავშირის რეზოლუციაზე დაყრდნობით, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების (კერძოდ FAO-ს) ექსპერტთა კონსულტაციების შედეგად აღწერას ექვემდებარება ქვეყანაში არსებული ყველა სასოფლო მეურნეობა, მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა.

აღწერის წარმატებულად განხორციელების გარანტიას იძლევა დეტალურად შემუშავებული კალენდარულ სამუშაოთა სამწლიანი გეგმა. წლევანდელი აღწერა ოთხ ოქტომბერს დამთავრდება და მოპოვებული ინფორმაცია იქნება კონფიდენციალური, რომელიც მხოლოდ სტატისტიკის მიზნებისთვის გამოიყენება.

ახალი მაჩვენებლები ფასდაუდებელ ინფორმაციას წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის შემდგომი განვითარებისთვის – პროდუქციის წარმოების მოცულობის დასადგენად და საექსპორტო პოტენციალის განსაზღვრისთვის.

**ლალი ქინქლაძე.**

თარიღი

# პესიმისტები ადრე ბერდებიან

## პირველი ოქტომბერი მოხუცთა საერთაშორისო დღეა

(პირველი გვერდიდან)

**არის თუ არა სიბერე ტრაგედია? ჯოჯოხეთად ქცეულ ჩვენს დროში სხვა, აბა, რა არისო. – ვიცი, ასეთი იქნება ამ კითხვაზე უმრავლესობის პასუხი.**

**გეთანხმებით, მაგრამ, მოდით, ახლა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას (რომელიც, მართლაც, დიდად განსაზღვრავს მოხუცისა თუ ახალგაზრდის ყოფას) გვერდი ავუაროთ და სიბერე ისე განვჭვრიტოთ, როგორც წმინდა ბუნებრივი (ფიზიოლოგიური) პროცესი.**

ოსკარ უაილდს ვერწმუნებით, სიბერის ტრაგედია ის კი არ არის, რომ ადამიანი ბერდება (დაბერება კანონზომიერი მოვლენაა და, რაგინდ ვეცადოთ, ვერსად გავექცევით), არამედ ის, რომ ადამიანი სულით ახალგაზრდა რჩება.

სხვისა არ ვიცი და, მეც ასე ვფიქრობ. მართალია, ჩემი ასაკის გამო საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე-მეთქი, ვერ დავიჩემებ, მაგრამ მოხუცებთან არაერთგზის ურთიერთობამ ამაში ნამდვილად დამარწმუნა. თუნდაც ის, რომ ადამიანი ოდითგანვე უკმაყოფილოა ბუნების მიერ ნაჩუქარი უაღრესად მოკლე ხანგრძლივობით, რომ იგი გაჩენის პირველივე დღიდან ფიქრობს ნაადრევი სიბერისა და სიკვდილის თავიდან აცილებაზე, ოცნებობს ახალგაზრდობის გახანგრძლივებასა და მოხუცებულის გაახალგაზრდავებაზე, ამის დასტური არ არის?

სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ეს აუხდენელ ოცნებად რჩება, ადამიანის ბუნებრივი (ფიზიოლოგიური) სიცოცხლის ხანგრძლივობა გენეტიკურად არის დაპროგრამებული და 100-125 წლების ფარგლებში მერყეობს. ჩვენდა სამწუხაროდ, ამ ასაკის მიღწევა თურმე 10 ათასი ადამიანიდან მხოლოდ ერთს შეუძლია. მათ, ანუ ასი და მეტი წლისანებს, ჩვენ უხუცეს დღეგრძელებს ვუწოდებთ.

მეც უხუცესთა გარემოცვაში გავიზარდე. ჩემ წინაპართა უმრავლესობამ ას წელზე მეტხანს იცოცხლეს. დიდი ბაბუა 105 წლისა გარდაიცვალა, ორი დიდედა – 103 და 101 წლისა. და თუ სიცოცხლის ხანგრძლივობა გენეტიკაზეა დამოკიდებული, თავი ქუდში უნდა მქონდეს, მაგრამ... ცნობილია, რომ ადამიანი რთული არსებაა, რომელსაც შეუძლია თავისი სიკეთის წინააღმდეგ წავიდეს. მეც რა გამონაკლისი ვარ და, ბუნებრივია, როგორც ნებისმიერი ჩვენგანი ინდივიდუალური მავნე ჩვევებითა თუ მანკიერი თვისებებით, იმ დიდი სიკეთის წინააღმდეგ მივდივარ, უფლის ნაჩუქარი სიცოცხლე რომ ჰქვია.

ერთი სიტყვით, თუ ადამიანის ბუნებრივი სიცოცხლის მაქსიმალური ხანგრძლივობა 100-125 წლის ფარგლებში მერყეობს, დღეს იგი, საშუალოდ, 70-80 წელზე მეტს ვერ ცოცხლობს. ესეც, როგორც ამ საკითხით დაინტერესებული მკვლევარები ამბობენ, განვითარებულ, ცივილიზებულ ქვეყნებში (სიცოცხლის ხანგრძლივობა განსაკუთრებით მაღალია შვედეთსა და იაპონიაში), განვითარებად ქვეყნებში კი სიცოცხლის ხანგრძლივობა 55 წელს არ აღემატება. საქართველოში უკანასკნელი წლების მონაცემებით, მამაკაცების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 68 წელია, ქალებისა – 74. გამოდის, რომ თანამედროვე ადამიანთა დიდი უმეტესობა ნაადრევად ბერდება და კვდება.

### საქართველოში ნაადრევი სიბერის ჟამი დგას!

**ვნახოთ, როგორია სტატისტიკა?** 2000 წელს ჩვენს ქვეყანაში სულ 41 ათას 320 ადამიანი გარდაიცვალა. აქედან 60-84 წლის ასაკში – 22 ათას 804. თითქმის ასეთივე მაჩვენებელია 2001-2003 წლებში. ჩემი დაკვირვებით, წლეულს, ასაკმა, სამწუხაროდ, კიდევ უფრო დაიწია. აკი მითხრა ამას წინათ საბურთალოს სასაფლაოს ზედამხედველმა, სასაფლაო გაახალგაზრდავდაო, და ამის ერთ-ერთ მიზეზად არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარება დაასახელა.

მართლაც, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი არა მხოლოდ ჯანმრთელობის მაჩვენებლით (ავადობა, ინვალიდობა) უნდა ფასდებოდეს, არამედ პიროვნების, ოჯახის, მთლიანად საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქიკური კეთილდღეობით. რომელი ერთის ნორმალურობით დავიკვეხნით? სამწუხაროდ, ვერც ერთის! ამას დავუმატოთ თამბაქოს გამეტებული სიყვარული, ალკოჰოლის დიდი რაოდენობით მიღება,



105 წლის მარიამ სვანიძე.

ნარკოტიკებზე მიძალება, დაბინძურებული ეკოლოგიური გარემო, ფალსიფიცირებული საკვები პროდუქტები, არასრულფასოვანი კვება, სტრესი, აგრესია, დაჩქარებული ცხოვრების ტემპი, გადაჭარბებული უარყოფითი თუ დადებითი ინფორმაცია...

მართალია, ყველაფერი ეს დრომ მოიტანა, კანონზომიერია და, თუ მსოფლიო რიტმში არ ჩავჯექით, ვერ გადავრჩებით, მაგრამ, ამასთან, ყოველივე ის რისკფაქტორიცაა, რომელიც ხელს უწყობს ათეროსკლეროზულ ეტიოლოგიის, არაინფექციური ქრონიკული დაავადებებისა და ავთვისებიანი სიმსივნეების ჩამოყალიბებას, რაც საბოლოო ანგარიშით ნაადრევი სიბერისა და სიკვდილის მთავარი მიზეზია.

შეიძლება ახლა ვინმემ მითხრას – განა ჩვენ წინაპრებს ნაკლებსტრესულ გარემოში უწევდათო ცხოვრება? პირველი მსოფლიო თუ დიდი სამამულო ომი, 37 წელი, შიმშილი, სიცივე, შიში... და თუ ნარკოტიკს არა, ალკოჰოლსა და თუთუნს ხომ მაშინაც ეძალებოდნენო? რა თქმა უნდა, იქნებ ჩვენზე მძიმე განსაცდელშიც ყოფილან, და არც სტრესია მხოლოდ XX საუკუნის დაავადება, როგორც ამას ხშირად ამბობენ. მეცნიერთა უმეტესობის აზრით, იგი ადამიანს დაბადების პირველივე დღიდან თან სდევს და მომავალშიც მისი თანამგზავრი იქნება, მაგრამ ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ, როგორ გამკლავებოდნენ ყოველივე იმას, რაც მათ ჯანმრთელობას ვნებდა. **ისინი, უბრალოდ, ცხოვრობდნენ ჯანსაღი ცხოვრების წესით.** დაკვირვებებმაც აჩვენეს, 2140 დღეგრძელიდან (90 და მეტი წლის ასაკის), რომელთა შორის 214 ასი და მეტი წლისა იყო, მთელი სიცოცხლის მანძილზე არ ყოფილან ავად ათეროსკლეროზული ეტიოლოგიითა თუ არაინფექციური ქრონიკული დაავადებებით, სიმსივნით. ამ ასაკში ისინი თავს ჯანმრთელად გრძნობდნენ, მუშაობდნენ სრული დატვირთვით და არ უგრძვნიათ მოხუცებულობის სხვა ნიშნებიც: მხედველობის, სმენის, ფიზიკური და გონებრივი შრომის დაქვეითება, ამ მდგომარეობას კი დღეგრძელებმა მიაღწიეს მათ მიერვე სტიქიურად, ემპირიულად შემუშავებული ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვით.

როცა ჩემს ერთ-ერთ დიდედას ასი წლის იუბილე გადავუხადეთ, ვკითხე: ჯანზე როგორა ხარ-მეთქი? რა ვიცი, შვილო, ამ უდროო დროს წნევა დამემართაო, მიპასუხა. დღემდე ამ ნათქვამს ანეკდოტად ვყვებით და ვიცინით, მაგრამ 100 წლის დიდედას არც თვალს აკლდა და არც ყურს. გონებაც უჭრიდა და ჯანიც მოსდევდა. არადა, იგი ოთხი ქალისა და ერთი ვაჟის დედა იყო. სწორედ ის ერთადერთი ვაჟი დაჰკარგა უდროოდ, მერე – ქმარი. ომმა და გაჭირვებამაც მის მხრებზე გადაიარა, მაგრამ არ წაქცეულა. მისი წამალი სახსრებისა და შუბლის არყით დაზელვა იყო. მის კალათაში ვაშლი გამოულევლად იყო, ძილის წინ აუცილებლად ერთი ჭიქა რძე უნდა დაელია, ზოგჯერ – მაწონი, შიგადაშიგ ხაჭოსაც დაიგემოვნებდა. დღეში ერთხელ კი ერთი კვერცხი უნდა ეჭამა. ერთი ჭიქა ნატურალური ღვინის გარეშე ხომ არ ისადილებდა. ნორმალური აღნაგობისა და მოუღლელად მშრომელი ქალი იყო. ამასთანავე, გამოუსწორებლად ოპტიმისტი. სიკვდილის წინაც ის დაგვიბარა: გახსოვდეთ: პესიმისტები ადრე ბერდებიან და ადრეც კვდებიანო. ძალიან მინდა ჩემ დღეგრძელ წინაპართა ცხოვრების წესს მივსდიო, მაგრამ არ გამომდის, ისევე, როგორც ბევრ თქვენგანს – ვიცით, რა გვარგებს და რატომღაც მაინც ამ სიკეთის წინააღმდეგ მივდივართ.

ვფიქრობ, ჩვენი, ადამიანების ბრალია ყველაფერი, ადამიანმა შეცვალა ცხოვრების ტემპი, დატვირთა იგი გადაჭარბებული ინფორმაციით: რადიოტელევიზია, ინტერნეტი, კომპიუტერი და სხვა, შექმნა სწრაფი სიჩქარით გადაადგილების საშუალებები, შეცვალა გარემო პირობები, მაგრამ დაავიწყდა, რომ თითქმის არ შეცვლილა ადამიანის ბუნება, ამიტომ მისთვის ძნელი გახდა იმის ათვისება, რაც თვითონ შექმნა.

**და მაინც, რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ღრმა მოხუცებულობამდე შევინარჩუნოთ ასაკის შესაბამისი ნორმალური სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობა?**

აი, რა გვიპასუხა **მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, აფხაზეთის ჯანმრთელობის დაცვის ყოფილმა მინისტრმა, დღეს უკვე ხანდაზმულმა ბატონმა შოთა გოგოხიამ.**

– უპირველესი, რასაც შეუძლია აგვაშოროს ნაადრევი სიბერე და სიკვდილი, ეს ცხოვრების ჯანსაღი წესია. სწორედ ის გულისხმობს კვების რეჟიმს (დღეში 3-4-ჯერ) უნდა ვერიდოთ ცხიმიანს, მარილიანს, შაქრიან საკვებს. ხორცეული კი დღეში მხოლოდ ერთხელ უნდა მივირთვათ, ისიც უმჯობესია – მოხარშული. ასევე სასარგებლოა რძის პროდუქტები, ნატურალური ღვინო სადილის დროს, არა უმეტეს 1 ჩაის ჭიქისა, ხილის წვენები – მოთხოვნილების მიხედვით, კვების პროდუქტების 50 პროცენტი უნდა მოდიოდეს ბოსტნეულსა და ხილზე. უარი უნდა ვთქვათ თამბაქოს მოწევაზე, ალკოჰოლის დიდი რაოდენობით მიღებაზე, ნარკოტიკებსა და სხვა მავნე ჩვევებზე.

მთელი სიცოცხლის მანძილზე ფიზიკურად და გონებრივად უნდა ვიყოთ აქტიური, გვქონდეს ჰობი (ნადირობა, თევზაობა, ბაღში ზომიერად მუშაობა, ტურისტულ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობა და სხვა), აუცილებელია, შევინარჩუნოთ სხეულის ნორმალური წონა (სხეულის სიმაღლეს სანტიმეტრებში მინუს 100. ეს იქნება თქვენი ნორმალური წონა), დღეღამის განმავლობაში უნდა ვიძინოთ არანაკლებ 6-8 საათისა. საჭიროა რაციონალურად გამოვიყენოთ ბუნებრივი გამაჯანსაღებელი ფაქტორები (მზე, კლიმატი, მინერალური წყლები, ზღვა და სხვა). უნდა დავიცვათ სხეულის მოვლის სანიტარიული წესი, სექსუალურ ცხოვრებაში გამოვიჩინოთ ზომიერება, აზროვნებაში დავიმკვიდროთ დადებითი ემოციები, უკუვაგდოთ უარყოფითი გრძნობები: შიში, აღშფოთება, მოუსვენრობა, შური, ეჭვიანობა, ძუნწობა, წყრომა, მტრობა და სხვა, შრომა ვაქციოთ სიხარულის წყაროდ. ვისწავლოთ დაძაბულობისგან თავის დაღწევა, ცხოვრების ყველა ასაკში დავისახოთ მიზანი და მისი შესრულებისათვის ვიბრძოლოთ აქტიურად.

ნაადრევი სიბერის პროფილაქტიკის მიზნით, თანამედროვე გერიატრია გვთავაზობს მრავალ მედიკამენტურ და ბიოლოგიურ საშუალებასაც, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ექიმის დანიშნულებით უნდა მივიღოთ და მათი ეფექტიანობა უფრო მაღალია ცხოვრების ჯანსაღი წესის ყველა მოთხოვნილებების დაცვის პირობებში.

**და მაინც უცნაურნი ვართ ადამიანები, სიცოცხლეზე ვფიქრობთ, გაიხედავთ და, სწორედ მაშინ მოდის სიკვდილი. სიკვდილს კი ვერა გაუგია რა: მოვდივარ, ტირიან, არ მოვდივარ და, მაჩქარებენო.**

**რუსუდან ლორთქიფანიძე.**

გვირეკავენ, გვეკითხებიან

**– გთხოვთ, განმიმარტოთ, საჯარო მოხელეს, სამსახურიდან გათავისუფლების რა შემთხვევაში ეძლევა კომპენსაცია ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით?**

**ნანა ხაბაზი.**

– „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 109-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ხანგრძლივი შრომისუუნარობის, სამხედრო ან ალტერნატიულ სამსახურში გაწვევის ან ატესტაციის შედეგების გამო სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში მოხელეს ეძლევა კომპენსაცია ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

**– ვარ რეპრესირებულის შვილი, 80 წლის. ქ. რუსთავის თელასი უარს მეუბნება ელექტროენერგიის შეღავათზე იმ მოტივით, რომ თურმე მე უნდა წარვადგინო ქვითარი სახელმწიფოს მიერ ამ მიზნით ჩარიცხული თანხის შესახებ.**

**გთხოვთ, მიპასუხოთ, როგორც რეპრესირებულს მეკუთვნის თუ არა შეღავათი ელექტროენერგიაზე და ვრცელდება თუ არა იგი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე?**

**მიხეილ ჩხეიძე.**

– პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულ პირებს ელექტროენერგიის უფასო მოხმარება, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, შეუძლიათ 30 კვტ. სთ-ის ოდენობით თვეში, ხოლო ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის მქონე პირის არსებობისას – 45 კვტ. სთ-ის ოდენობით.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტიდან შეღავათის დაფინანსების საკითხის გარკვევას, ეს შედის არა აბონენტის, არამედ შესაბამისი სამსახურის კომპეტენციაში.

**ირინე ღლონტი.**

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.**

ჟურნალისტი მივლინებიდან დაბრუნდა

# 1. ჭანთა მიწა დიდი გამოცდის წინ

(მესამე გვერდიდან)

ამ მშრალი მონაცემებისთვის თვალის მიდევნებაც კი, ცოტა არ იყოს, მოსაწყენია მკითხველისთვის, მაგრამ ისინი რაიონის სამეურნეო თუ კულტურული ცხოვრების სრულ სურათს ასახავენ და...

... თუმცაღა, რა განსაკუთრებული ასახვა უნდა ყოველივე ამას, როდესაც ისიც კი გვიხარია, რაიონში სულ რაღაც 100 თუ 200 ათასი ლარის მატებით გვიხდება თავის მოწონება. იმდენს, რამდენსაც რაიონის დღევანდელი ბიუჯეტი შეადგენს, სულ ახლო წარსულში, საშუალოდ, ერთი კოლმეურნეობა თუ საწარმო აძლევდა ქვეყანას! (თუმცა, როდესაც ეკონომიკურად თითქმის განადგურებულ ქვეყანაზე, რეგიონზე თუ რაიონზე ვსაუბრობთ, იმ მიზერული, თითიდან გამოწოვილი „წარმატებაც“ კი იმედის მომცემია!).

დღეს წალენჯიხის რაიონში, უსახსრობის გამო, ისიც კი ვერ მოუხერხებია მოსახლეობას, რომ იჯარით მაინც აიღოს უკვე ჩამოწერილი ჩაის პლანტაციები, თუ საძოვარი. მართალია, როგორც ამბობენ, ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციისთვის სახელმწიფო პროგრამაში სამი მილიონი ლარის ინვესტიციაა გათვალისწინებული, მაგრამ ეს ინვესტიცია მხოლოდ 450 ჰექტარზეა გათვალისწინებული და მასზეც, სამწუხაროდ, ტენდერი დღემდე არ არის გამოცხადებული. წალენჯიხის რაიონში კი, ჩაის პლანტაცია თითქმის 3000 ჰექტარზე იყო გაშენებული და იყო დრო, როცა 37 ათას ტონა ჩაის ხარისხოვან ფოთოლს იღებდნენ ყოველწლიურად, – მნიშვნელოვნად მდიდრდებოდა ბიუჯეტი, წელგამართული გახლდათ სოფელი. დღეს კი, ეკალ-ბარდებს ისე დაუფარავს ოდესღაც მართლაც გადაშლილი, მოხასხასე, ხვავითა და ბარაქით სავსე ფართობები, რომ, როდესაც ფოტოაპარატი მოვიმარჯვე, გული დამწყდა... და გადავწყვიტე წარსულ დროთა გასახსენებლად, ამ ოციოდე წლის წინათ გადაღებული კადრები გამომეყენებინა გაზეთში, რომ მკითხველსაც არ „გასკდომოდა“ გული.

„წარსულ დროთა“-მეთქი, ვამბობ და ვიღაცამ, იქნებ, კომუნისტური წარსულის ნოსტალგიაში ჩამომართვას ეს სიტყვები, მაგრამ თუ ჩამომართვეს, არც ამაზე ვიდარდებ, – მე ნოსტალგია მაქვს იმ მდიდარი გლეხისა, იმ აყვავებული სოფლებისა, რომლებითაც თავს ვიწონებდით და გვქონდა კიდეც მოსაწონი! ხოლო პოლიტიკასა და პოლიტიკოსებს არასოდეს მისტირიან მშრომელი ადამიანები, ისინი მხოლოდ შრომისა და ცხოვრებისათვის ითხოვენ პირობებს და სახელმწიფო ვალდებულია, შეასრულოს თავისი მოვალეობა. მით უმეტეს დღეს, როდესაც, დიდი ილიას ლელთღუნიასი არ იყოს, ჩვენივე თავი ჩვენადვე გვეყუდვნის! ქვეყნის უსაფრთხოება, ქვეყნის სიძლიერე, ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა, კარგად თუ დავუფიქრდებით, მხოლოდ და მხოლოდ მშრომელ გლეხზე და მადლიან მიწაზე არის დაფუძნებული. პირდაპირ თუ ირიბად, სწორედ სოფლიდან, მიწიდან იწყება მრეწველობაცა და სხვა დანარჩენიც. ამიტომაც, თუ სახელმწიფო, უპირველესად, სოფელს მიხედავს, ხვალ თუ ზეგ, ერთი ათად და მეტად აგვინაზღაურდება გარჯა, მით უმეტეს, რომ წალენჯიხელებს ნამდვილად სჯერათ „რევოლუციის ავტობუსისა“. მათ, მიუხედავად უახლოესი წლების სიმწარეებისა, არასოდეს დაუკარგავთ იმედი.

... იმ დღეს კი, ნამდვილად ვერ გამოგვივიდა ინტერვიუ წალენჯიხის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელთან, ბატონ ტარიელ ჯანჯღავასთან, კაცთან, რომელსაც მთელი თავისი უბრალო, პატიოსანი ცხოვრება თავისი რაიონისა და სოფლის სიკეთისათვის მიუძღვნია და დღეს, როდესაც ყველაზე მეტად უჭირს ამ მხარეს და მის სოფლებს, მხრებზე მეტად საპასუხისმგებლო უღელი შეუდგამს და მოკრძალებით ლაპარაკობს რაიონის „მიღწევებზე“. ამიტომ მცირე გასაუბრებით დავკმაყოფილდით:

**– ალბათ, მძიმეა გამგებლის ტვირთი, ბატონო ტარიელ...**

იღიმება.

– მძიმეა, მაგრამ, რახან იტვირთე, უნდა გაუძლო... სანამ აქა ხარ, საქმე უნდა აკეთო.

– არც ის არის მსუბუქი, გაურკვეველი თანამდებობა რომ გქონდეს, – „მოვალეობის შემსრულებელი“... რაც უნდა მედგრად იდგე, შეზღუდული ხარ მაინც...

– შეიძლება, მაგრამ, როდესაც ხალხი გარკვეულ მოვალეობას მაკისრებს, ამაზე არ ვფიქრობ...

**– თქვენ ყველგან, სადაც კი გიმსახურიათ, მუდამ კაცურად ირჯებოდით, – სამეურნეო სამსახური იქნებოდა ეს თუ განათლებისა და კულტურის სფერო... ისიც კი მახსოვს, თქვენი ლამაზი ტენორით რა შესანიშნავად მღეროდით თვითშემოქმედებით ანსამბლებში.**

– მქონდა ასეთი „ცოდვებიც“... სასიმღეროდ გვქონდეს საქმე და... ხანდახან ახლაც ვიმღერებ.

„ასეთი სუფთა და პატრიოტი კაცი უნდა იყოს რაიონის თავკაცი!“ – გავიფიქრე ჩემთვის, მაგრამ ხმამაღლა არაფერი მითქვამს.

ეს საუბარი მივლინების ბოლო დღეს შედგა. მანამდე კი უკვე შემოვლილი მქონდა ჩქვალერი, ნაკიფუ, ობუჯი, ჯვარი, ლია, ფახულანი, აგრეთვე სქურის, ლანეჯიხის, ლეშამუგეს ძველი ტაძრები, ღირსეულ წალენჯიხელთა სახლ-მუზეუმები და მიუხედავად გაჭირვებისა, მეამაყებოდა, მეც წალენჯიხელი რომ ვიყავი.

კვლავ „რევოლუციის ავტობუსით“ ვაპირებდი გამომგზავრებას წალენჯიხიდან თბილისამდე. ავტოსადგურში ბატონი დიტო შელია შემხვდა. უბრალო გლეხკაცი და ცნობილი მეურნე. მას გავუზიარე ჩემი ჩანაფიქრი რაიონის თავკაცის თაობაზე:

– კაია, მარა, გამგებელს კი არა, რაიონსაც გვიუქმებენ, მგონია და...

– ყურმოკრული ამბავია, მაგი...

– რატომ უნდა ვგებულობდეთ ყურმოკრულად ასეთ ამბავს?! თუ ასეა საჭირო, გვითხრას ვინმემ, აგვიხსნას! ხალხი რა, წინააღმდეგობას გაუწევს თუ რა?.. იყო დრო, როდესაც არაფერს ეკითხებოდნენ ხალხს... ცუდია, თუ ასე გააგრძელებენ.

ვერაფერი ვუთხარი ამ პატიოსან კაცს, არც კი ვიცოდი რა მეპასუხა!

ამასობაში ბატონი დიტოს შვილიშვილი მოგვეახლა და უსიამოვნო ამბავი მოგვიტანა: – ხვალ თბილისისკენ ავტობუსი არ იქნებაო, რაღაცა გაფუჭებია და „გაჩხერილა“ დედაქალაქში.

„ალბათ, მორიგ რეისზე მაინც ჩამოვაო!“ – იმედიანი სიტყვა შეგვაშველა დიტომ.

„რევოლუციის ავტობუსი“ გაურკვეველი დროით იგვიანებდა და რახან ასე იყო, გადავწყვიტე, აქვე, წალენჯიხაში დამეწერა საგაზეთო წერილების სერია ჩემი რაიონის დღევანდელობასა და წარსულზე.

მომდევნო წერილში ობუჯზე მოგითხრობთ, ორი დიდი შემოქმედის – ლეო ქიაჩელისა და ნიკოლოზ შენგელაიას სოფელზე.

**ზაურ ფიფია,**
„სრ“ სპეც. კორ.
**თბილისი-წალენჯიხა-თბილისი.**



წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძარი.

ინფორმაცია

ბაზრობა

### გაიხსნა გამოფენა – „არტ კავკასია – 2004“

**სავაჭრო ცენტრი „ჯი-თი-სი“ 1-3 ოქტომბერს ვიზუალური ხელოვნების პირველ საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობას „არტ კავკასია-2004“-ს უმასპინძლებს.**

**ღონისძიებაში საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის, სლოვაკეთის, თურქეთის, აშშ-ის და პოლონეთის გალერეები, მხატვრები და ექსპერტები მიიღებენ მონაწილეობას.**

**პროექტის ფარგლებში შეიქმნა ექსპერტთა საბჭო, რომელშიც გამოცდილი არტ-ექსპერტები, კურატორები და ხელოვნებათმცოდნეები გაერთიანდნენ.**

**„ვიზუალური ხელოვნების პირველი საერთაშორისო ბაზრობა სამხრეთ კავკასიის მასშტაბით თანამედროვე ხელოვნებაში ახალი ტენდენციების გამოვლენას, პოპულარიზაციას და განვითარებას შეუწყობს ხელს.**

თანადგომა

### თურქეთი და ისრაელი დაგვეხმარებიან

**ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში გაჩენილი ხანძრის ჩასაქრობად გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო დახმარებას თურქეთისგან და ისრაელისგან მიიღებს.**

**როგორც მინისტრმა გუშინ არასამთავრობო ორგანიზაციებთან გამართული შეხვედრისას განაცხადა, თურქეთის რესპუბლიკამ პრობლემის მოსაგვარებლად 10 სახანძრო მანქანა და ვერტმფრენი გამოყო.**

**ლებანიძის ინფორმაციით, ამ დროისთვის ხანძარი ლოკალიზებულია, ცეცხლი 7 ჰექტარზეა გავრცელებული, თუმცა არსებობს ხანძრის არეალის გაფართოების საშიშროებაც.**

**ხანძრის გაჩენის მიზეზად ლებანიძე პარკის ტერიტორიაზე კოცონის დანთებას ასახელებს. ზარალის დაზუსტება ჯერჯერობით ვერ ხერხდება.**

**ინტერ-პრესი.**

ახირება

# კაცმა კაცისა თქვა, საქმემ — ორივესიო,

## ანუ რატომ აზუზუნებს თავის ჭკუაზე ზოგიერთი ასი წლის წინათ წიწამურში გავარდნილ ტყვიას



(მესამე გვერდიდან)

„წიწამურის ტრაგედიას" საფუძვლად ალექსანდრე შუშანაშვილის სადოქტორო დისერტაცია უდევს. ბევრი დისერტაციის დაცვას დავსწრებივარ, მაგრამ ეს სულ სხვა იყო. მახსოვს, რა შეხლა-შემოხლა გაიმართა, მაგრამ სამეცნიერო საბჭომ მაინც ერთხმად მიანიჭა ალექსანდრე შუშანაშვილს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

რაო, რა გვიჩვენა საქმის სამართლებრივი თვალსაზრისით განხილვამ, მართლა მიდის თუ არა დანაშაულის კვალის სათავე იოსებ ჯუღაშვილთან?

ალექსანდრე შუშანაშვილის ხსენებულ მონოგრაფიაში რუბრიკით — „ვერსიები და ვარაუდები" მთელი ერთი თავი ეძღვნება ამ საკითხს — „კობა-სტალინი", სადაც ვკითხულობთ, რომ 1907 წლის ივნისიდან 1908 წლის აპრილამდე სტალინი, რომელიც იმ დროს კობას ფსევდონიმით უფრო იყო ცნობილი, ბაქოში იმყოფებოდა და აქტიურ რევოლუციურ საქმიანობაში იყო ჩაბმული. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეში მისი სახელი არსად არ იხსენიება. ამ მკვლელობასთან დაკავშირებით მის შესახებ არც იმდროინდელ პრესაში გამოთქმულა რაიმე ეჭვი. არ მოიპოვება, აგრეთვე, რაიმე სარწმუნო საბუთი იმის შესახებ, რომ სტალინი იმ დროს გეგმავდა და მონაწილეობდა ტერორისტული აქტების განხორციელებაში. მიუხედავად ამისა, სტალინის პოლიტიკური მოწინააღმდეგეები ყოველთვის ცდილობდნენ, რომ მისი სახელი რაღაცნაირად დაეკავშირებინათ ილიას მკვლელობასთან.

წიგნიერი მკითხველისთვის უთუოდ ცნობილია, რომ 1932 წელს მიუნხენში დაისტამბა და ამ რამდენიმე წლის წინათ ქართულადაც ითარგმნა საზღვარგარეთ გახიზნული მენშევიკის, პოლიტიკურად გაბოროტებული იოსებ ირემაშვილის წიგნი: „სტალინი და საქართველოს ტრაგედია", სადაც ასეთი რამ წერია: „1907 წელს ბარბაროსული სისასტიკით მოჰკლეს თავადი ი. ჭავჭავაძე... მკვლელები იყვნენ ქართველი ბოლშევიკები, რომლებიც თავიანთი მიზნებისკენ პოლიტიკური მტრების გზიდან ჩამოშორებით მიდიოდნენ. შურისძიების აღსრულებას მხოლოდ მკვლელობაში ხედავდნენ, თავადის მოკვლა პროგრამულ აუცილებლობად მიაჩნდათ... მკვლელობის უკან არაპირდაპირ კობაც იდგა, ის ყველა ბოროტმოქმედების წამქეზებელი და აგიტატორი იყო... დამწუხრებული ქართველი ხალხი ჟორდანიას გარშემო შემოიკრიბა და უკანასკნელი პატივი მიაგო მწერალს. ჟორდანიამ ხალხის სახელით საფლავი გვირგვინით შეამკო და მკვლელის სახელი დასწყევლა".

აშკარაა, გაავკაცებულ პოლიტიკურ ნაძირალას, იოსებ ირემაშვილს ილია ჭავჭავაძის მკვლელობასა და ამ მკვლელობაში კობა-სტალინის მონაწილეობაზე უფრო მეტად რაც აწუხებს. დღეს უკვე ყველასთვის კარგად ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობით დამწუხრებული ქართველი ხალხი არც ნოე ჟორდანიას გარშემო შემოკრებილა და არც ამ უკანასკნელს მოუკლავს თავი გლოვითა და მწუხარებით. პირიქით, ილიას მკვლელობის გამო მისი უღიერი და ცინიკური სიტყვები, სადაც ხე იჭრება, იქ ნაფოტებიც ცვივაო, დღესაც იწვევს ქართველი ხალხის გაოცებასა და აღშფოთებას.

ცნობილია, აგრეთვე, რომ ირემაშვილის მიერ წამოყენებული ანგარიშსწორებიანი ცილისმწამებლური ბრალდება იმდენად აბსურდული და არაფრის მთქმელია, სტალინის დაუძინებელმა მტერმა ლევ ტროცკიმაც კი არ მიიჩნია სარწმუნოდ და ანგარიშგასაწევად თვითონ სტალინზე დაწერილ თავის სქელტანიან წიგნში.

ხოლო თუ რა მაღალ შეფასებას აძლევდა სტალინი ილია ჭავჭავაძეს, კარგად ჩანს თუნდაც ძველი ბოლშევიკისა და სტალინის ახლო მეგობრის სერგო ქავთარაძის მოგონებიდან, რომელიც 1958 წელს ელგუჯა მაღრაძეს ჩაუწერია.

„ერთხელ, ომი ახალი დამთავრებული



იყო, გიორგი ელისაბედაშვილი, ვასო ეგნატაშვილი და პეტა კაპანაძე ჩვენმა მეგობარმა იოსებმა კრემლში, შინ მიგვიწვია... — იგონებს სერგო ქავთარაძე, — ჩვენი პურობა კარგა ხანს გაგრძელდა. მასპინძელმა ჩიბუხი გატენა, გააბოლა, ფეხზე წამოდგა, ბოლთის ცემას მოჰყვა... მოულოდნელად თავზე წამოგვადგა და ყველას მოგვმართა: — მერე ილია?

ილია ჭავჭავაძეზე იმ დღეს სიტყვა არ თქმულა. ილიას სახელი თვითონ იოსებსაც არ უხსენებია. ჩვენში მასთან ყველაზე უფრო შეთამამებული გიორგი იყო და ისევ მან შეჰბედა.

— ვინ ილია? რომელ ილიაზე გვეკითხები? ჭავჭავაძეზე ხომ არა?

— ჰო, ილია ჭავჭავაძესა და ჩემზე გეკითხებით, თქვენი აზრით, რომელი უფრო დიდი პიროვნებაა, ილია თუ მე? — ჩვენ მაშინვე ყველამ ერთხმად ვუთხარით ჩვენი მოსაზრება.

— ეჰ, მე თქვენ მაინც უფრო პირშიმთქმელნი და გონიერად განმსჯელნი მეგულებოდით, — გვითხრა რაღაც სევდიანი სინანულით მასპინძელმა, — ილია ჭავჭავაძეს სამოღვაწეო-სამოქმედო ასპარეზი ჰქონდა პატარა. მისმა გონებრივმა შემართებამ საქართველოს ვიწრო ჩარჩოებში ფრთები სათანადოდ ვერ გაშალა. იგი არწივად იყო დაბადებული და საქართველოს ვიწრო შემოგარენში სული მოეხუთა, თორემ მსოფლიოს პრეზიდენტად გამოდგებოდაო".

ალექსანდრე შუშანაშვილის თქმისა არ იყოს, ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში კობა-სტალინის დადანაშაულება შორს გამიზნული დიდი უსამართლობაა, თუ მეტი არა...

„წიწამურის ტრაგედია" ორას გვერდიანია, ერთ წერილში მთელი წიგნის ფურცელ-ფურცელ განხილვა ნამდვილად შეუძლებელია და არც არის ამის საჭიროება, — ვისაც წაკითხვის სურვილი აღეძრა, მოძებნოს წიგნი და წაიკითხოს, — მე მხოლოდ წიგნის ბოლოში დართულ რამდენიმე დასკვნას მოვიშველიებ და აქვე იმასაც შევახსენებ მკითხველს, რომ ვინც ამ ჯიუტ, მაგრამ სამართლიან მთის კაცს იცნობდა, ალექსანდრე შუშანაშვილზე ვლაპარაკობ, ყველა დამერწმუნება, რომ იგი ბოლშევიკების დიდი სიყვარულით არ გამოირჩეოდა და, თანამდებობისდა მიუხედავად, არც თავგადაკლული პარტიული ფუნქციონერი იყო, ოღონდ ბუნებით რაინდი სიმართლეს მტერსაც არ დაუკარგავდა, ძლიერ მოძულესაც საკადრის პატივს მიუზღავდა. სწორედ ამიტომ აქვს ამ უაღრესად ძირისძირში ჩამხედველი იურისტის ქვემორე დასკვნებს ფრიად საგულისხმო მნიშვნელობა.

ეს დასკვნები კი ასეთია:

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებათა ობიექტურ გარკვევასა და შეფასებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის შენარჩუნების, ეროვნული ინტერესების გაცნობიერებისა და დამკვიდრებისთვის. ეს საკითხები ბოლო დრომდე არ იყო სათანადოდ შესწავლილი, საგამოძიებო და სასამართლო დოკუმენტების დიდი ნაწილი დაკარგულად იყო მიჩნეული და ხშირად პრინციპული დასკვნები საეჭვო მოგონებებისა და გადმოცემების საფუძველზე კეთდებოდა. გაირკვა, რომ ილიას მკვლელობის შესახებ ყველა საქმე დაცულია სახელმწიფო და უშიშროების სამინისტროს არქივებში. ხელმისაწვდომია ყველა დოკუმენტი და მასალა, რაც აუცილებელია სწორი პოლიტიკური და სამართლებრივი დასკვნების გასაკეთებლად.

სოციალ-დემოკრატები, განსაკუთრებით ბოლშევიკური ფრაქციის ლიდერები, ფილიპე მახარაძის მეთაურობით, რადიკალურად დაუპირისპირდნენ ილია ჭავჭავაძის ეროვნულ კონცეფციას და იდეოლოგიას, დაიწყეს მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის თავხედური განქიქება, მისთვის ნაციონალისტისა და სასტიკი მებატონის სახელის შერქმევა. ამ აღვირახსნილმა პროპაგანდამ, რომელიც ილიას მკვლელობასთან თუმცა უშუალო, დანაშაულებრივ-მიზეზობრივ კავშირში არ იმყოფება, მაგრამ ბნელ და გაუნათლებელ ხალხზე მაინც მოახდინა გავლენა და ხელსაყრელი ფონი შექმნა ამ დანაშაულისთვის. ილიას მკვლელობა მოამზადა და განახორციელა სწორედ ბოლშევიკების პროპაგანდითა და შექმნილი სიტუაციით **თავგზააბნეულმა უწიგნური ადამიანების ბანდამ. მკვლელობის კონსტრუქციული ნიშანია ანგარებითი მოტივი. იგი არ მომხდარა პოლიტიკური პარტიის გადაწყვეტილებითა და მონაწილეობით.**

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო გიორგი ბერბიჭაშვილი, რომელიც სპარსეთში გადაიხვეწა და მხოლოდ ოციან წლებში გამოჩნდა საქართველოში. საბჭოთა რეჟიმის პირველ წლებში იგი დიდ პატივში იყო, მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე და ღებულობდა პერსონალურ პენსიას რევოლუციური დამსახურებისთვის. მისი მხილება და პასუხისგებაში მიცემა მოხერხდა მოგვიანებით, როდესაც ცნობილი გახდა, რომ სტალინი დიდ პატივს სცემდა და აფასებდა ილიას.

ჩვენამდე მოღწეული მასალებით ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში სოციალ-დემოკრატების და მეფის ოხრანკის მონაწილეობა დადასტურებული არ არის. დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ ილიას მკვლელობაში არც დიმიტრი ჯაშს მიუღია რაიმე მონაწილეობა, არც „ვიღაც იმერელი" ყოფილა ამ დანაშაულის მონაწილე და არც სერგო ორჯონიკიძე. დადგენილია ისიც, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საკითხი არც ბახვში გამართულ სოციალ-დემოკრატების კრებაზე გადაწყვეტილა და არც იქაურ ერმილე დოლიძეს მიუღია ამ დანაშაულში მონაწილეობა.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებულ ცალკეულ პირთა მოგონებები და გადმოცემები ხშირ შემთხვევაში სუბიექტურია, არ ასახავს რეალურ ვითარებას, ეწინააღმდეგება უდავოდ დადგენილ ფაქტებსა და გარემოებებს.

მე ჩემი ვთქვი და ნება შენია, მკითხველო, ახლა შენ გინდ ყორანაშვილის დასკვნებს დაუჯერე, გინდ შუშანაშვილისას. ერთი კი ცხადია: ისტორიის დაბინძურება ისეთივე უზნეობაა, როგორც გაფილტვრა. ისტორიას ანგარიშსწორების ასპარეზად არ უნდა ვიყენებდეთ. წიწამურში ასი წლის წინათ გავარდნილ ტყვიას, რომელმაც ყველაზე დიდ ქართველს განუგმირა შუბლი, ახალ-ახალი ისტორიული მკვლელობისთვის არ უნდა ვაზუზუნებდეთ, თანაც ჩვენს ჭკუაზე, როგორც მოგვეპრიანება.

ჭკვიან ხალხს სწორად უთქვამს: თუ გვინდა, რომ ისტორიის მატარებელმა მომავლისკენ შეუფერხებლად იაროს, აუცილებლად სიმართლის ლიანდაგებზე უნდა შევაყენოთო. სხვანაირად არ გამოვა.

ისე, ერთში კი უცილოდ უნდა დავეთანხმოთ ამ ჩვენს ერთობ ახირებულ გურამ ყორანაშვილს: ადამიანებს თვალები და ყურები მართლაც იმისთვის აქვთ, რომ დაინახონ და მოისმინონ, ხოლო გონება — იმისთვის, რომ სინამდვილე გააცხადონ.

**გურამ წიკლაური.**

***P. S. როგორც ამ წერილის თავში ხსენებული სახელიანი ლიტერატორი იუწყება, 1992 წლის იანვარში ყვარლის ილია ჭავჭავაძის მუზეუმი უკვე ამ ჩვენი არეული დროის დღევანდლამდე უცნობ თულ-ავაზაკებს, ავკაცებს გაუძარცვავთ. მალე იმას მოჰყოლია მეორე ძარცვა. ქურდებს წაუღიათ ილიას ნაქონი ოქროს ჯვარი, მაცხოვრის ხატი, ჭავჭავაძეთა საგვარეულო ბეჭედი და გერბი, საგვარეულო ვერცხლის ჯვარი, „აჩრდილის" ლადო გუდიაშვილისეული ილუსტრაცია. მაგრამ ღვთის წყალობით, ნაქურდალი მალევე უპოვიათ...***

***რა ვქნათ, ვის დავაბრალოთ ამჯერად ეს ახალი მკრეხელობა?***

***ჩანს, სწორედ ამაზეა ნათქვამი, ქურდმა ერთი ცოდვა ქნა, დამკარგავმა ათასიო.***

***ამ ათას ცოდვაში კი, რასაკვირველია, უწინარესად უსამართლოდ დაბრალება იგულისხმება.***

***მით უმეტეს, როცა კაცი კაცს ახირებულად აბრალებს იმას, რის გაფიქრებაც კი უკვე მკრეხელობაა და, როგორც თავად ბნელ კაცთაგან შუბლგანგმირული ის ღმერთკაცი იტყოდა, ტყუილებითა და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.***

***გ. წ.***

სხვა გაზეთიდან

# პრევენციული დარტყმების ახალი რუსული სტრატეგია

„Jane's" (აშშ)

**აშშ-ს შეიარაღებული ძალების სახელმძღვანელოზე დაყრდნობით ბესლანის სკოლაში მომხდარი ქლეტის პასუხად, გენშტაბის უფროსმა — გენერალმა იური ბალუევსკიმ გასულ კვირას განაცხადა, რომ მისი ქვეყნის შეიარაღებული ძალები უფლებას იტოვებენ განახორციელონ პრევენციული დარტყმები ტერორისტულ ბაზებზე მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში.**

რუსეთის ამ განცხადებაზე საჭირო რეაგირება დასავლეთის არც ერთ მთავრობას არ მოუხდენია. მაგრამ კერძო წესით დასავლელი სამხედრო დამგეგმარებლები იწყებენ შეშფოთების გამოხატვას იმასთან დაკავშირებით, თუ რას უნდა ნიშნავდეს სინამდვილეში ოფიციალური ცვლილება მოსკოვის პოლიტიკაში. მოსკოვის მტკიცებები იმის შესახებ, რომ იგი ტერორიზმთან იგივე ომს აწარმოებს, რასაც აშშ, სერიოზულად არ აღიქმება...

ტერორიზმი, რომელსაც დღეს რუსეთი აწყდება, სხვა სახისაა. იგი ერთი ეთნიკური ჯგუფის გათავისუფლებისათვის ბრძოლიდან იშვა. ბოევიკები, რომლებმაც აშშ-ს შეუტიეს, უცხოელები იყვნენ; ისინი, ვინც რუსეთს შეუტიეს, ნომინალურად მისი საკუთარი მოქალაქეები იყვნენ. შემდგომ ამისა, „ალ-ქაიდა" უარყოფს თავად დასავლური სამყაროს კონცეფციას, მაშინ, როცა ჩეჩნებს უნდათ დამოუკიდებელი ქვეყნის სახით შეუერთდნენ სამყაროს.

ჩეჩნები ისლამის სახელით არ იბრძვიან, თუმცა კი მუსლიმანები არიან. ისინი დამოუკიდებლობისკენ ეროვნული სწრაფვისთვის იბრძვიან. „ალქაიდასთან" და მის მოკავშირეებთან მოლაპარაკებების წარმოება შეუძლე-



ბელია მაშინაც კი, თუ ისინი ძალადობაზე უარს იტყვიან. რაც შეეხება ჩეჩნურ პრობლემას, აქ მასზე, ყოველ შემთხვევაში, თეორიაში, პასუხი არსებობს, — დამოუკიდებლობის მინიჭება რუსეთის ამ რესპუბლიკისთვის.

ამრიგად, დასკვნა ასეთია: რუსეთის მთავრობის მუქარა საკუთარი შეიარაღებული ძალების მსოფლიოში განლაგების შესახებ სხვა არაფერია, თუ არა იმის მცდელობა, რომ თავიდან აიცილოს ჭეშმარიტი საკითხის — ჩეჩენი ხალხის მომავლის საკითხი...

მაინც რის გაკეთებას აპირებს რუსეთი?

რატომ აცხადებენ ასე დაჟინებით რუსები სხვა ქვეყნებში ტერორისტთა სავარაუდო ბაზებზე პრევენციული დარტყმების დოქტრინის შესახებ?

მიზეზი ორია. პირველი — გრძელვადიანი და სტრატეგიულია. საბჭოთა კავშირის კრახის შემდეგ რუსეთს უნდოდა, შეენარჩუნებინა კონტროლი ნავთობით მდიდარ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან კავკასიურ რეგიონზე და განსაკუთრებით მეზობელ საქართველოზე.

საქართველოს მთავრობა, ახლა უკვე იქ მყოფი ამერიკელი სამხედროების დახმარებით, ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ამ მცდელობებს. ახლა ტერორიზმთან ბრძოლის საფარქვეშ რუსეთი კვლავ იმედოვნებს, რომ კვლავ მოახვევს თავს საქართველოს საკუთარ კონტროლს. მათთვის საკმაოდ ხელსაყრელია ის, რომ შეუძლიათ ისე გააკეთონ ეს, რომ იგივე თავის მართლება გამოიყენონ, რომელსაც ამერიკელები მსოფლიოს სხვა ნაწილებში იყენებენ.

მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ რუსეთის პრევენციული დოქტრინა მისი საიდუმლო აგენტებისთვის კარტბლანშს წარმოადგენს...

**<u>შენიშვნა:</u> „Jane's" — დამოუკიდებელი ამერიკული ავტორიტეტული გამოცემაა, რომელიც სადაზვერვო მონაცემებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების ამსახველი მასალების გადამუშავების შედეგად დასკვნებს ამზადებს; მასში იბეჭდება სტატიები სამხედრო ტექნოლოგიისა და შეიარაღების შესახებაც.**

# კადაფი „ბრძენთა საბჭოს" შექმნას მოითხოვს



**ლიბიის ლიდერმა მოამარ კადაფიმ მოუწოდა გაეროს უშიშროების საბჭოს, მიიღოს რეზოლუცია „ბრძენთა საბჭოს" შექმნის შესახებ, რომელშიც გაერთიანდებიან სახელმწიფოთა ლიდერები საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარების მიზნით. ნიუ-იორკში, გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე გამოსვლის დროს ასეთი ინიციატივა გამოთქვა ლიბიის საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურმა რაჰმან შალგამმა.**

კადაფის მიაჩნია, რომ საბჭოს შემადგენლობაში უნდა შევიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ექს-პრეზიდენტი ბილ კლინტონი, სსრ კავშირის ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი და სამხრეთ აფრიკის ლიდერი ნელსონ მანდელა. კადაფის აზრით, გაეროს უშიშროების საბჭომ, რომელშიც 15 წევრია, ძირითადი ფუნქციები უნდა გადასცეს გენერალურ ასამბლეას, რომელიც 191 სახელმწიფოს აერთიანებს.

„ამ ბოლო 59 წელიწადმა (ეს დრო გავიდა გაეროს დაარსების შემდეგ) დაადასტურა, რომ გენერალური ასამბლეა არის მხოლოდ დეკორატიული ორგანო, — თქვა შალგამმა. — თუ მას არ დაეკისრება უშიშროების საბჭოს მთავარი ფუნქციები, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ დავტოვოთ ასამბლეა და შევწყვიტოთ მისი დაფინანსება".

გარდა ამისა, კადაფიმ გამოთქვა სურვილი, რომ გაეროს გენერალური ასამბლეის 2005 წლის სესია, რომელიც ემთხვევა გაეროს დაარსების 60 წლისთავს, გაიმართოს არა ნიუ-იორკში, არამედ ჟენევაში, რათა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ლიდერმა შეძლოს მასზე დასწრება. ტრიპოლი მზადაც კი არის, ნაწილობრივ აანაზღაუროს სხდომის გადატანასთან დაკავშირებული ხარჯები.

მრავალი პოლიტიკოსი ვარაუდობს, რომ შვეიცარიაში სხდომის გადატანის შესახებ გამოთქმული ასეთი წინადადება შეიძლება აიხსნას იმით, რომ კადაფის არ სურს შეერთებულ შტატებში ჩასვლა.

# ლტოლვილთა ბანაკი დაბომბეს

**ისრაელის ვერტმფრენებმა ღაზის სექტორში პალესტინელ ლტოლვილთა ჯაბაილიას ბანაკს დარტყმა მიაყენეს. ერთ-ერთი რაკეტა მსუბუქ ავტომანქანას მოხვდა, რის შედეგადაც სამი ადამიანი დაიღუპა და რვა დაშავდა.**

ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებმა იერიში ქალაქ ღაზის ჩრდილოეთ ნაწილზეც მიიტანეს. იქ ადგილობრივი საქველმოქმედო ორგანიზაციის ოფისია განადგურებული. თელ-ავივში ამტკიცებენ, რომ ფონდი რადიკალურ ისლამურ დაჯგუფებას აკონტროლებდა: ჰუმანიტარული მისიის ფულით ექსტრემისტები იარაღს ყიდულობდნენ.

ამჟამად ჯაბაილიას ლტოლვილთა ბანაკი და მეზობელი ქალაქი ბეით-ჰანუნი ისრაელის ჯარების მიერ მთლიანად ალყაშია მოქცეული. სამხედროები იქ სადამსჯელო რეიდებს ახორციელებენ.



ღაზის სექტორში ოპერაცია პალესტინელი ექსტრემისტების ბოლო თავდასხმის პასუხად ტარდება. 29 სექტემბერს, საღამოს „ჰამასის" რადიკალური დაჯგუფების მოთარეშეებმა „ქასამის" ტიპის რამდენიმე რაკეტა ესროლეს ისრაელის ქალაქ სდეროთს. იერიშის შედეგად დაიღუპა 2 ბავშვი და 10-ზე მეტი კაცი დაიჭრა.

# მოკლედ

**ერაყში მძევლად აიყვანეს 10 ადამიანი. ექსტრემისტები აცხადებენ, რომ მათ დაატყვევეს ორი ინდონეზიელი, ორი ლიბანელი და ექვსი ერაყელი. ეს ადამიანები ერაყში მუშაობდნენ კონტრაქტით ელექტრომოწყობილობების მწარმოებელ კომპანიაში.**

* * *

**30 სექტემბერს დაიწყო წინასაარჩევნო ტელედებატები ჯორჯ ბუშსა და ჯონ კერის შორის. კერის მომხრეები**



**ურჩევენ მას მზად იყოს თავის კარიერაში ყველაზე მწვავე დებატებისათვის, რადგან ბუშს ასეთ ტელედებატებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება აქვს და საკმაო ორატორული ნიჭითაც არის დაჯილდოებული.**

* * *

**კალიფორნიაში მოხდა 5 ბალი სიმძლავრის მიწისძვრა. მიწისქვეშა ბიძგები დაფიქსირდა ლოს-ანჯელესიდან**



**სამხრეთით 80 მილზე, დაუსახლებელ რაიონში. ეპიცენტრში მიწისქვეშა ბიძგებმა გამოიწვიეს ქვების ცვენა. წინა დღეს კალიფორნიაში ასევე მოხდა რიხტერის შკალით 5,8 ბალის სიმძლავრის მიწისძვრა.**

* * *

**პალესტინის ავტონომიის ყოფილ პრემიერ-მინისტრს არჩევნების გამართვა მიზანშეუწონლად მიაჩნია. „ამჟამად შექმნილ ვითარებაში საჭიროა, რომ პალესტინელთა ყველა დაჯგუფებამ ერთობლივი ძალისხმევით გააკონტროლოს ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია", — განაცხადა მაჰმუდ აბასმა.**

# მოლაპარაკებისთვის მზად არიან

**დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება ბრიტანელი კენეტ ბიგლის გამტაცებლებთან მოლაპარაკებისთვის მზად არის. ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა განაცხადა.**

მისი თქმით, „გამტაცებლებს არც ერთხელ არ უცდიათ კონტაქტზე გამოსვლა, მაგრამ თუ დაგვიკავშირდებიან, ჩვენ დაუყოვნებლივ ვუპასუხებთ".

დღემდე დიდი ბრიტანეთის მთავრობა ექსტრემისტებთან მოლაპარაკების ნებისმიერ შესაძლებლობას უარყოფდა.

ბრიტანელი მძევლის და მისი გამტაცებლების ადგილსამყოფელის შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი.

გუშინ ყატარის ტელეარხმა „ალ-ჯაზირამ" ეთერში ბიგლის ახალი ვიდეომიმართვა გადასცა. მძევალი პირადად პრემიერ-მინისტრს ტონი ბლერს სთხოვს, შეასრულოს გამტაცებელთა ყველა მოთხოვნა და ერაყის საპყრობილეებიდან გაათავისუფლოს ყველა ქალი.

ლივერპულელი ინჟინერი 62 წლის კენეტ ბიგლი ორ ამერიკელთან ერთად 16 სექტემბერს გაიტაცეს ბაღდადში.

# ინციდენტი იაპონიის პარლამენტის წინ

**მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა იაპონიის პარლამენტის ქვედა პალატის შენობის ერთ-ერთ სასამსახურო შესასვლელს. ავტომობილს შეჯახებისთანავე ცეცხლი გაუჩნდა. ავარიის შედეგად არავინ არ დაღუპულა და დაშავებულა, იტყობინებიან ტოკიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.**



პოლიციამ დააკავა მძღოლი, რომელიც ერთ-ერთი ულტრამემარჯვენე ორგანიზაციის წევრია. მან განაცხადა, რომ ასეთი ჟესტით სურდა გამოეთქვა პროტესტი იმის გამო, რომ არავითარი პროგრესი არ შეინიშნება ფხენიანის სპეცსამსახურების მიერ მრავალი წლის წინათ გატაცებული იაპონელების ბედის შესახებ ჩრდილოეთ კორეასთან მიმდინარე მოლაპარაკების პროცესში.

მანამდე პეკინში უშედეგოდ დასრულდა ამ პრობლემის შესახებ იაპონია-ჩრდილოეთ კორეის კონსულტაციები. ფხენიანს აქამდე არ განუცხადებია, თუ რა ბედი ეწია 10 უგზოუკვლოდ დაკარგულ იაპონელს.

# დედამიწაზე სიცოცხლე 16 მილიონი წლით ადრე ჩაისახა, ვიდრე ამას აქამდე ვარაუდობდნენ

სიცოცხლე დედამიწაზე ჩაისახა 3,416 მილიარდი წლის წინათ, ანუ 16 მილიონი წლით ადრე იმასთან შედარებით, როგორც ეს აქამდე მიაჩნდათ მეცნიერებს.

ასეთ მონაცემებს შეიცავს საექსპერტო ანგარიში, რომელიც ბრიტანულმა ჟურნალმა „Nature" გამოაქვეყნა. როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, ერთ-ერთი მარჯნის ანალიზმა, რომლის ასაკი 3,416 მილიარდ წელს აღემატება, დაამტკიცა, რომ ამ მარჯნის წარმოქმნის დროს დედამიწაზე უკვე არსებობდა სიცოცხლე მიკრობების დონეზე.

სტენფორდის უნივერსიტეტის მკვლევარების, გამოკვლევის ავტორების მაიკლ ტაისისა და დონალდ ლოუვის განცხადებით, ამ აღმოჩენამ გარკვეული დროით უნდა შეწყვიტოს კამათი დედამიწაზე სიცოცხლის ჩასახვის დროის შესახებ.

როგორც ჟურნალის ექსპერტები აღნიშნავენ, ტაისის და ლოუვის ნაშრომი დამაჯერებლად მოწმობს, რომ გაანალიზებული მასალა შეიცავს სწორედ ბიოლოგიური და არა ჰიდროთერმული აქტიურობის კვალს.



# ვატიკანი ადამიანების კლონირების საყოველთაო აკრძალვას მოითხოვს

**ვატიკანი მხარს უჭერს ისეთი „მკაფიო კონვენციის შემუშავებას, რომელიც ყოვლისმომცველ აკრძალვას დაუწესებს ადამიანების კლონირებას". წმინდა ტახტის ეს პოზიცია გაეროს გენერალური ასამბლეის 59-ე სესიაზე დაადასტურა ვატიკანის სახელმწიფოებთან ურთიერთობების მდივანმა არქიეპისკოპოსმა ჯოვანი ლაიოლომ.**



როგორც მან თქვა, ვატიკანი „მხარს უჭერს მედიცინის მეცნიერების ისეთ განვითარებას, რომლის პირობებშიც არ შეილახება ადამიანის ღირსება". რამდენიმე კვირის შემდეგ, გაეროს გენერალური ასამბლეის 59-ე სესიაზე განახლდება მუშაობა საერთაშორისო ხელშეკრულებაზე, რომელიც კრძალავს ადამიანის კლონირებას.

წინა, 58-ე სესიამ გადაწყვიტა ამ საკითხის განხილვის გადმოტანა მიმდინარე წლისათვის, რადგან მაშინ ვერ შეძლეს კონსენსუსის მიღწევა.

ამერიკის შეერთებული შტატები, კოსტა-რიკა და მთელი რიგი სხვა ქვეყნები მოითხოვენ, რომ ტოტალურად აიკრძალოს როგორც რეპროდუქტიული, ისე თერაპიული კლონირება.

გაეროს წევრ-სახელმწიფოთა ნაწილი კი მხარს უჭერს ორსაფეხურიანი პროცესის შემოღებას, რომლის დროსაც პირველ ეტაპზე დაუყოვნებლივ აიკრძალება რეპროდუქტიული კლონირება, თერაპიული კლონირების უფრო რთული საკითხის შესახებ გადაწყვეტილებას კი მოგვიანებით გამოიტანენ.

დიდ ბრიტანეთს, მაგალითად, მიაჩნია, რომ ყოველმხრივ უნდა წახალისდეს კლონირება თერაპიული მიზნებით და აცხადებს, რომ არასდროს არ მოაწერს ხელს კონვენციას, რომელიც საყოველთაო აკრძალვას დაუწესებს ასეთ კლონირებას.

გენერალური ასამბლეის 58-ე სესიამ მიიღო რეზოლუცია გენერალური ასამბლეის 59-ე სესიის დღის წესრიგში კლონირების საკითხის შეტანის შესახებ, თუმცა მასში ნახსენები არ იქნება თერაპიული კლონირება.

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2004 წლის 27 სექტემბერი ქ. თბილისი

**ვ. კვინიკაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოში სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროში ნაყოფიერი და კეთილსინდისიერი საქმიანობისათვის, ადგილობრივი მეწარმეების განვითარებაში და მაღალხარისხიანი უსაფრთხო პროდუქციის წარმოების უზრუნველყოფაში შეტანილი პირადი წვლილისათვის საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე **ვახტანგ კვინიკაძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**მიხეილ სააკაშვილი.**

◎ პოლიცია

# თითქმის სადღეღამისო რეჟიმით

## რეფორმა კარგია, მაგრამ მთავარი მაინც შედეგია

*ჰქვემდ დროში ამ თუ ის სისხლის სამართლის დანაშაულის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად ფსიქოლოგები, მეცნიერი ანალიტიკოსები, უპირველესად, საზოგადოებაში არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას ასახელებდნენ. მერე მოდის სხვა ობიექტური კატეგორიები, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა და უარყოფითად მოქმედებენ კრიმინოგენურ სიტუაციაზე.*

*უკანასკნელ ხანს ქვეყნის მასშტაბით გეომეტრიული პროგრესიით იზრდება საშიში სახის დანაშაულთა ფაქტები. ამის საწინააღმდეგოდ ხელისუფლების მიერ ადმინისტრაციულ ორგანოებში ვითარება რეფორმირება დაიწყო. თუ რა რეალური ახალი შედეგი ამას ზუგდიდის სინამდვილეში, გვესაუბრება ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი როზო ზარქუა, რომელსაც გამოცდილება არ აკლია და იქ არის, სადაც საჭიროა.*

**— ზუგდიდი კონფლიქტის ზონაა, სადაც „მოლაშქრეებს" ეტრევა წოდებული „ინგურვაიონალური" დამნაშავე ჯგუფები. როგორ ებრძვით მათ, რეალურად რა სიტუაციაა დღეის მდგომარეობით?**

— დიახ, ზუგდიდის რაიონი მდებარეობს კონფლიქტის ზონაში, ოფიციალური „იურიდიული საზღვარი" აფხაზეთსა და საქართველოს შორის დადგენილი არ არის. ჩვენი სამოქმედო ტერიტორია 55 კილომეტრზე ესაზღვრება აფხაზეთს. რა თქმა უნდა, ასეთ დიდ პერიმეტრზე სასაზღვრო ზოლის სრულყოფილი გაკონტროლება სამმართველოს პირადი შემადგენლობის ძალებით უამრავ სირთულეებთან არის დაკავშირებული. სამწუხაროდ, როგორც ჩვენს, ისე აფხაზეთის ტერიტორიაზე მყოფი კრიმინალები ახერხებენ საზღვარზე გადასვლა-გადმოსვლას, ხოლო დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიმალვას ჩვენს მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე. არის შემთხვევები, როცა კრიმინალებს კავშირი აქვთ აფხაზ კოლეგებთან და ერთად გეგმავენ ახალ-ახალი დანაშაულის ჩადენას.

შესაძლებლობის ფარგლებში პოლიციის სამმართველოში შემავალი ქვეგანყოფილებების მუშაკთა მიერ სასაზღვრო ზოლში გადაკეტილია მდინარე ენგურის ხიდები და გადასასვლელები. დაწესებულია სადღეღამისო მორიგეობა. ასევე კონტროლდება მდინარეზე ფეხით გადასასვლელი ვიწრო ადგილებიც, რათა არ მოხდეს კონტრაბანდული საქონლის გადატანა და გატაცებული სატრანსპორტო საშუალებათა გადაყვანა, რაც ბოლო პერიოდში მაქსიმალურად აღკვეთილია.

სამწუხაროდ, კრიმინალთა ჯგუფები ჯერ კიდევ თავისუფლად არიან გალის რაიონის ქვედა ზონის სოფლებში. ბოროტმოქმედთა გარკვეული ნაწილის ვინაობა ცნობილია, მაგრამ მიუხედავად ერთგვარი შეთანხმებისა, აფხაზ სეპარატისტთა მხრიდან ადმინისტრაციული ორგანოების თანადგომა არ იგრძნობა. ეს კი ხელს უშლის ჩვენს ეფექტიან ბრძოლას, დამნაშავეთა სრულად მხილებას.

**— პოლიციის უფროსად თქვენი მოსვლის შემდეგ რამდენი დანაშაულია რეგისტრირებული და აქედან რამდენია გახსნილი?**

— ზუგდიდის პოლიციის უფროსად დავინიშნე წლეულს, ივლისში. ამ ხნის განმავლობაში რაიონის სამოქმედო ტერიტორიაზე მთლიანად რეგისტრირებულია 100 დანაშაული, აქედან გახსნილია 71. დაკავებულია 30-მდე საშიში ბოროტმოქმედი, მათ შორის 4 სახელმწიფოთაშორისი ძებნილი. ამოღებულია დიდძალი იარაღი, საბრძოლო მასალა, ნარკოტიკი. უმოკლეს დროში გაიხსნა ორი ჯგუფური ქურდობის საქმე. დაპატიმრებულია გულისტან მესხია, ვალერი ჭითანავა, იამზე გოგია, იური ჭულუხიძე, ვასილ მამარდაშვილი და ალექსანდრე სამსონია.

ზუგდიდში სექტემბრის მეოთხე იამონელი გაძარცვეს ზურაბ შამუგიამ, დურმიშხან აგუმავამ, ბადრი ალასანიამ, რომლებიც კრიმინალური სამსახურის მუშაკების მიერ ოპერატიულად იქნა დაპატიმრებული. ასევე დროულად იქნა დაპატიმრებული მძარცველთა მეორე ჯგუფი ალიკა ლაგვილავასა და ლაშა ნარსიას შემადგენლობით. აღსანიშნავია, რომ ირაკლი ფიფიას მკვლელობის საქმე ერთ საათში იქნა გახსნილი და მისი მკვლელი მერაბ ქორთუა პატიმრობაშია აყვანილი. ამით მოსახლეობამ ცოტა ამოისუნთქა, თუმცა ძალზე გვაწუხებს ადამიანთა გატაცების ფაქტები.



**— პოლიციაში ფართო მასშტაბიანი რეფორმა მიმდინარეობს. ბევრი სამსახური გაუქმდა და ბევრმა პოლიციელმა დატოვა სამუშაო ადგილი. რეფორმის ტალღამ აქაც მოაღწია. როგორია პირველი შთაბეჭდილება?**

— ივლისში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გატარებული რეფორმის შედეგად, სამუშაოდან განთავისუფლდა 113 თანამშრომელი. გაუქმდა საპატრულო საგუშაგო სამსახური, საგზაო პოლიციის განყოფილება, სანებართვო და შეიარაღების სამსახურები, აგრეთვე სპეცდანიშნულების რაზმი. რა თქმა უნდა, შემცირებამ ერთგვარი უარყოფითი გავლენა იქონია ოპერატიულ სიტუაციაზე. თანაც ისეთ რაიონში, სადაც კონფლიქტის ზონაა, საზღვარი დაუცველია და ამასთან, სამოცი ათასზე მეტი ლტოლვილი ინტენსიურად შემოდის და გადის აფხაზეთის ტერიტორიაზე. სამმართველოს პირადი შემადგენლობა, ფაქტობრივად, გადასულია სადღეღამისო ოპერატიულ მორიგეობაზე, რათა შენარჩუნდეს სტაბილური მდგომარეობა. სხვა გზა არა გვაქვს, ამას ვითარება მოითხოვს!

**— ცნობილია, რომ ზუგდიდის პოლიციის სამმართველოში საპატრულო დანაყოფი შეიქმნა. რა კატეგორიის, პროფესიისა და ინტელექტის მუშაკებით დაკომპლექტდა იგი, პრაქტიკულად რა მუშაობას ეწევიან ისინი და, როგორია ახალი სამსახურის საქმიანობის შედეგები?**

— რეფორმირების შედეგად შეიქმნა საპატრულო სამსახურის დანაყოფი, რომელიც ძირითადად დაკომპლექტდა უმაღლესი განათლების მქონე, ფიზიკურად ჯანმრთელი და მორალურად მყარი პროფესიონალი კადრებით. შეიძლება ითქვას, რომ ეს სამსახური ჯერჯერობით ბოლომდე არაა დაკომპლექტებული. მის თანამშრომლებს არა აქვთ მიღებული ყოველდღიური სამსახურებრივი ფორმის ტანსაცმელი, სატრანსპორტო და კავშირის საშუალებები, აგრეთვე ტაბელური იარაღი. მათ ამ ეტაპზე ევალებათ მხოლოდ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე წესრიგის დაცვის ფუნქცია. ამდენად, ახლა ამ სამსახურის მუშაობის შედეგების შეფასება ნაადრევად მიმაჩნია, რადგან არ იქნება კონკრეტული ფაქტებით არგუმენტირებული.

**— რაც მთავარია, უბნის რწმუნებულის ინსტიტუტი ჯერჯერობით მუშაობს, მაგრამ სამომავლოდ რა ბედი ელის მას?**

— კარგია, რომ რეფორმაში არ იყო ჩართული უბნის ინსპექტორთა სამსახურის რეორგანიზაცია. იგი ჯერჯერობით ფუნქციონირებს და ერთ-ერთი პროფილაქტიკის სამსახურია, რომელიც ამ ეტაპზე აუცილებლობას წარმოადგენს საზოგადოებასა და პოლიციას შორის ურთიერთობის განსამტკიცებლად. ისინი ეწევიან მეტად მნიშვნელოვან პროფილაქტიკურ საქმიანობას.

**— პოლიციის სამმართველოს პირადი შემადგენლობის ყველა წევრმა გაიარა თუ არა ნარკოლოგიური შემოწმება და როგორია მისი საბოლოო სურათი?**

— პოლიციის სამმართველოს პირადმა შემადგენლობამ გაიარა ნარკომანიის კუთხით შემოწმება და, ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენს შორის არ აღმოჩნდა ნარკომანი.

**— თქვენი აზრით, როგორია ზუგდიდის საზოგადოებაში პოლიციის რეიტინგი?**

— ზუგდიდის მოსახლეობის უმრავლესობის აზრით, პოლიციის რეიტინგმა უკანასკნელ პერიოდში აიწია.

**— და ბოლოს, რაზეა დამოკიდებული პოლიციის სიძლიერე და როგორ გესახებათ მისი მომავალი?**

— პოლიციის სიძლიერე დამოკიდებულია პროფესიონალ კადრებზე, მათ მაღალ იდეურ და თეორიულ დონეზე, სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე, საზოგადოებასთან უწყვეტ კავშირზე და, რაც მთავარია, მტკიცე მატერიალური ბაზის შექმნასა და შრომის სწორ ორგანიზაციაზე. ყოველივე ამის გათვალისწინებით პოლიცია სამომავლოდ იქნება უფრო ძლიერი, რომელსაც შეეძლება ამაყად იდგეს მოსახლეობის სიმშვიდის სადარაჯოზე.

ესაუბრა
**ოდიკ ქუხილავა,**
**„სრ" საკ. კორ.**

შპს „დამი" (რეგისტრირებული ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 2 ნოემბერს, რეგისტრაციის №4/4-1476) აცხადებს ლიკვიდაციას. მისამართი ქ. **თბილისი, ლეონიძის 2/4.**

სს „რიონი" აცხადებს რიგგარეშე საერთო კრების სადარიცხვო დღედ 2004 წლის 11 ოქტომბერს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

აცხადებს მიღებას

**ფარმაცევტული ფაკულტეტის საღამოს დასწრებული სწავლების სექტორზე**

**მიიღებიან** საშუალო სკოლის და მასთან გათანაბრებული ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლების კურსდამთავრებულნი, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულნი, სტუდენტები. სწავლის ხანგრძლივობა 5 წელია.

საღამოს დასწრებული სწავლების სექტორზე სწავლება ფასიანია. განცხადებას, რომელიც ადგილზე შეივსება, თან უნდა დაერთოს:

1. საშუალო ან უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
2. 6 ფოტოსურათი (3X4);
3. პასპორტს (ან მის შემცვლელ პირადობის დამადასტურებელ მოწმობას) და სამხედრო დოკუმენტს აბიტურიენტი წარმოადგენს პირადად.

განცხადებები მიიღება ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 2004 წლის 4 ოქტომბრიდან 5 ნოემბრის ჩათვლით, 10 საათიდან 16 საათამდე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის პირველ სართულზე, ფარმაცევტული ფაკულტეტის დეკანატში. მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 33, ტელეფონი: 39-18-41.

**მისაღები გამოცდები ჩატარდება 2004 წლის 12 ნოემბერს.**

# განცხადებები ტენდერების ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ.თბილისი, ა. წერეთლის გამზ. №144) აცხადებს ღია, ორეტაპიან ტენდერს „შშმპ სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის" 2004 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში „შშმპ-თა (მათ შორის ბავშვთა) ინსტიტუციონალური პატრონაჟის" კომპონენტის „შშმპ ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაციის" ქვეკომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები.

3. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა 2004 წლის 15 ნოემბრიდან 2004 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ეს უკანასკნელი – დახურულ კონვერტში) ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად უნდა წარმოადგინონ 2004 წლის 18 ოქტომბრიდან 19 ოქტომბრის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობებს, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით;);

დ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

**5.2 დამატებითი მოთხოვნა:**

ცნობა სრულად გასტუმრებული ვადაგასული ვალდებულებების შესახებ სახელმწიფოსა და კრედიტორების წინაშე (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საგადასახადო ინსპექციიდან);

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

7. მე-5 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეთათვის:

პირველადი სატენდერო წინადადება, დახურულ კონვერტში, ფინანსური მახასიათებლების გარეშე წარდგენილ უნდა იქნას სატენდერო კომისიაში.

პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;

ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის დასახელება;

გ) მომსახურების აღწერილობა, გასაწევი მომსახურების ვადები და შედეგები;

დ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (დამტკიცებული აუდიტის მიერ);

ე) ინფორმაცია აღნიშნული მომსახურების სფეროში არსებული გამოცდილების შესახებ;

ვ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის საშტატო განრიგი;

ზ) შევსების თარიღი და ხელმოწერა.

10. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

11. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ მონაწილეებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

12. საკვალიფიკაციო შერჩევა დაიწყება 2004 წლის 20 ოქტომბრიდან, წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

13. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის დაწყება-დამთავრების თარიღი ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით. სატენდერო დოკუმენტაციის პრეტენდენტთათვის გაცემა მოხდება 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (სახაზინო ანგარიშის №115700718, კოდი 220101107). სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

14. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

15. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

16. სატენდერო წინადადებისა და გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით.

17. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან – სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: **გელა ჩიკვაიძე, შოთა ჯორჯიკია,** ტ. 69-48-71, 69-65-90, **მაია ბუჩუკური** ტ. 34-63-95 მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული; E-mail: : Procurement_Ge@yahoo.com.

**სატენდერო კომისია.**

---

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. №144) აცხადებს ღია, ორეტაპიან ტენდერს (6 ლოტად) „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის" 2004 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კომპონენტით" გათვალისწინებული მომსახურების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია:

**I ლოტი** – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (შემდგომში - შშმპ) დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის ღონისძიებები;

**II ლოტი** – შშმპ-თა საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფის ღონისძიებები;

**III ლოტი** –შშმპ-თა განათლების სფეროში ინტეგრირების ხელშეწყობის ღონისძიებები;

**IV ლოტი** – შშმპ-თათვის კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელება;

**V ლოტი** – შშმპ-თათვის სპორტული ღონისძიებების განხორციელება;

**VI ლოტი** – შშმპ-თა სოციალური რეაბილიტაციისა და შეზღუდული შესაძლებლობის (ინვალიდობის) პრევენციული ღონისძიებების განხორციელება.

3. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა 2004 წლის 15 ნოემბრიდან 2004 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ეს უკანასკნელი – დახურულ კონვერტში) ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად უნდა წარმოადგინონ 2004 წლის 18 ოქტომბრიდან 20 ოქტომბრის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობებს, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით;);

დ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

**5.2 დამატებითი მოთხოვნა:**

ცნობა სრულად გასტუმრებული ვადაგასული ვალდებულებების შესახებ სახელმწიფოსა და კრედიტორების წინაშე (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საგადასახადო ინსპექციიდან);

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

7. მე-5 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეთათვის:

პირველადი სატენდერო წინადადება, დახურულ კონვერტში, ფინანსური მახასიათებლების გარეშე წარდგენილ უნდა იქნას სატენდერო კომისიაში.

პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;

ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის დასახელება;

გ) მომსახურების აღწერილობა, გასაწევი მომსახურების ვადები და შედეგები;

დ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (დამტკიცებული აუდიტის მიერ);

ე) ინფორმაცია აღნიშნული მომსახურების სფეროში არსებული გამოცდილების შესახებ;

ვ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის საშტატო განრიგი;

ზ) შევსების თარიღი და ხელმოწერა.

10. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

11. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ მონაწილეებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

12. საკვალიფიკაციო შერჩევა დაიწყება 2004 წლის 21 ოქტომბრიდან, წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

13. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის დაწყება-დამთავრების თარიღი ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით. სატენდერო დოკუმენტაციის პრეტენდენტთათვის გაცემა მოხდება 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (სახაზინო ანგარიშის №115700718, კოდი 220101107). სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

14. პრეტენდენტებს უფლება აქვთ თითოეულ ლოტზე წარმოადგინონ როგორც ძირითადი, ასევე ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

15. ტენდერის თითოეულ ლოტში შეიძლება გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

16. სატენდერო წინადადებისა და გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით.

17. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან – სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: **გელა ჩიკვაიძე, შოთა ჯორჯიკია** ტ. 69-48-71, 69-65-90, **მაია ბუჩუკური, ეკა ლაგვილავა, გია მესხი** ტ. 34-63-95 მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული; E-mail: : Procurement_Ge@yahoo.com.

**სატენდერო კომისია.**

## შესწორება

I. „საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სატენდერო კომისია გაცნობებთ, რომ ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მკურნალობის კომპონენტის მიხედვით სამკურნალო საშუალებების შესასყიდად ა.წ. 24 სექტემბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" (№ 222, მე-6 გვერდი) გამოქვეყნებული განცხადების მე-2 პუნქტის „დ)" ქვეპუნქტი ჩამოყალიბებული უნდა იყოს შემდეგნაირად:

დ) VIII ფაქტორის კონცენტრატი – 2 256 250 ს.ე. (250 ს.ე. დაფასოების)."

II. „საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სატენდერო კომისია გაცნობებთ, რომ ურგენტული მომსახურების პროგრამის მიხედვით სამედიცინო მომსახურების შესასყიდად ა.წ. 28 სექტემბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" (№ 225, მე-6 გვერდი) გამოქვეყნებული განცხადების პირველი პუნქტი ჩამოყალიბებული უნდა იყოს შემდეგნაირად:

„1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ღია, ორეტაპიან ტენდერს (ათ ლოტად), მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2004 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ურგენტული მომსახურების პროგრამის მიხედვით სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს".

III. „საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სატენდერო კომისია გაცნობებთ, რომ უმწეოთა დამატებითი სამედიცინო დახმარების კომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების შესასყიდად ა.წ. 28 სექტემბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" (№ 225, მე-6 გვერდი) გამოქვეყნებული განცხადების პირველი და მეორე პუნქტი ჩამოყალიბებული უნდა იყოს შემდეგნაირად:

„1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს (შვიდ ლოტად), მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2004 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უმწეოთა დამატებითი სამედიცინო დახმარების კომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, რომელიც გულისხმობს პროგრამაში უმწეოთა პოლისის მქონე მოქალაქეთა სამედიცინო დახმარებას (სტაციონარული), და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტი:

I ლოტი: უმწეოთა გეგმიური სტაციონარული მომსახურება, ქ. თბილისში პროგრამით გათვალისწინებული სრული მოცულობით, სპეციალობა – კომბუსტიოლოგიის გარდა;

II ლოტი: უმწეოთა გეგმური სტაციონარული მომსახურება, ქ. ქუთაისში;

III ლოტი: უმწეოთა გეგმური სტაციონარული მომსახურება, ქ. ზუგდიდში;

IV ლოტი: უმწეოთა გეგმური სტაციონარული მომსახურება, ქ. რუსთავში;

V ლოტი: უმწეოთა გეგმური სტაციონარული მომსახურება, ქ. გორში;

VI ლოტი: უმწეოთა გეგმური სტაციონარული მომსახურება, ქ. ბათუმში;

VII ლოტი: უმწეოთა გეგმური სტაციონარული მომსახურება, ქ. ჭიათურაში".

**გენერალური დირექტორი**
**ზ. სოფრომაძე.**

◉ წინ, საქართველო!

# გამარჯვების დღე

მოგეხსენებათ, 2004 წელი ივო შუშაკის გაწვრთნილმა თბილისის „დინამომ“ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მოგებით დაიწყო. გუშინ ხორვატი სპეციალისტის მემკვიდრის გია გეგუჩაძის დამოძღვრილმა ქართული ფეხბურთის ფლაგმანმა კიდევ ერთი გამარჯვების დღე აჩუქა გულშემატკივრებს – უეფას თასის გათამაშების I რაუნდის საპასუხო შეხვედრაში 2:1 მოუგო კრაკოვის „ვისლას“ და პირველად მოიპოვა პრესტიჟული ევროტურნირის ჯგუფურ ეტაპზე თამაშის უფლება. მომავალ მეტოქეებს კენჭისყრა 5 ოქტომბერს დაასახელებს.

**„დინამო“ – „ვისლა“ 2:1 (0:0)**

**„დინამო“ – მამალაძე, შაშიაშვილი, ჭიჭველიშვილი, სალუქვაძე, კვირკველია, კანკავა, კანდელაკი, ნემსაძე, ალადაშვილი, კაკალაძე, მელქაძე. ითამაშეს აგრეთვე ახალაიამ, რომერომ და გრიგალაშვილმა.**

**„ვისლა“ – მაიდანი, ბაშჩინსკი, კლოსი, გლოვაცკი, სტოლიარჩიკი, გორავსკი, შიმკოვიაკი, კანტორო, ზემჩუკი, ფრანკოვსკი, ჟურავსკი. ითამაშეს აგრეთვე კუჟბამ, ფეხნერმა და კუკელკამ.**

**მსაჯი – კენეტ კლარკი (შოტლანდია).**

**გაძევება – ბაშჩინსკი (მე-60 წუთი).**

**გოლები – ნემსაძე (მე-60 წუთი, პენალტით), კაკალაძე (66-ე წუთი), ფრანკოვსკი (77-ე წუთი).**

გუშინდელი წარმატება მნიშვნელოვანწილად განახლებული კლუბის პირველი საერთაშორისო მიღწევაა. ვულოცავთ!

მას განსაკუთრებულ ხიბლს პოლონელთა ძალა მატებს – დამარცხებულია გუნდი, რომელმაც რამდენიმე თვის წინათ გაცამტვერა საქართველოს მოქმედი ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია“ და ჩემპიონთა ლიგის ზღურბლთან თვით მადრიდის „რეალთან“ ეჭირა თავი ღირსეულად. დაგვეთანხმებით, საგულისხმო ფაქტია.

არანაკლებ გასათვალისწინებელი გახლავთ ფსიქოლოგიური ფაქტორიც – ძირითადი მეკარის გარეშე ტოლი არაფერში დაუდო მრისხანე თავდამსხმელებით გამორჩეულ მოწინააღმდეგეს, რბილად რომ ვთქვათ, რაღაცაზე მეტყველებს.

კი ბატონო, ამჯერად იღბალი ჩვენს მხარეზე იყო – ბურთი სამჯერ მოხვდა მამალაძის კარის ძელს, მაგრამ ისიც ვაღიაროთ, რომ ეს გახლდათ საზღაური იმ თავგანწირვისა და უთანასწორო ბრძოლაში ვაჟკაცურად გადაშვებისათვის, ახალი ფორმაციის „დინამოს“ რომ ახასიათებს (სხვათა შორის, კულმინაციურ ეპიზოდში, როცა ნემსაძემ დიდებულად შეასრულა საჯარიმო დარტყმა, ძელი სტუმრებსაც დაეხმარა).

არის კიდევ ერთი გარემოება, ვერაფრით რომ ავუვლით გვერდს. ესაა შოტლანდიელი „შაოსანის“ კენეტ კლარკისა და მისი თანაშემწეების მსაჯობა, რომელიც ბევრს მიკერძოებული მოეჩვენა. ჯერ ერთი, უმაღლესი რანგის მატჩების ტელერეპორტაჟებით განებივრებულ ქომაგებს, ალბათ, არ უნდა უკვირდეთ ის, რაც გუშინ იხილეს – ბრიტანელებს ისეთი არაფერი გაუკეთებიათ, რასაც „დინამოზე“ გაცილებით გავლენიან (მეტი რომ არაფერი ვთქვათ) მასპინძელთა სასარგებლოდ მათი ბევრად უფრო კვალიფიციური კოლეგები „აკეთებენ“.

დაბოლოს, რადგან ეს წერილი საამაყო შედეგს ეძღვნება, მოდით, ამაღლებულ ნოტაზე დავასრულოთ: ქებათაქება მთელ „დინამოს“ კლუბის თავკაცობისა და გუშინდელი შეხვედრის საუკეთესო მოთამაშეების კანდელაკის, ნემსაძის, კანკავას, კვირკველიასა და ჭიჭველიშვილის თამადობით.

**გია პლატონიშვილი.**



◉ ფეხბურთი

# ოსტატობა მაინც გადამწყვეტია

ჩემპიონთა ლიგის ოთხშაბათის რაუნდში აღსანიშნავი მრავალი მოხდა. მათგან განსაკუთრებულად ქოზე მაურინიუს ძველი და ახალი კლუბების დუელი და „მილანში“ მისი ერთ-ერთი სიმბოლოს – ტრავმამოშუშებული ინძაგის დაბრუნება შეგვიძლია მივიჩნიოთ. „პიპომ“ მინდორზე გამოჩენა „სელტიკის“ კარში გატანილი გადამწყვეტი გოლით „დაასველა“. სათქმელი, იცოცხლეთ, კიდევ ბევრია. მოდით, ჩვენც ძირითადზე შევჩერდეთ.




**„E“ ჯგუფი**

**„რუსენბორგი“ – „არსენალი“ 1:1.**

**გოლები: სტრანდი; ლიუნგბერგი.**

**„ეინდჰოვენი“ – „პანათინაიკოსი“ 1:0.**

**გოლი: ჰესელინკი.**

ნორვეგიული კლუბი ლიგის ჯგუფური ტურნირის მუდმივ ბინადრად რომ იქცა, იმ თაობის უდიდესი დამსახურებაა, რომელსაც ამჟამად მხოლოდ ჰოფ-ტუნი, ბრატბაკი და სტრანდი წარმოადგენენ. მეტიც – უკანასკნელი 50 (!) მატჩის განმავლობაში დაუმარცხებელი „არსენალის“ კარში გატანილი საპასუხო გოლი სწორედ სტრანდმა მიითვალა. რაც შეეხება თვით შეხვედრას, იგი „მეთოფეთა“ უპირატესობით კი მიმდინარეობდა, მაგრამ დებიუტშივე დაწინაურების მიუხედავად, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა წარმატების მოსაპოვებლად. ეტყობა, კონტინენტის ჩრდილოეთში მოსაგებად გამორჩეული რეცეპტის მიგნებაა საჭირო.

ძვირფასი ქულების მოსაგროვებლად მძაფრი ბრძოლა გადაიტანა ჰოლანდიის ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა. და მაინც, სამართალმა პური მე-80 წუთზე ჭამა – ბერძენთა კარში ბურთი როკოშეტით გავიდა.

**„არსენალი“ – 4, „ეინდჰოვენი“, „პანათინაიკოსი“ – 3-3, „რუსენბორგი“ – 1 ქულა.**

**„F“ ჯგუფი**

**„მილანი“ – „სელტიკი“ 3:1.**

**გოლები: შევჩენკო, ინძაგი, პირლო; ვარგა.**

**„ბარსელონა“ – „შახტარი“ 3:0.**

**გოლები: დეკუ, რონალდინიო (პენალტით), ეტოო.**

ამ კვარტეტის დავაში მოვლენები პროგნოზების შესაბამისად ვითარდება, თუმცა, „მილანმა“ საწადელს, სასტარტო მატჩის მსგავსად, ამჯერადაც ბოლო წუთებში მიაღწია. შემდეგ ტურში ფავორიტები ერთმანეთს ხვდებიან და, იმედია, პრობლემები მაშინ მაინც შეექმნებათ.

**„ბარსელონა“, „მილანი“ – 6-6, „სელტიკი“, „შახტარი“ – 0-0 ქულა.**

**„G“ ჯგუფი**

**„ვერდერი“ – „ვალენსია“ 2:1.**

**გოლები: კლოზე, ხარისტეასი; ვისენტე.**

**„ანდერლეხტი“ – „ინტერი“ 1:3.**

**გოლები: ბასეჯიო; მარტინსი, ადრიანო, სტანკოვიჩი.**

ეტყობა, ბევრმა ნაადრევად ჩამოწერა ბუნდესლიგის წარმომადგენლები – წინა დღით „ბაიერნის“ დაწყებული საქმე გუშინწინ „ბრემენელმა მუსიკოსებმა“ დააგვირგვინეს, თუმცა საამისოდ მეტოქის დაცვის ბურჯის მარჩენას მინდვრიდან გაძევება დასჭირდათ. არადა, ესპანელთათვის ყველაფერი ჩინებულად დაიწყო – კარბონის ზუსტი გადაცემით ვისენტემ უკვე მე-2 წუთზე დააწინაურა პარტნიორები, მაგრამ...

მართალია, მეორე წყვილში, ანგა-




რიშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იტალიელთა მაღალი კლასი კიდევ ერთხელ დადასტურდა, მაგრამ ნაკლები სახიფათო მომენტები არც მასპინძლებს შეუქმნიათ. სხვა საქმეა, რომ ისინი შედარებით დაბალმა საშემსრულებლო ოსტატობამ დაალალატა.

**„ინტერი“ – 6, „ვერდერი“, „ვალენსია“ – 3-3, „ანდერლეხტი“ – 0 ქულა.**

**„H“ ჯგუფი**

**„ჩელსი“ – „პორტუ“ 3:1.**

**გოლები: სმერტინი, დროგბა, ტერი; მაკარტი.**

**ცსკა – „პარი სენ-ჟერმენი“ 2:0.**

**გოლები: სემაკი, ვაგნერი (პენალტით).**

**„ჩელსი“ – 6, ცსკა – 4, „პორტუ“ – 1, „პარი სენ-ჟერმენი“ – 0 ქულა.**

**გია პლატონიშვილი.**

◉ ჯაზი

# ამერიკული კოლორიტით შეფერილი დიუკი

**კომპანია „ისტერნ პრომოუშენის“ საშემოდგომო სიურპრიზი ჩვენს რეალობაში უპრეცედენტო აღმოჩნდა... მულტიგრემის მფლობელი მუსიკოსის ბოჰემური ცხოვრება თბილისსაც დაუკავშირდა... ფილარმონიის აკუსტიკურ სივრცეში ჯორჯ დიუკმა საკმაოდ ხმაურიანი შოუ-კონცერტი გამართა. ეს საღამო მთლიანად სრულ იმპროვიზაციასა და ინტერნაციონალურ რიტმებს მიეძღვნა... ამერიკელი ჯაზმუსიკოსის კონცეფციური პარტიტურა ჯაზ-ფიუჟენის, რიტმ ენდ ბლუზისა და გოსპელის მაქსიმალური დატვირთვით გაცოცხლდა. მისეული მუსიკალური ქარგა ამერიკული კოლორიტით შეფერილი ჟღერადობისა და კონტრასტული პასაჟების სინთეზში გამოისახა.** აქ, რიტმული დინამიკა ჯაზ-კომპოზიციათა სკულპტურულ პაუზებშიც კი არ ჩაიკარგა... ატონალურ აკორდიკაზე განვითარებული იმპროვიზაცია ბენდის წევრთა ხანგრძლივი სოლო გამოსვლებით დაიტვირთა – სცენაზე **ჯორჯ დიუკის** (ვოკალი, ქიბორდი), **მაიკლ მენსონის** (ბასი), **გორდონ ქემბელის** (დასარტყამი ინსტრუმენტი), **კევინ რენდოლფის** (ქიბორდი), **შენონ პირსონის** (ვოკალი) შემოქმედებითი ალიანსი სინქრონულ-ვირტუოზულ-პოლიფონიურ „შეჯიბრში“ გადაიზარდა, სადაც წამყვანი პარტიის უპირატესობა ჯორჯ დიუკის „კლავიატურისკენ“ გადაიხარა.

კონცერტზე გაშლილი აპარატურა ტექნიკური ხარვეზებით ხშირად სცოდავდა, თუმცა ეს „უმნიშვნელო“ წუნი თუ ნიუანსი მუსიკოსებისთვის იუმორისტულად აღიქმებოდა. მათი ცნობიერი თუ ქვეცნობიერი მუსიკალური ნაკადი ისევ მუზებისკენ იმართებოდა.

**„რომელ სტიქიას შევადარებდი ჯაზს? – ამაზე არ მიფიქრია... მონუმენტურობითა და ეფექტურობით ალბათ მიწას, ცას, წყალს... ანუ იმ ბუნებრივ და მარადიულ მოვლენებს, რაც ერთბაშად იზიდავს, ახალისებს და კიდეც აფორიაქებს კაცობრიობას. ჯაზი ძალიან აქტიური, ცოცხალი, თავისუფალი მუსიკაა და არავითარ შემთხვევაში არ არის მკვდარი, თუმც ალაგ-ალაგ უცნაური სურნელიც კი ასდის. მსოფლიო მასშტაბით ხშირად იმართება საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალები, რომლებსაც მხოლოდ ფორმალური დატვირთვა აქვს და ჯაზის გარდა, ჟღერს სხვადასხვა მიმდინარეობის მუსიკა – სოული, არენბი... სამწუხაროდ, დღეს ბევრ მუსიკოსს აკლია შემოქმედებითი სრულყოფილება, თუნდაც თავისუფლება, იყურება უკან, რადგანაც ახლის შექმნის სურვილი ან უნარი არა აქვს. მე ლეგენდარულ მუსიკოსებთან მიმუშავია და მათთან ურთიერთობა ჩემთვის უდიდესი სიამოვნება იყო, თუ მაინცდამაინც უნდა დავასახელო, გამოვყოფდი მაილს დევისს, სტენლი კლარკს, ფრენკ ზაპარას... მახსოვს, ახალგაზრდობისას პოლიტიკურად დაძაბულ სანფრანცისკოში იწერებოდა მუსიკა, რომელიც დღევანდელობისგან განსხვავებით არ იყო მხოლოდ სასიყვარულო თემაზე აგებული. ახლა ტერორიზმის პრობლემა უკვე გლობალურ საკითხად იქცა, მიჭირს იმის თქმა, თუ ვინ ებრძვის ამ უკიდურესობას დღეს მუსიკის საშუალებით, თუმცა მჯერა, რომ მუსიკა ხალხს აერთიანებს და მათში დადებით ემოციებს აღვიძებს... ხელოვანისთვის ორკესტრთან მუშაობა საკმაოდ რთულია, მაგრამ როდესაც ორკესტრისა და მუსიკოსის საერთო ენა, სტილი მიგნებულია, მაშინ ისინი სცენაზე ფანტასტიკურ დროს ატარებენ“, –** ამბობს ჯორჯ დიუკი.

და მართლაც, დიდი საკონცერტო დარბაზის რეტროსპექტიულ გარემოში ჯორჯ დიუკი და მისი ბენდი ფან-





ტასტიკურ დროს ატარებდნენ. მათთვის მუსიკალური პარტიტურის სრულფასოვნად გაცოცხლების იდუმალება მდგომარეობდა სიჩუმის დინამიკურ გამოყენებასა და დროის უკიდურესად ნათელ შეგრძნებაში. ჯორჯ დიუკი ისევე ვირტუოზულად უკრავდა ფორტეპიანოზე, როგორც... მან ისეთივე ეფექტი მოახდინა, როგორც მას ევროპის მთელ სივრცეში სჩვევია. ის ხომ საუკეთესო ქიბორდისტად არის აღიარებული?! ამას გარდა, გრემის არაერთი ჯილდოს მფლობელია შემდეგი ნამუშევრებისათვის: “We are the world”, “Children of the world”, “Sweet baby”, რაც სთენლი ქლარკისა და დიუკის ერთობლივ პროექტს წარმოადგენს, დენის უილიამსის “Let’s hear it for the boy”; ჯეფრი ოსბორნის “Stay with me tonight” („სტეი უიზ მი თუნაით“) და




“On the wings of love” („ონ დი უინგს ოფ ლავ“); დაიან რივრის “Fumilayo” („ფამილაიო“), მაილს დევისის “Tutu” („თუთუ“), რომელშიც ჯორჯ დიუკის მიერ ჩაწერილი კომპოზიციები შევიდა; ელ ჯეროს “Harts Horison” („ჰართს ჰორიზონ“)...

კინემატოგრაფიაში ჯორჯ დიუკმა სახელი დაიმკვიდრა როგორც მუსიკის ავტორმა ფილმებისათვის “The five hurtbeats” **(„ზი ფაივ ჰართბითს“),** “Karate Kid 3” **(„კარატე კიდ 3“),** “Paramount Pictures” („ფარამაუნთ ფიქჩერს“)-ის ფილმებისათვის – “Leap of Faith” („ლიიფ ოფ ფეითჰ“) და “Leeza’s and Maria’s daytime talk-show” („ლიზას და მარიას დეითაიმ თოქ შოუ“)

... კონცერტის დასასრულ ჯორჯ დიუკმა იმპროვიზაციული ექსპრომტებისთვის სცენაზე ქართველი ჯაზშემსრულებლები მოიხმო... აქ წითელი როიალის კლავიატურა ცნობილმა ჯაზმენმა ოთარ ყუფუნიამ დაიპყრო, ბენდის გარემოცვაში ნინო ქათამაძის ძლიერმა ვოკალმა ამერიკელი კომპოზიტორის ყურადღება მაშინვე მიიპყრო – **„მე არ ვიცი შენი სახელი, მაგრამ ვიცი, რომ მაგარი ხარ!“** ირინა მეგრელიშვილის შემდეგ ფინალური აკორდიკის დასრულება წილად მაია ბარათაშვილს ერგო: **„თქვენეული იმპროვიზაცია ისეთივე მოკრძალებულია, როგორც თავად თქვენ!“** – ღიმილით უთხრა ჯორჯ დიუკმა.

ამ ექსპრომტების შემდეგ ამერიკელი ჯაზმენი იქ შეკრებილებსაც დაემშვიდობა – **„დიდი მადლობა ძალიან მიყვარხართ, ღამე მშვიდობისა“.**

**მზექა მახარაძე.**

**სურათზე: ჯორჯ დიუკი.**

◉ მხარე

# ძალა ერთობაშია

## თემურ სანიკიძის ხსოვნის ტურნირი

სექტემბრის მიწურულს უამრავი ნორჩი მორაგბე იყრის თავს სენაკის რაიონის სოფელ ნოქალაქევში, სადაც ცხრა წელიწადია, ტრადიციულად იმართება ნაადრევად დაღუპული მორაგბის – თემურ სანიკიძის ხსოვნის ტურნირი. მისი ორგანიზატორები არიან ოვალური ბურთის სახელოვანი დიდოსტატი დავით კილასონია და თემურ სანიკიძის მამა – ბატონი მოგელი. წლევანდელ შეჯიბრებაში მასპინძლებთან ერთად მონაწილეობდნენ ფოთელი, ბათუმელი, ჩოხატაურელი და თბილისელი ახალგაზრდებიც, რომლებიც მოგელი სანიკიძისა და მისი ახლობლების ოჯა-







ხებში ცხოვრობდნენ.

ორთაბრძოლები ნოქალაქევის რაგბის შესანიშნავ მოედანზე გაიმართა. ახალგაზრდების პაექრობას უამრავი გულშემატკივარი ესწრებოდა. დაძაბული შეხვედრების შემდეგ მთავარი პრიზი სენაკ-ნოქალაქევის გაერთიანებულმა გუნდმა მოიპოვა. მასპინძლებმა არც სხვებს დასწყვიტეს გული – ასპარეზობის ყველა მონაწილე სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვეს. ნორჩ მორაგბეებს პრიზი გადასცეს ყოფილმა მოჭიდავემ ალეკო მურღულიამ, დავით კილასონიამ, მოგელი და ნათია სანიკიძეებმა.

შეჯიბრების ორგანიზატორებს გადაწყვეტილი აქვთ, გაისად მეათე საიუბილეო ტურნირზე უცხოელებიც მოიწვიონ.

**ვაჟა ნოსირელი.**

**სურათებზე: გამარჯვებულები და პრიზიორები; დაჯილდოების მომენტები.**

◉ ჭრელაჭრულა

## მარტო ნიგერიელთა გასაგონად კი არა!

**ფიფას ეროვნულ ასოციაციათა კომიტეტმა დაავალა ნიგერიის ფეხბურთის ასოციაციას (და არა მარტო მას), თავის წესდება მოიყვანოს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ნორმების შესაბამისობაში. კერძოდ, ფიფა მოითხოვს, რომ ამ ორგანიზაციის გამგეობა იყოს არჩევითი და არა დანიშვნითი ორგანო (აქამდე ნიგერიის კანონმდებლობის შესაბამისად, ასოციაციის გენერალურ მდივანსა და გამგეობის წევრებს ნიშნავდა ქვეყნის სპორტის მინისტრი).**

ამას გარდა, საერთაშორისო წესების შესაბამისად, გამგეობის გენერალური მდივანი თავის საქმიანობაზე პასუხისმგებელია მხოლოდ ასოციაციის თავკაცის წინაშე და არა ქვეყნის მთავრობის წინაშე.

ნიგერიის ფეხბურთის ასოციაციამ 3 თვეში წესდებაში უნდა შეიტანოს სათანადო ცვლილება, წინააღმდეგ შემთხვევაში ნიგერიის ნაკრები გაირიცხება ყველა საერთაშორისო შეჯიბრებიდან.

## წინ ვერ წავიდა

**გამოქვეყნდა ჩოგბურთში დევისის თასის გათამაშებაში მონაწილე ქვეყნების რეიტინგი 30 სექტემბრისთვის.**

საქართველო ისევე, როგორც წინა რეიტინგისას, 71-ე ადგილზეა. ახალი რეიტინგით მესამედან პირველ ადგილზე გადაინაცვლა **ესპანეთმა,** შემდეგ პირველ ათეულში მოდიან **საფრანგეთი, ავსტრალია, რუსეთი, აშშ, არგენტინა, შვეიცარია, ბელორუსია, შვედეთი, ჰოლანდია.**

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან საქართველოს უსწრებენ აგრეთვე **უზბეკეთი** (27-ე), **უკრაინა** (61) და **ყაზახეთი** (67), ხოლო ჩვენს ქვეყანას ჩამორჩებიან **ლატვია** (73), **სომხეთი** (81), **ლიტვა** (83), **ესტონეთი** (89), **ტაჯიკეთი** (92), **მოლდავეთი** (95), **აზერბაიჯანი** (105), **ყირგიზეთი** (114) და **თურქმენეთი** (143).

## თქვენ „სუსტი სქესი“ თქვით და...

**მძლეოსნობა ვერასოდეს დაიკვეხნიდა დემოკრატიზმით სქესის თვალსაზრისით. მამაკაცთა მიღწევები თითქმის ყველა სახეობაში მუდამ მაღალი იყო, ვიდრე ქალების. მაგრამ, სწავლულთა პროგნოზით, ეს სიტუაცია ალბათ შეიცვლება ერთ-ერთ უმთავრეს დისციპლინაში – სირბილში.**

ოქსფორდის უნივერსიტეტის მკვლევარები მიიჩნევენ, რომ 2156 წლის ოლიმპიადაზე ქალები ასმეტრიან დისტანციას მამაკაცებზე სწრაფად გაირბენენ. მათი პროგნოზით 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ჩემპიონი ქალი 100 მეტრს 10:57 წამში დაფარავს, ჩემპიონი მამაკაცი კი – 9:73 წამში.

2156 წლისათვის კი ეს მაჩვენებელი ასე შეიცვლება: ქალები – 8.079, მამაკაცები – 8:098 წამი.

თუმცა მამაკაცებს ჯერჯერობით ასაღელვებელი არაფერი აქვთ – ათენში 100 მეტრი იულია ნესტერენკომ 10.43 წამში გაირბინა, ჯასტინ გეტლინმა კი – 9.85 წამში...

## ძვირფასი ბურთი



იცით, რა არის ჰოუმ-რანი? ასე უწოდებენ ბეისბოლში დარტყმას, რომლის შემდეგაც ბურთი გადაუფრენს არა მხოლოდ სათამაშო მოედანს, არამედ მის ღობესაც. ისტორიულ მიღწევად ჩაუთვალეს ამერიკელ ბეისბოლისტს, „სან-ფრანცისკო ჯაიანტსის“ მოთამაშეს, 40 წლის ბარი ბონდსს მე-700 ჰოუმ-რანი, თუმცა შემდეგ საქმე სასამართლომდე მივიდა.

საიუბილეო ბურთი, სტადიონის ტრიბუნებზე რომ დაეშვა, ხელთ იგდო 26 წლის სტივ უილიამსმა, თუმც მეორე დღესვე მას სასამართლოში უჩივლა ტრიბუნაზე მისმა მეზობელმა ტიმოტი მერფმა.

მერფის განცხადებით, სანუკვარი ბურთი მის მახლობლად დაეცა, უფრო მეტიც, მან მოასწრო ბურთზე დაჯდომა, მაგრამ გულშემატკივართა ზედახორაში უილიამსმა მოასწრო მისი ხელში ჩაგდება.

უილიამსის ვერსია განსხვავდება მერფის განცხადებიდან: ბურთი მე არ დამიჭერია, მაგრამ ის ჩემთან მოგორდაო. მეგონა, რომ ამ ზედახორაში მას უკვე ვიღაც დაეუფლა, მალე კი ის ჩემთან ცოტა მოშორებით დავინახეო. მეორე დღეს მან ჩვენება შეასწორა და აღნიშნა, თითქოს ზედახორაში ბურთი ვიღაც კაცის ქვეშ ეგდოო, მაგრამ მე არეულობაში მონაწილეობა არ მიმიღიაო.

კი მაგრამ, რით არის ასეთი ძვირფასი რელიკვია ბეისბოლის ბურთი?

აჟიოტაჟი მის გარშემო შემთხვევითი არაა. 2001 წელს, 73-ე სეზონში იმავე ბონდსის მიერ ნატყორცნი ბურთი 450 ათას დოლარად გაიყიდა, მაშინაც საქმეში სასამართლო ჩაერია და ეს თანხა ორ გულშემატკივარს გაუნაწილეს.

უფრო ადრე, 1999 წელს ჰოუმ-რანის ბურთში ბეისბოლზე რომელიღაც შეყვარებულმა 3,2 მილიონი დოლარი გადაიხადა (!).

**სპორტის რედაქცია**

საქმე №2-60-04
29.09.2004 წელი

# განჩინება

ქ. რუსთავი

## რუსთავის საქალაქო სასამართლო

მოსამართლემ გ. ჯაბანიშვილმა განვიხილე ს/ს „ტამის“ გაკოტრების მმართველის ნ. ცანავას განცხადება კრედიტორთა კრების მოწვევის თაობაზე.

გამოვარკვიე:

2004 წლის 4 სექტემბერს ს/ს „ტამის“ გაკოტრების მმართველმა ნ. ცანავამ მომართა სასამართლოს და საქ. კანონის „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად მოითხოვა გაკოტრების კრედიტორთა კრების მოწვევა.

გაკოტრების მმართველი მიუთითებს, რომ ს/ს „ტამში“ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შემდეგ გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები მასის დაცვისა და რეალიზაციის მიზნით, შენარჩუნებული იქნა წარმოების პროცესი სააქციო საზოგადოების მოქმედ ნაწილში, ძირითადი კრედიტორის – საოლქო საგადასახადო ინსპექციის მიმართ განხორციელდა ცალკეული კრედიტორული დავალიანების ეტაპობრივი გადახდა, რის გამოც განცხადებით მოითხოვს გაკოტრების კრედიტორთა კრების მოწვევას გაკოტრების მმართველის მიერ გაწეულ საქმიანობაზე ანგარიშის წარმოსადგენად. ასევე მიუთითებს, რომ კრედიტორთა კომიტეტში ასარჩევია რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენელი, ვინაიდან ამჟამად კრედიტორთა კომიტეტში შეყვანილი ბატონი გ. გოლოშვილი აღარ წარმოადგენს რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციის თანამშრომელს.

გავეცანი განცხადებას, მიმაჩნია, რომ განცხადება არის საფუძვლიანი და უნდა დაკმაყოფილდეს.

საქ. კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ 22, 22[2] მუხლების თანახმად, კრედიტორთა კომიტეტი და კრედიტორთა კრება აკეთებს ანალიზს გაკოტრების მმართველის მიერ გაწეული საქმიანობის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით და კრედიტორთა კრებაა უფლებამოსილი კრების გადაწყვეტილებით განსაზღვროს გაკოტრების საქმის წარმოების შემდგომი წარმართვის გზები.

საფუძვლიანია გაკოტრების მმართველის განცხადება კრედიტორთა კომიტეტში ცვლილებების განხორციელების თაობაზე, ვინაიდან რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენელი ბატონი გ. გოლოშვილი აღარ წარმოადგენს მითითებული ორგანიზაციის თანამშრომელს. ვიხელმძღვანელე რა საქართველოს კანონის „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ 22-ე მუხლის I, II, III პუნქტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით

დავადგინე:

1. ს/ს „ტამის“ გაკოტრების მმართველის განცხადება დაკმაყოფილდეს;
2. მოწვეული იქნას ს/ს „ტამის“ გაკოტრების კრედიტორთა კრება 2004 წლის 12 ოქტომბრის 12 სთ-ზე რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობაში შემდეგ საკითხებზე:

ა) გაკოტრების მმართველის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ;

ბ) კრედიტორთა კომიტეტში ცვლილებათა განხორციელების შესახებ;

3. განჩინების სარეზოლუციო ნაწილი გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ და ქ. რუსთავის ადგილობრივ პრესაში – გაზეთი „რუსთავი დღეს“.

**მოსამართლე:**
**გ. ჯაბანიშვილი.**

## განცხადება

შპს „ორბი“ შეისყიდის ახალ უხმარ პორტატულ 120 გრ ტვირთამწეობის (0,1 გრ სიზუსტის) „ტანიტა“ მოდ. 1479 ელ. სასწორს.
დარეკეთ ტელეფონზე: 38-81-64.

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციის თანამშრომლები ყაზბეგში. 1973 წელი.
მოგვაწოდა ნათელა ფაილოძემ.

## სამძიმარი

# თქვენთან ერთად განვიცდით...



გუშინ დიდუბის მიწამ მიიბარა საქართველოს საბავშვო ფონდისა და ქართველ მწერალთა დამოუკიდებელი კავშირის თავმჯდომარის, გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის **ხუტა ბერულავას** ნეშტი. მისი გარდაცვალების გამო საქართველო საბავშვო ფონდში მოვიდა სამძიმრის წერილი გერმანიის ბავშვთა მშვიდობის სოფლიდან – **„ფრიდენსდორფ ინტერნაციონალიდან“:**

**„ძვირფასო საქართველოს საბავშვო ფონდის თანამშრომლებო, ბატონი ხუტას ოჯახის წევრებო, მიიღეთ ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა, თქვენთან ერთად განვიცდით ამ სამწუხარო ამბავს. ძალიან გვიჭირს ამის შესახებ საუბარი.**

**მთელი ცხოვრება ბატონმა ხუტამ ქართველ ბავშვებს და საქართველოს მიუძღვნა. საქართველომ უდიდესი პიროვნება დაკარგა, ჩვენ ყველამ კი – ძვირფასი და საყვარელი ადამიანი.**

**მიუხედავად სიძნელეებისა, იგი ყოველთვის იბრძოდა, ყოველთვის ცდილობდა დასახული მიზნის მიღწევას ბავშვების ბედნიერებისა და ჯანმრთელობისთვის.**

**„ფრიდენსდორფ ინტერნაციონალის“ ყველა თანამშრომლისა და ბავშვის სახელით, გთხოვთ, გადასცეთ ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა ბატონი ხუტას ოჯახის წევრებს, ნათესავებსა და მეგობრებს.**

**ის ყოველთვის იცოცხლებს ჩვენს გულებში და მარადჟამს იქნება ჩვენს გვერდით, ჩვენთვის ძვირფასი ბატონი ხუტა.**

**გულწრფელად თქვენი**
**„ფრიდენსდორფ ინტერნაციონალის“ თანამშრომლები და ბავშვები“.**

## ამინდი

# შემოდგომის ფოთოლცვენა დაიწყო...



**კლიმატური მონაცემებით ოქტომბერში ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სექტემბერთან შედარებით 3-7 გრადუსით დაბალია. იგი სანაპირო ზოლსა და კოლხეთის დაბლობზე +15, +17, ქართლსა და კახეთში – +11, +15, მთიან რაიონებში – 9-14-ი, ხოლო მაღალმთიან ზონაში +5, +9 გრადუსია.**

ადრე დაფიქსირებული ყველაზე მაღალი ჰაერის ტემპერატურა დაბლობსა და ბარში +30, +35, ზოგან +37 გრადუსია. მთიან რაიონებში +26, +31, ხოლო მაღალმთიან ზონაში +23, +28 გრადუსს აღწევს. ადრე დაფიქსირებული ყველაზე დაბალი ჰაერის ტემპერატურა აჭარის სანაპირო ზოლში +1, +3, ხოლო დასავლეთ საქართველოს დანარჩენ დაბლობ რაიონებში 0, -3 გრადუსი იყო. დასავლეთ საქართველოში, ქართლსა და კახეთში -2, -7, აღმოსავლეთ საქართველოს მთებში ზოგან -9, -11 და მაღალმთიან ზონაში -8, -15 გრადუსამდე იკლებს.

დასავლეთ საქართველოში ყველაზე მეტი ნალექი აჭარის სანაპირო რაიონებში მოდის 270-300 მმ, დანარჩენ ტერიტორიაზე მისი მნიშვნელობა უმეტესად 100-200 მმ. ბევრად ნაკლებია ნალექების რაოდენობა აღმოსავლეთ საქართველოში. აქ იგი მერყეობს 30-დან 90-მდე, გარდა კავკასიონის მთიანი ზონისა, სადაც ის 80-130 მმ-ს შეადგენს.

ნალექიან დღეთა რიცხვი დასავლეთ საქართველოში მერყეობს საშუალოდ 8-დან 15-მდე, აღმოსავლეთ საქართველოში 7-დან 13-მდე.

ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა მიმდინარე წლის ოქტომბერში შავი ზღვის სანაპირო რაიონებში და კოლხეთის დაბლობზე მოსალოდნელია +15, +17, ქართლში, კახეთსა და მთიან რაიონებში +9, +14, მაღალმთიან ზონაში კი +6, +8 გრადუსი, რაც ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე ახლოსაა საშუალო მრავალწლიურ ნორმასთან.

თვის ცალკეულ პერიოდებში შავი ზღვის სანაპირო რაიონებში, კოლხეთის დაბლობზე და ქვემო ქართლში, შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება ღამით +8, +3, შიდა ქართლში, კახეთსა და მთებში +4, -2, მაღალმთიან რაიონებში -2, -5 გრადუსამდე. თვის ცალკეულ დღეებში – ტემპერატურის მომატება დღისით შავი ზღვის სანაპირო რაიონებში, კოლხეთის დაბლობზე, დასავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში და კახეთში +23, +28 გრადუსამდე. დასავლეთ საქართველოს მაღალმთიან რაიონებში და ქართლში +20, +25, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს მთიან და მაღალმთიან რაიონებში +16, +21 გრადუსამდე.

ნალექების რაოდენობა საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ რაოდენობაზე მეტი.

დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ვეგეტაციისათვის დამაკმაყოფილებელი პირობები იქნება. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში მოსალოდნელი ტემპერატურული რეჟიმი სითბომოყვარულ კულტურათა განვითარების ტემპს შეანელებს, შიდა ქართლში კი ღამის საათებში ტემპერატურის შესაძლო დაკლება მინუს 2 გრადუსამდე საშიშროებას შეუქმნის ბოსტნეულს. წვიმები დროგამოშვებით შეაჩერებს მოსავლის აღებას, განსაკუთრებით ნიადაგის მომზადებას პურეულის დასათესად.

არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური პირობებისა და ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის გათვალისწინებით, ოქტომბერში, საქართველოს მდინარეთა წყლიანობა მოსალოდნელია ძირითადად ნორმის ფარგლებში და მასზედ მაღალი.

**საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი.**

**გენერალ-მაიორ ზურაბ მსხვილიძეს!**

**ბატონო ზურაბ, გილოცავთ დაბადების 60 წლისთავს. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან ერთად!**

**დიდი სიყვარულითა და პატივისცემით**
**ავთანდილ ჯინჭველაშვილი.**

## ნატურიდან

# კახური ბიზნესი

ლაგოდეხელ ზურაბას წელს უკვე მეორედ შევხვდი ქობულეთში. რა თქმა უნდა, გვარიცა აქვს, მაგრამ, როგორც თვითონ ირწმუნება, კახეთში იმდენად პოპულარულია, მისი სახელი საგარეჯოში რომ ახსენო, ლაგოდეხში უკვე პურმარილს ამზადებენ.

რა ბევრი გავაგრძელო, ჩვენი ზურაბა ახმახი, მხარბეჭიანი, ერთი მუცელმოთხლეშილი ვინმეა. ისეთია, როგორც კახელები იტყვიან, ბუღას მუშტი რომ მოუქნიოს, გააგორებს. თუმცა ამ სიძლიერეს ზღვაზე ვერაფერში იყენებს, ერთთავად ნაძვნარში ზის და მოდგაფუნე ტალღებს შორიდან გასცქერის.

– ადე, ზურაბ, ჩრდილში ჯდომა კახეთშიც გეყოფა, – გულზე ხეთქავენ დამსვენებლები.

– ჰაი დედასა, თქვენი დასაცინი რომ გავხდი, – მკერდზე მჯიღს იცემს ზურაბა, – ექიმები არა მრთავენ ნებასა, თორემა, აქამდე სტამბოლს გადავცურავდი...

– ნეტა მაგათ რას უსმენ,– ვეუბნები ჩვენებურს, – წამო, სანაპიროს გავუყვეთ.

– აი, ღვთისნიერი კაცი, – უმალ წამოხტა ზურაბა, – ვიაროთ, თან ვილაპარაკოთ, თანაც სუფთა ჰაერი ჩავყლაპოთ.

ვიარეთ, ვიარეთ და იმ ბაღს მივადექით, ამ ზაფხულს პატარკაციშვილმა საკუთარი სახსრებით რომ გააშენ-გაალამაზა.

– აი, კაცი, ძმაო, – ტაში შემოჰკრა ზურაბამ, – ამნაირი ატრაქციონები და ორთქლმავალი ბალღობისას მუშტაიდში რომ ვიხილე, მას მერე აღარ მინახავს.

ამის თქმა იყო და პარკის ბოლოდან ვირის ყროყინის ხმა მოისმა.

– კაცოო, მომეყურა თუ მართლა ვირია? – შეცბუნდა კახელი.

– მოგეყურა კი არა, ვერა ხედავ, რამხელა ყურები აქვს! – ვთქვი და ზურაბა იქითკენ გავახედე, საიდანაც ყროყინი გავიგეთ.

ორივე სასწრაფოდ გავეშურეთ და რა ვნახეთ: ვიღაცას ვირი ფიჭვის ხეზე გამოება, თვითონ „ქიგულში“ გაშხლართულიყო და „საყვირის“ ხმაზე ახალგამოღვიძებული თვალების ფშვნეტით შემოგვყურებდა.

– სადაური ხარ, ბიჭო! – შესძახა ზურაბამ.

– სადაური ვიქნები რა, გურჯაანელი ვარ.

– ვირი შენია?

– ჩემი რომ არ იყოს, ხომ არ ვუყარაულებდი?

– დასასვენებლად ჩამოიყვანე?

– დასასვენებლად კი არა, დედისამისამა, კახეთში მუშაობით სულ წელი ჰქონდა მოწყვეტილი.

– მა რითვინ მოათრევდი?

– ბიზნესითვინა, ძმაო, ბიზნესითვინა.

– რა ბიზნესი კაცოო, – გაგიჟდა ზურაბა, – ვირი და ბიზნესი სად გაგონილა?

– ვა, ეს რა გაუგებელი ვინმე ყოფილა, – გაოცდა გურჯაანელი, – ბიზნესს ვირი კი არა, მე ვაკეთებ.

– როგორა?



– კოხტადა. აი, ამ ეტლს ხომ უყურებ. ეგა ჩემი გაკეთებულია. მაგაში რო ვირს შავაბამ, ბავშვები ატრაქციონისკენ კი არა, ჩემკენ გამორბიან. მეც რა მენაღვლება, ვასეირნებ და ფულს ვაკეთებ.

– მარტო ხარ ჩამოსული?

– რატომ მარტო, ცოლ-შვილსაც აქ ვასვენებ.

– ვაი ნამუსო, ვირის ხარჯზედა, კაცო? – აღშფოთდა ზურაბა.

– შენ, ჩემო ძმაო, გეტყობა, ბიზნესი არ იცი, თორემ ამას არ იტყოდი, – უხსნის გურჯაანელი, – ვირი ამ შემთხვევაში ჩემი მონა კი არა, პარტნიორია, შედგენილი მაქვს ბიზნესგეგმა და იმის მიხედვით ვმუშაობთ.

– მოგებას ვირსაც უნაწილებ?

– რატომაც არა, მივცემდი, მაგრამ ვერ გამოიყენებს, – ცურვა მაგას არ უყვარს და მზეზე გარუჯვა. ერთხელ ბანანით გასეირნება შევთავაზე და სულ ჭიტლაყები ყარა.

– ჭამა ხომ უნდა?

– უნდა და ვაჭმევ კიდევაცა.

– რასა?

– საბალახოდ დრო აღარ რჩება და დროებით ხაჭაპურზე გადავიყვანე.

– აჭარულზე?

– არა. დანა-ჩანგლის ხმარება არ იცის და იმერულს ამჯობინებს.

– ქობულეთში სამკუთხედი რომ არ არის, გზაზე როგორ გადაგყავს?

– საპატრულო პოლიციის დახმარებით. ისე, თქვენც კახელები ჩანხართ, არა?

– საიდან მიხვდი? – გაკვირდა ზურაბა.

– ჩემი შავლეგო მარტო კახელების დანახვისას ყროყინებს, ეტყობა, ნაცნობებთან შეხვედრა ახალისებს.

...კიდევ კარგი გამოგყევი, – მითხრა ზურაბამ უკანაგზობისას, – მომავალ სეზონზე მეც ამ ბიზნესს უნდა მოვკიდო ხელი.

– ვირის ჩამოყვანას აპირებ?

– რატომაც არა, რაც კოლექტივი დაიშალა, სოფელში ვირები უსაქმურობისგან მთქნარებით იხოცებიან.

– კარგი საქმეა, ოღონდ არავისთან წამოგცდეს, თორემ...

– თორემ რა?

– ვირს საპრივატიზაციო სიაში შეიტანენ, აუქციონზე გაიყვანენ და გაგიყიდიან...

**ოთარ ხუციშვილი.**

## გიხაროდენ!

# ოჯახის მეორე ფერია



რა შეედრება შვილის შეძენით გამოწვეულ სიხარულს. მით უფრო, როდესაც ოჯახს მეორე ფერია შეემატება. ვაჩნაძე-დოლიძეების ოჯახების ზეიმის „მიზეზი“ 29 სექტემბერს დაბადებული ულამაზესი გოგონა გახლავთ, ნინო ვაჩნაძისა და სულიკო დოლიძის მეორე ქალიშვილი, მათი უფროსი გოგონა ანი უკვე ექვსი წლისაა. იგი დედის ორსულობის პერიოდში ღმერთს ევედრებოდა დაიკო გამიჩინეო. ჰოდა, ღმერთმა მას პატარა ანგელოზი, ბებიისა და დედიკოს სეხნია – ნინო მოუვლინა.

შვილიშვილის შემატებით ხარობენ ბებია-ბაბუები, ოჯახის ახლობლები. ნინო ბებია ამჟამად დროებით ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს და იქ მიახარეს „მორიგი“ შვილიშვილი.

ბედნიერი მშობლები დიდად ემადლიერებიან სამშობიარო სახლ „ორიონის“ მთავარ ექიმს დავით გაგუას და მთელ მედპერსონალს პროფესიონალიზმისა და გულისხმიერებისათვის.

**მეორე შვილის დაბადებას ვულოცავთ ნინოს და სულიკოს, ღვთისმშობლის კალთა იფარავდეს მათ ლამაზ ოჯახს. იმრავლონ, იხარონ, ჯანმრთელი და ბედნიერი შვილები დაეზარდოთ.**

**ლელა ხვადაგიანი,**
**თეონა ჟუმბურიძე.**

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

## ცოტაც გავიღიმოთ...



მიყვარს არაყი, მაგრამ არ მიყვარს ის, რასაც იგი დამმართებს ხოლმე.

* * *

დადგენილია კიდევ ერთი მსგავსება მამაკაცსა და მობილურ ტელეფონს შორის: დილით ინდიკატორი სრულ დამუხტვას აჩვენებს.

* * *

წითელ მოედანზე ფილმის გადაღება მიმდინარეობს.

– რატომ ჩანს ნაგავი კადრში? – უყვირის რეჟისორი ასისტენტებს.

– მაპატიეთ, უკვე მივდივარ, – ლუღლუღებს მოედანზე წესრიგის დასაცავად მიწვეული მილიციონერი.

* * *

– ამბობენ, თუ ფუნა დაგესიზმრა, ფულს ელოდეო!

– წუხელ შენ დამესიზმრე და, ვითომ მოვა ფული?

* * *

ივან ივანიჩი ექიმთან ანალიზის პასუხის გასაგებად მივიდა.

– თქვენს სისხლში 98 პროცენტი ალკოჰოლია.

– 98? – დალახვროს ეშმაკმა, წუხელ არაყი ყინულით არ უნდა დამელია!

* * *

გუშინ დააკავეს კიდევ ერთი დანაშაულებრივი დაჯგუფება, რომელიც საზღვარზე ყალბი ასდოლარიანი ევროს მსხვილი პარტიის კონტრაბანდულად გადატანას ცდილობდა.

* * *

ადამიანი – ეს ერთადერთი ცხოველია, რომელიც შეიძლება იყოს დებილი.

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.**

**ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.**

## ლარის კურსი

**1 ოქტომბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| **ინგლისური გირვ.** | 1 | 3.2799 **ლარი** |
| **აშშ დოლარი** | 1 | 1.8250 **ლარი** |
| **ევრო** | 1 | 2.2484 **ლარი** |
| **რუსული რუბლი** | 1 | 0.0625 **ლარი.** |

## ხსოვნა

### ელენე თოფურიძე



ქართულმა ფილოსოფიურ-ესთეტიკურმა აზრმა უდიდესი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტის ესთეტიკის განყოფილების ხელმძღვანელი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შესანიშნავი მეცნიერი და ქალბატონი ელენე თოფურიძე.

ქალბატონი ე. თოფურიძე დაიბადა 1922 წლის 3 მაისს. წარჩინებით დაამთავრა თბილისის № 14 საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, შემდეგ კი გადავიდა მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში, რომელიც 1945 წელს, 1949 წელს კი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნებათა ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურა დაამთავრა. 1951 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „იტალიური რომანტიზმის დრამის თეორია“, ხოლო 1969 წელს სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ბენედეტო კროჩეს ესთეტიკა“. 1951 წლიდან ლექციებს კითხულობდა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში. 1961 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტში. ქ-ნ ე. თოფურიძის ხელმძღვანელობით არა ერთმა ახალგაზრდამ დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

ქ-ნი ე. თოფურიძე ფართო საზოგადოებისათვის უაღრესად მოკრძალებული და თავმდაბალი ადამიანი იყო, ხოლო სპეციალისტებისათვის ღრმად მოაზროვნე, ფართოდ ერუდირებული, საქართველოში ესთეტიკური აზრის აკადემიურ დონეზე დაფუძნების ერთ-ერთი პიონერი გახლდათ. ქ-ნი ე. თოფურიძე ქართველი ფილოსოფოსების იმ შესანიშნავი თაობის უკანასკნელი წარმომადგენელია, რომლებიც ფილოსოფიის ინსტიტუტის სახეს ქმნიდნენ და იდეოლოგიური წნეხის მიუხედავად, შეძლეს ადამიანური ღირსების, მეცნიერული პატიოსნებისა და თავისუფლების შენარჩუნება. ქ-ნი ე. თოფურიძე მნიშვნელოვანი გამოკვლევების ავტორია: „ელეონორა დუზე“, „ლუიჯი პირანდელოს ფილოსოფიური კონცეფცია“, „ადამიანი ანტიკურ ტრაგედიაში“, „ბენედეტო კროჩეს ესთეტიკა“ (ითარგმნა იაპონურ ენაზე). მისი მრავალი სტატია გამოქვეყნდა ინსტიტუტის კრებულებში. მისი თარგმანები გამოცემულია თბილისსა და მოსკოვში.

მისი შრომების ჩამონათვალი ვერ შექმნის იმ გზის სურათს, რომელიც ადამიანმა, მეცნიერმა და პედაგოგმა მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა გაიაროს, რათა მიაღწიოს იმ უდიდეს პატივისცემას, რაც წილად ხვდა ქალბატონ ელენე თოფურიძეს. ე. თოფურიძის შემოქმედება, მისი ესთეტიკური გამოკვლევები უკვე ქართული კულტურის საკუთრებაა, მის შრომებს წარუვალი მეცნიერული ღირებულება აქვს დღეს და ექნება მომავალშიც. იტალიური კულტურის უდიდესი წარმომადგენლების ბ. კროჩესა და ლ. პირანდელოსადმი მიძღვნილი ქ-ნი ელენეს შრომები იყო ამ მოაზროვნეთა შემოქმედების პირველი მონოგრაფიული გამოკვლევები ყოფილ საბჭოურ სივრცეში. ქ-მა ელენემ შეძლო წარმოეჩინა ბ. კროჩეს კონცეფციის მნიშვნელობა ევროპული ესთეტიკური აზროვნების განვითარებაში. ადამიანის თავისუფლებისა და თავისუფალი არჩევანის პრობლემა იქცა ამოსავალ დებულებად ქ-ნი ელენესათვის მონოგრაფიაში „ადამიანი ანტიკურ ტრაგედიაში“, რომლის მთავარი მოტივის თანახმად ანტიკურ ხელოვნებაში სწორედ ტრაგიკოსი პოეტები არიან თავისუფლების იდეის პირველაღმომჩენები.

ქ-ნი ელენეს ღვაწლი აღინიშნა ჯილდოებით. მას მიღებული ჰქონდა „საპატიო ნიშნის“ ორდენი და მედალი, აგრეთვე, „ღირსების ორდენი“. 2002 წელს ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის ცენტრის მიერ ქ-ნი ე. თოფურიძე დასახელდა წლის საუკეთესო ქალბატონად. თავისი მეცნიერული, პედაგოგიური, საზოგადოებრივი მოღვაწეობით, თავისი ცხოვრების სტილითა და სათნოებით, მისმა კოლეგებმა, მოსწავლეებმა და საზოგადოებამ ქ-ნი ელენე არა მარტო წლის, არამედ წლების განმავლობაში, უკვე დიდი ხანია საუკეთესო მეცნიერად და ქალბატონად აღიარეს.

დიდი გულისტკივილით, მადლიერებითა და პატივისცემით ეთხოვება ფილოსოფიური საზოგადოება დიდ მეცნიერსა და უაღრესად სათნო ქალბატონს.

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტი, ესთეტიკის კათედრა.**

## დღის კალენდარი 1 ოქტომბრისთვის

ამოდის 06.56
ჩადის 18.42

( ამოდის 14.02, ჩადის 22.19

**წლის 275-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 91 დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

ხსენება მოწამე ბიძინასი და ორთა ძმათა ქსნის ერისთავთა – ელიზბარ და შალვასი (1661). ღირსი ევმენისა – გორტინელ ეპისკოპოსისა (VII); მოწამე არიადნასი (II); მოწამე სოფიოსი და ირინესი (III); მოწამე კასტორისა.

### დაიბადნენ:

**1207 – ჰენრი III,** ინგლისის მეფე. გარდაიცვალა 1272 წელს.

**1754 – პავლე I,** რუსეთის იმპერატორი. გარდაიცვალა 1801 წელს.

**1868 – ივანე ფალიაშვილი,** დირიჟორი, პიანისტი. გარდაიცვალა 1934 წელს.

**1886 – რობერტ ბლეიკი,** ამერიკელი ორიენტალისტი, ქართველოლოგი, ნ. მარის მოწაფე, გარდაიცვალა 1950 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1684 – პიერ კორნელი,** ფრანგი დრამატურგი.

**1873 – ემილ გაბორიო,** ფრანგი მწერალი, დეტექტიური ჟანრის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

**1929 – ემილ ანტუან ბურდელი,** ფრანგი სკულპტორი.

**1935 – ვლადიმირ გილიაროვსკი,** რუსი მწერალი.

**1972 – ლუის ლიკი,** ინგლისელ–კენიელი ანთროპოლოგი და არქეოლოგი.

### მოვლენები:

**1827 წელი** – რუსეთის არმიამ ერევნის ციხე-სიმაგრე აიღო. ერევნის სახანო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა.

**1892 წელი** – გაიხსნა ჩიკაგოს უნივერსიტეტი.

**1920 წელი** – ავსტრიამ ახალი კონსტიტუცია მიიღო.

**1924 წელი** – მოსკოვში სატირის თეატრი გაიხსნა.

### ღირსსახსოვარი დღეები:

ხანშიშესულთა საერთაშორისო დღე.

მუსიკის საერთაშორისო დღე.

**ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა** – გათავისუფლების დღე.

**კამერუნი** – გაერთიანების დღე.

**ნიგერია** – დამოუკიდებლობის დღე.

**სამხრეთ კორეა** – შეიარაღებული ძალების დღე.

**ავსტრალია** – შრომის დღე.

**„მედია-ნიუსი“.**

მეუღლე ლამარა ჩოგოვაძე, შვილები ნიკო, მალხაზი, და ზაირა, რძლები ნელი ბახტაძე, ლელა გრიგოლია, ნატო სუბედიანი, შვილიშვილები ირაკლი, თინათინი, ნინო, დისწულები გია, ლევან კიკაჩეიშვილები, მძახალი ზაიდა გრიგოლია, მამიდაშვილი დალი ვაშაკიძე, თინა, გივი, პაატა, რევაზ, მამუკა, დათო ჩოგოვაძეები, ზურაბ დონდუა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვლადიმერ ვასილის ძე
ბახტაძე

პანაშვიდი 1, 2 X, 17 სთ. დაკრძალვა 3 IX, 14 სთ. მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ. 58, I სართული.



მეუღლე გიორგი (ჟორა), შვილები ია, ნინო წურწუმიები, შვილიშვილები გიორგი, ქეთინო, ნათია, დაძმა ალა და გივი წურწუმიები ოჯახებით დიდი მწუხარებით იუწყებიან ქალბატონ

ჯულიეტა ურიდიას

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 1, 2 X, 17 სთ, გამოსვენება 3 X 15 სთ. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის 147.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიის კათედრა სამძიმარს უცხადებს ია წურწუმიას დედის

ჯულიეტა ურიდიას

გარდაცვალების გამო.

თსსუ ფარმაცევტული ფაკულტეტის წამალთა ტექნოლოგიის კათედრა თანაუგრძნობს თანამშრომელს ია წურწუმიას დედის

ჯულიეტა ურიდიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
ნომრის მორიგე რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია.

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika